სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



# რუსეთის ჰიბრიდული ომის სტრატეგია და კავკასიის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევები

# THE HYBRID WAR STRATEGY OF RUSSIA AND SECURITY CHALLENGES IN THE CAUCASUS REGION

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

# რუსეთის ჰიბრიდული ომის სტრატეგია და კავკასიის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევები

# THE HYBRID WAR STRATEGY OF RUSSIA AND SECURITY CHALLENGES IN THE CAUCASUS REGION

---

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული

COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

# სარჩევი

ძალთა ახალი ბალანსი სამხრეთ კავკასიაში
გიორგი კელაპტრიშვილი _ _ _ _ 6

სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობა
და როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე
ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი სხირტლაძე _ _ _ _ 12

2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომი ოკუპაციიდან
დეზინფორმაციულ ომამდე
თიკა ხუჭუა / მარიამ ჩიხლაძე _ _ _ _ 16

საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე:
გამოწვევები და ტენდენციები
სალომე მაჭავარიანი / ლიკა დევაძე _ _ _ _ 22

ქართულ ევროპული ინტეგრაციის პროცესი
და რუსული პროპაგანდა
გოჩა ჩანგელია _ _ _ _ 26

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური
კრიზისი და საქართველო _ _ _ _ 30
პაატა მემიაძე

სამშვიდობო ოპერაციების როლი საქართველოს
ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში _ _ _ _ 34
სალომე შარაშიძე / სალომე ონიანი

ენობრივი ბარიერი და მასთან დაკავშირებული
გამოწვევები ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში _ _ _ _ 42
ბაკურ ჩილინგარაშვილი

რუსეთის ჰიბრიდული ომის სტრატეგია საქართველოში
და გამოწვევები დასავლეთისთვის 48
თამარ ჩოგოვაძე / რუსუდან ლომთათიძე _ _ _ _

რუსული ,,რბილი ძალის“ ელემენტები საქართველოს
წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში
მერაბ ჩუთლაშვილი _ _ _ _ 54

რუსული ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ
მერაბ ხაბულიანი _ _ _ _ 62

ISBN 978-9941-8-3692-3

# CONTENT

THE NEW BALANCE OF POWER IN THE SOUTH CAUCASUS
GIORGI KELAPTRISHVILI _ _ _ _ 6

THE IMPORTANCE AND ROLE OF COMPULSORY MILITARY SERVICE ON THE DEFENSE CAPABILITIES OF GEORGIA
GIORGI SKHIRTLADZE _ _ _ _ 12

FROM THE OCCUPATION OF AUGUST 8, 2008 TO THE WAR ON DISINFORMATION
TIKA KHUTCHUA / MARIAM CHIKHLADZE _ _ _ _ 16

GEORGIA'S ECONOMIC DEPENDENCE ON RUSSIA: CHALLENGES AND TENDENCIES
SALOME MATCHAVARIANI / LIKA DEVADZE _ _ _ _ 22

GEORGIA'S EUROPEAN INTEGRATION PROCESS AND RUSSIAN PROPAGANDA
KOCHA CHANGELIA _ _ _ _ 26

2008 WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA
PAATA MEMIADZE _ _ _ _ 30

THE ROLE OF PEACE-KEEPING OPERATIONS IN GEORGIA'S EURO-ATLANTIC INTEGRATION PROCESS
SALOME SHARASHIDZE / SALOME ONIANI _ _ _ _ 34

LANGUAGE BARRIER AND RELATED CHALLENGES IN THE ETHNIC ARMENIAN POPULATION
BAKUR CHILINGARASHVILI _ _ _ _ 42

RUSSIA'S HYBRID WAR STRATEGY IN GEORGIA AND CHALLENGES FOR THE WEST
TAMAR CHOGOVADZE / RUSUDAN LOMTATIDZE _ _ _ _ 48

THE ELEMENTS OF RUSSIAN "SOFT POWER" IN THE HYBRID WAR AGAINST GEORGIA
MERAB CHUTLASHVILI _ _ _ _ 54

RUSSIAN HARD POWER AGAINST GEORGIA
MERAB KHABULIANI _ _ _ _ 62

# ძალთა ახალი ბალანსი სამხრეთ კავკასიაში

**გიორგი კელაპტრიშვილი**
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ნინო ოხანაშვილი

**აბსტრაქტი**

სტატია იკვლევს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, მთიანი ყარაბაღის პრობლემით გამოწვეულ 2020 წლის სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების შედეგებს. აღნიშნული სტატიის მიზანია დაადგინოს, თუ როგორ შეიცვალა ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ. კვლევა დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონალურ დონეზე უპირატესობას ფლობს რუსეთი, ხოლო ლოკალურ დონეზე - აზერბაიჯანი. ასევე, სტატიაში გამოიკვეთა, რომ თურქეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემოდის, როგორც გავლენიანი სამხედრო-პოლიტიკური მოთამაშე, ხოლო სომხეთი დამარცხებული და კიდევ უფრო იზოლირებულია.

**საკვანძო სიტყვები:**
სამხრეთ კავკასია, ძალთა ბალანსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი.

# THE NEW BALANCE OF POWER IN THE SOUTH CAUCASUS

**GIORGI KELAPTRISHVILI**
**Student of the Master's Degree Program in Defense Analysis**
**National Defense Academy**
**Scientific Supervisor: Nino Okhanashvili, Doctor of Social Sciences**

**ABSTRACT**

The article examines the consequences of the 2020 full-scale hostilities caused by the Nagorno-Karabakh conflict between the countries of the South Caucasus, Azerbaijan and Armenia. The purpose of this article is to determine how the balance of power in the South Caucasus region has changed, since the 2020 Nagorno-Karabakh war. The research is based on a qualitative method of social research.The study showed that Russia has the superiority at the regional level, while Azerbaijan at the local level. The article also revealed that Turkey is entering the South Caucasus region as a powerful military-political player, while Armenia has been defeated and isolated.

**KEYWORDS:**
South Caucasus, Balance of Power, Azerbaijan, Armenia, Russia, Turkey.

## შესავალი

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომის შედეგები, თუ როგორ შეიცვლა ომის შემდგომ ძალთა ბალანსი რეგიონში; რა ინტერესები ჰქონდათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებსა და რა არის მათი შედეგები ომის შემდგომ. რა შედეგზე გავიდა რეგიონში დომინანტობის სურვილის მქონე რუსეთი და როგორია თურქეთის გავლენები კონფლიქტის დასრულების შემდგომ. მთიანი ყარაბაღის საკითხის აქტულურობასა და სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ 2020 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ ძალთა ახალი გადანაწილება და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი დასრულებული არ არის.

ნაშრომის საკვლევი კითხვა არის: როგორ შეიცვალა ძალთა ბალანსი მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომის შემდეგ? ნაშრომში გამოიკვეთა შემდეგი ჰიპოთეზა: ძალთა ბალანსი რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. ლოკალურ დონეზე აზერბაიჯანი ფლობს უპირატესობას, თუმცა, კონფლიქტის შემდგომი დარეგულირების ინიციატივა დაკარგა. სომხეთი დამარცხებული და კიდევ უფრო მეტად იზოლირებულია. რუსეთმა გაიძლიერა გავლენები და სამშვიდობო კონტიგენტის განათავსებით დამატებითი ბერკეტი შეიძინა აზერბაიჯანსა და სომხეთზე ზეწოლის მოსახდენად. თურქეთი რეგიონში შემოვიდა, როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო პოლიტიკური მოთამაშე. კვლევა დაეყრდნო სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდს და მის შემდეგ ტექნიკებს: შემთხვევის შესწავლის (Case Study) მეთოდს და თვისებრივ კონტენტ-ანალიზს.

## მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ისტორია

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთიყველაზე სისხლიანი და ხანგძლივი ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტია. კონფლიქტის ძირითადი მონაწილე მხარეები არიან აზერბაიჯანი და სომხეთი (სომხეთთან ერთად, არ აღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუპლიკა). კონფლიქტმა ორივე მხარეს დიდი დანაკარგები მოუტანა. ორივე მხრიდან ათასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლა შეიარაღებულ დაპირისპირებას და ასეულ ათასობით ადამიანი იქცა ლტოლვლად.

კონფლიქტის მთავარი მიზეზი ეთნიკური და ტერიტორიული უთანხმოების ფაქტორია, რომელსაც ისტორიული ფესვები აქვს. პირველი ფართომასტაბიანი სისხლიანი დაპირისპირებები ეთნიკურ აზებაიჯანელებსა და სომხებს შორის XX საუკუნის დასაწყისში ხდება და ამ დაპირისპირებას ათასობით ადამიანური მსხვერპლი და ტერიტორიული ცვლილებები მოჰყვა[1]. საბჭოთა კავშირის პერიოდი შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში ეთნიკური კონფლიქტის ახალი ესკალაცია იწყება, რომელიც შემდგომ მთიანი ყარაბაღის ომში გადაიზარდა. კონფლიქტის ძირითადი სამხედრო მოქმედებები 1992 – 1994 წლებში მიმდინარეობდა.

„მთიანი ყარაბაღის პირველი ომის“ დროს, აზერბაიჯანში რთული შიდა პოლიტიკური ვითარება სუფევდა და აზერბაიჯანის არმია დეზორგანიზებული იყო. სამხედრო დაპირისპირება ძირითადად რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სომხეთის უპირატესობით წარიმართა და სომხეთმა ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გარდა, დამატებით აზერბაიჯანის შვიდი რაიონის ოკუპაცია მოახდინა, რასაც ის მთიანი ყარაბაღისთვის „უსაფრთხო ზონის“ შექმნით ამართლებდა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 1994 წლის მაისში მოეწერა (ბიშკეკის პროტოკოლი[2]), რის შედეგადაც სომხეთის კონტროლქვეშ დარჩა მანამდე მათ მიერ დაკავებული ტერიტორიები, მათ შორის აზერბაიჯანის შვიდი ოკუპირებული რაიონი.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მიზნით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. ჯერ კიდევ 1991 წლის სექტემბერში რუსეთისა და ყაზახეთის თაოსნობით გაიმართა ჟელეზნოვოსდკის კონფერენცია[3]. 1992 წლის მარტში, ეუთოს მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და რუსეთის შუამდგომლობით „მინსკის ჯგუფი“, ჩამოყალიბდა[4]. 1992 წელს ირანის მოწვევით თეირანის კონფერენცია შედგა[5]. მინსკის ჯგუფის ფორმატში არაერთი შეხვედრა გაიმართა, სადაც სომხეთი თანახმა იყო ეტაპობრივად დაებრუნებინა ტერიტორიები აზერბაიჯანისთვის. მიუხედავად ამისა, მთიანი ყარაბღის კონფლიქტის მოგვარების არცერთ მცდელობას, რაიმე ქმედითი შედეგი არ მოჰყოლია. 1994 - 2020 წლებში კონფლიქტის მთლიანი შეხების ხაზზე სამხედრო ინციდენტებიც მრავლად ხდებოდა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი 2016 წლის გაზაფხულის „ოთხ დღიანი ომი“ იყო, სადაც აზერბაიჯანის სამხედრო უპირატესობა გამოიკვეთა[6] და ვითარების დარეგულირება მხოლოდ რუსეთის შუამდგომლობით მოხდა.

მთიანი ყარაბაღის საომარი მოქმედებების განახლება და შეწყვეტა

2020 წლის ზაფხულში აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირებამ სახიფათო ხასიათი მიიღო. ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევა რუსეთის აქტიური ჩარევის შემდეგ მოხდა, თუმცა, 2020 წლის 27 სექტემბერს სამხედრო დაპირისპირებამ ახალი ძალით იფეთქა და ფართო მასშტაბიან ომში გადაიზარდა. სამხედრო დაპირისპირება აზერბაიჯანის უპირატესობით წარიმართა. აზერბაიჯანის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატება 2020 წლის 8 ნოემბერს ქალაქი შუშას დაკავება იყო[7], რომელმაც გადაწყვიტა კიდეც ომის ბედი. 2020 წლის 9 ნოემბერს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის რუსეთის მედიატორობით გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება:

1. 2020 წლის 10 ნოემბერს მოსკოვის დროით 00:00 საათიდან, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში სრულიად წყდება ყველანაირი სამხედრო მოქმედებები, აზერბაიჯანის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა რჩებიან არსებულ პოზიციებზე.
2. 2020 წლის 20 ნოემბრამდე აზრბაიჯანის რესპუბლიკას დაუბრუნდება აღდამის რაიონი;
3. კონფლიქტის შეხების ხაზთან და ლაჩინის კორიდორთან განლაგდება რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტიგენტი: 1960 სამხედრო მოსამსახურე, 90 ჯავშანტრანსპორტიორი, 380 ერთეული ავტომობილი და სპეცტექნიკა;
4. რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტიგენტი განთავსდება სომხეთის შეიარაღებული ძალების გამოყვანის პარალელურად. სამშვიდობო კონტიგენტის განთავსდება 5 წლის ვადით, ვადის ავტომატურად გაგრძელების პირობით, თუ რომელიმე მხარე, ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე, არ განაცხადებს სამშვიდობო ძალების გამოყენების შეწყვეტის შესახებ.
5. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ეფექტური კონტროლის მიზნით მოეწყობა სამშვიდობო ცენტრი.
6. 2020 წლის 20 ნოემბრამდე სომხეთის რესპუბლიკა აზრბაიჯანის რესპუბლიკას დაუბრუნებს ქელბაჯარის რაიონს და 2020 წლის 1 დეკემბრამდე ლაჩინის რაიონს. ლაჩინის 5 კმ-იანი სიფართის კორიდორი, რომლიც უზრუნველყოფს სომხეთის კავშირს მთიან ყარაბაღთან, დარჩება რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტიგენტის კონტლოის ქვეშ. კორიდორი არ შეეხება ქალაქ შუშას. სამი წლის ვადაში შემუშავდება სომხეთისა და მთიანი ყარაბღის დამაკავშირებელი ახალი მარშრუტი. აზერბაიჯანის მხარე უზრუნველყოფს ლაჩინის კორიდორით სამოქალაქო პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთების უსაფრთხო გადადგილებას ორივე მიმართულებით.

---

[1] მალაშხია, შოთა. კონფლიქტების ანატომია. გამომცემლობა ფორმა. 2011. გვ.175-193
[2] United Nations, Bishkek Protocol.1994.
[3] United Nations, Zheleznovodsk Declaration.
[4] Organization for Security and Co-operation in Europe,OSCE Minsk Group.
[5] United Nations, Joint Statement of the Heads of State in Tehran.
[6] BBC. Nagorno-Karabakh: Azeri-Armenian ceasefire agreed. 2016.
[7] EASO. COI CHRONOLOGY. 2020. P.12

7. დროებით გადადგილებული პირები და ლტოლვილები დაბრუნდებიან მთიანი ყარაბაღისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელსაც გააკონტროლებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი.

8. მოხდება სამხედრო ტყვეების, მძევლების, სხვა დაკავებული პირებისა და ცხედრების გაცვლა;

9. ამოქმედდება ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი რეგიონში. სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს, სამოქალაქო პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთების უსაფრთხო გადადგილებას აზერბაიჯანსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, ორივე მიმართულებით. კონტროლს, აზერბაიჯანისა და ნახიჩევანის დამაკავშირებელ დერეფანზე განახორციელებს რუსეთის ფედერაციის, ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო სამსახური.[8]

## „მთიანი ყარაბაღის მეორე ომის" შედეგები

### აზერბაიჯანი

აზერბაიჯანმა პირველ ომში დამარცხების შემდეგ, ენერგორესურსების ვაჭრობით მნიშვნელოვანი ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, რასაც მისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერება მოჰყვა. შესაბამისად, აზერბაიჯანის რიტორიკაც მნიშვნელოვნად იცვლება და ჯერ კიდევ 2013 წელს, აზერბაიჯანის სამხედრო აღლუმზე, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა სიტყვით გამოსვლისას, ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის სამხედრო შესაძლებლობებს და აღნიშნა, რომ რუსეთიდან, თურქეთიდან და ისრაელიდან შესყიდული თანამედროვე შეიარაღება, თავის სიტყვას იტყოდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრაში[9]. აზერბაიჯანის აქტიური მხარდამჭერია თურქეთი, როგორც პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით. თურქულმა სამხედრო ტექნიკამ მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა აზერბაიჯანს. თურქეთი აქტიურად ეხმარებოდა აზერბაჯანს არმიის გაწვრთნაში, ატარებდნენ ერთობლივ სწავლებებს, სადაც აქცენტი უმეტესად კეთდებოდა სპეცდანიშნულების დანაყოფებისა და კომანდოსების მოზადებაზე, განსაკუთრებით მთიან რეგიონში მოქმედებებისთვის[10]. რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო და ქალაქი შუშას დაკავება ერთ-ერთი ურთულესი სამხედრო ოპერაცია იყო, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც ომის ბედი. აზერბაიჯანმა სამხედრო გზით დაიბრუნა 1994 წლის შემდეგ უკუპირებული ტერიტორიები, რაც პირველი პრეცენდენტია პოსტსაბჭოთა კონფლიქტების ისტორიაში. ამასთანავე, აზერბაიჯანმა დაიკავა ქალაქი შუშა, მისთვის მთიანი ყარაბაღის ცენტრი, რასაც აზერბაიჯანისთვის დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური გავლენა აქვს. ამავე დროს, როგორც გამარჯვებული მხარე, აზერბაიჯანის პოზიციაც განსხვავებულია ომამდელი მოთხოვნებიდან და აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის მთიანი ყარაბაღის სტატუსზე საუბარი - უკვე მიუღებელი. ომის ლოკალური შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აზერბაიჯანი უპირატესობას ფლობს და ძალთა ბალანსი სომხეთთან შეფარდებით, მის სასარგებლოდ შეიცვალა. თუმცა, ომში გამარჯვების მიუხედავად აზერბაიჯანმა დაკარგა მთიანი ყარაბღის კონფლიქტის შემდგომი გადაწყვეტის ინიციატივა და ეს საკითხი რუსეთის პირდაპირი სამხედრო-პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

### სომხეთი.

„მთიანი ყარაბაღის მეორე ომის" შედეგად დამარცხებული მხარეა სომხეთი, რომელმაც გარდა ტერიტორიული და ადამიანური დანაკარგებისა, დიდი სამხედრო დანაკარგი განიცადა. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თანახმად, სომხეთი მთიანი ყარაბაღის დამაკავშირებელ ლაჩინის მონაკვეთს რუსი მშვიდობისმყოფელები გააკონტრელებენ, შესაბამისად, სომხეთის ნებისმიერი აქტივობა მთიან ყარაბაღში მთლიანად რუსეთის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული. ამავე დროს, აზერბაიჯანი-ნახიჩევანის დამაკავშირებელ მონაკვეთს რუსეთის ფსბ-ს მესაზღვრეები გააკონტროლებენ, რაც იმას ნიშნავს რომ რუსეთი, სომხეთ-ირანის სასაზღვრო მონაკვეთზე უფრო მეტ კონტროლს დააწესებს და სომხეთი უფრო მეტად იზოლირებული და რუსეთზე დამოკიდებული იქნება. სომხეთმა საომარი მოქმედებების დროს, ვერც საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის მიღება შეძლო. ამასთან, სომხეთის შიდა პოლიტიკური ვითარება დაძაბულია და სომხეთში დანიშნულია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც სამომავლოდ გადაწყვეტს სომხეთისა და რუსეთს შორის ურთიერთობების საკითხებს, თუმცა, სომხეთს არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არც ისე დიდი არჩევანი აქვს. სომეხეთთან ერთად განვიხილოთ არაღიარებული მთიანი ყარაბღი. ომში დამარცხების და ტერიტორიების დაკარგვის მიუხედავად, მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკა, რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის განთავსებით უფრო დაცული გახდა, ვიდრე მანამდე იყო, ვინაიდან აზერბაიჯანის სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, აზერბაიჯანის არმიას დაპირისპირება რუსულ არმიასთან მოუწევს, რაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა აზერბაიჯანისთვის.

### რუსეთი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთი აქტიურად ცდილობდა გავლენების შენარჩუნებას, რისი მთავარი ინსტრუმენტიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) იყო. სომხეთი დსთ-ს წევრი 1992 წლის მაისში გახდა, იმავე პერიოდში მოხდა სომხეთის და რუსეთის შეთანხმება, რუსული სამხედრო ბაზების სომხეთში დარჩენის შესახებ. რუსეთის და სომხეთის ამ ურთიერთთანამშრომლობას უკავშირებს, ზოგიერთი მკვლევარი იმ პერიოდისთვის სომხეთის მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებას, ქალაქების შუშას და ლაჩინის დაკავებას. ასევე,

---

[8] kremlin.ru. Заявление Президента Азербайджанской Республики, Премьер-министра Республики Армения и Президента Российской Федерации. 2020.

[9] President of the Republic of Azerbaijan.Speech by Ilham Aliyev at the official military parade on the occasion of the 95th anniversary of the Armed Forces. 2013.

[10] MINISTRY OF DEFENCE OF THEREPUBLIC OF AZERBAIJAN. Azerbaijani servicemen take part in international winter exercises. 2019.

აზერბაიჯანის დსთ-ში გაწევრიანების რუსულ გეგმას მიეწერება, 1992 წელს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აზერბაიჯანის გარკვეულ სამხედრო წარმატებები, თუმცა საბოლოოდ, აზერბაიჯანმა უარი განაცხადა დსთ-ში გაწევრიანებაზე და შესაბამისად, რუსეთის პოზიციებიც სომხეთის სასარგებლოდ შეიცვალა[11]. „მთიანი ყარაბაღის მეორე ომამდეც" საკმაო გავლენები ჰქონდა რუსეთს აზერბაიჯანსა და სომხეთზე, მაგრამ 2020 წლის 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებამ მნიშვნელოვანი ბერკეტები მისცა რუსეთს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - სამშვიდობო კონტიგენტია, რომლითაც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეზე ინარჩუნებს ზეწოლის ბერკეტებს. რუსეთი ჯერ კიდევ 1992-1994 წლებში მიმდინარე ომის დროს ცდილობდა სამშვიდობო კონტიგენტის ჩაყენებას მთიან ყარაბაღში, რასაც საბოლოდ 2020 წლის ომის შემდეგ მიაღწია. სამშვიდობო კონტიგენტის სამხედრო შესაძლებლობები არც ისე მნიშვნელოვანი ძალაა, თუმცა, აზერბაიჯანსა და სომხეთზე სამხედრო-პოლიტიკური გავლენის მოსახდენად საკმარისია და თუ გავითვალისწინებთ რუსული სამშვიდობო ძალების მოქმედებებს საქართველოს მაგალითზე, ძნელი მისახვედრი არ არის, რა იქნება მისი მთავარი დანიშნულება. ის ფატიც, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას მოსკოვში მოეწერა ხელი, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რუსეთის დომინანტურ პოზიციას რეგიონში.

### თურქეთი

თურქეთი ყოველთვის იყო დაინტერესებული სამხრეთ კავკასიის რეგიონით. „მთიანი ყარაბაღის პირველი ომის"დროს თურქეთი აქტიურად არ იყო ჩართული კონფლიქტის დარეგულირებაში, თუმცა, როგორც კი ვითარება ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მიმრთულებით დაიძაბა, თურქეთმა მაშინვე განაცხადა, რომ სომხეთის შესვლა ნახიჩევანში, თურქეთთან ომის დაწყებას მოასწავლებდა[12]. ვითარების განმუხტვა მხოლოდ რუსეთისა და აშშ-ს ჩარევით მოხდა. თურქეთი ამ პერიოდისთვის არც ისე ძლიერია, რომ რუსეთს, როგორც სამხედრო-პოლიტიკურმა მოთამაშემ, კონფროტაცია გაუწიოს რეგიონში.

თურქეთსა და აზერბაიჯანს მჭიდრო ურთიერთანამშრობლობა აქვთ მრავალ სფეროში. თურქეთ-აზერბაიჯანის ღიად აქვთ გაცხადებული ეთნიკურ-კულტურული იდენტობა ,,ერთი ერი - ორი სახელმწიფო"[13], რასაც ხშირად უსვავს თურქეთი ხაზს და ამით აზერბაიჯანს უპირობო მხარდაჭერას უცხადებს. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულბაში თურქეთის როლზე არაფერია ნათქვამი, რამაც თურქეთის უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოოდ, თურქეთმა მაინც მიაღწია იმას, რომ სამხედრო წარმომადგენლობა განათავსა კონფლიქტის ზონასთან ახლოს და რუსეთთან შეათანხმებით სამშვიდობო სამეკავშირეო ოფისი გაიხსნა. ის ფაქტი, რომ თურქეთის სამხედრო წარმომადგენლობა ოფიციალურად არის წარმოდგენილი პოსტსაბჭოთა სივრცეში მიუთითებს თურქეთის გავლენების ზრდაზე რეგიონში. რუსეთს მოუწია თურქეთის ინტერესების გათვალისწინება.

### დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „მთიანი ყარაბაღის მეორე ომის" შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში შეიცვალა ძალთა ბალანსი. რუსეთი კვლავ დომინატურ პოზიციაშია და მან კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები. მას ახლა უკვე სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში ოფიციალურად/გაცხადებულად[14] ჰყავს სამხედროები. თურქეთი შემოდის პოსტსაბჭოთა სივრცეში, როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური მოთამაშე და თან იმ ფონზე, რომ თურქეთის მიერ შეიარაღებულმა და გაწვრთნილმა აზებაიჯანმა დაამარცხა რუსეთის მიერ შეიარაღებული და გაწვრთნილი სომხეთი, რაც თურქეთისთვის ნიშნავს იმას, რომ მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია რეგიონში. აზერბაიჯანმა დაიბრუნდა ოკუპირებული ტერიტორიები და მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილებზეც მოიპოვა კონტროლი. მართალია აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებას და შესაძლებლობებს რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტი აბალანსებს და მთიანი ყარაბაღის პრობლემაც ბოლომდე ვერ ამოწურა, მაგრამ მისი სამხედრო შესაძლებლობები აშკარად ანგარიშგასაწევი ძალა გახდა რეგიონში. სომხეთი დამარცხდა და ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი მთიანი ყარაბაღის სტატუსზე, თუმცა, რუსეთის მხარდაჭერით მთიან ყარაბაღზე კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ გავლენას. საბოლოოდ, თუ შევადარებთ, აზერბაიჯანი ლოკალურ დონეზე სომხეთთან შედარებით აშკარა უპირატესობას ფლობს, ხოლო რუსეთისა და თურქეთის პესპექტივით, რუსეთმა გაიმყარა პოზიციები, ამასთანავე მას მოუწია თურქეთის, როგორც ძლიერი სამხედრო პოლიტიკური მოთამაშის ინტერესების გათვალისწინება რეგიონში.

---

[11] მალაშხია, შოთა. კონფლიქტების ანატომია. გამომცემლობა ფორმა. 2011. გვ188-191
[12] მალაშხია, შოთა. კონფლიქტების ანატომია. გამომცემლობა ფორმა. 2011. გვ.190.
[13] President of the Republic of Azerbaijan.Joint press statements of Presidents of Azerbaijan and Turkey. 2010.
[14] ავტორი: საქართველოს შემთხვევაში ეს საოკუპაციო ძალებია, რომელიც რუსეთს გაცხადებულად ჰყავს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მალაშხია, შოთა. 2011. კონფლიქტების ანატომია. თბილისი. გამომცემლობა ფორმა.
2. United Nations, Bishkek Protocol.
https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/Bishkek%20Protocol.pdf(01.05.2021)
3. OSCE, OSCE Minsk Group.
https://www.osce.org/mg(01.05.2021)
4. United Nations, Zheleznovodsk Declaration.
https://peacemaker.un.org/node/473(05.05.2021)
5. OSCE, OSCE Minsk Group.
https://www.osce.org/minsk-group/108306(05.05.2021)
6. United Nations, Joint Statement of the Heads of State in Tehran.
https://peacemaker.un.org/node/475(05.05.2021)
7. BBC. 2016.Nagorno-Karabakh: Azeri-Armenian ceasefire agreed.
https://www.bbc.com/news/world-europe-35964213(01.05.2021)
8. EASO. 2020.COI CHRONOLOGY.
https://coi.easo.europa.eu/administration/easo/PLib/2020_11_Chronology_Armenia_Azerbaijan_Nagorno_Karabakh_armed_conflict_impact_civilian_population.pdf(01.05.2021)
9. kremlin.ru. 2020. Заявление Президента Азербайджанской Республики, Премьер-министра Республики Армения и Президента Российской Федерации.
http://kremlin.ru/events/president/news/64384(02.05.2021)
10. President of the Republic of Azerbaijan.2013. Speech by Ilham Aliyev at the official military parade on the occasion of the 95th anniversary of the Armed Forces. https://en.president.az/articles/8574/videos(05.05.2021)
11. MINISTRY OF DEFENCE OF THEREPUBLIC OF AZERBAIJAN. 2019. Azerbaijani servicemen take part in international winter exercises.
https://mod.gov.az/en/news/azerbaijani-servicemen-take-part-in-international-winter-exercises-2019-video-25753.html(05.05.2021)
12. President of the Republic of Azerbaijan. 2010.Joint press statements of Presidents of Azerbaijan and Turkey.
https://en.president.az/articles/736(05.05.2021)
13. უტიაშვილი, შოთა. 2020. ვინ მოიგო და ვინ წააგო ყარაბაღის ომით.საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
https://www.gfsis.org/ge/blog/view/1127 (05.05.2021)
14. ბატაშვილი,დავით. 2020. რა მოიპოვა რუსეთმა ყარაბაღში.საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
https://www.gfsis.org/ge/blog/view/1127 (05.05.2021)

# სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობა და როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე


**ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი სხირტლაძე**
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი
ეროვნული თავდაცვის აკადემია
ნაშრომის ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ნინო ოხანაშვილი



**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს თავდაცვისუნარიანობის ზრდაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლენის გაანალიზება. სტატიაში წარმოდგენილია კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც განაპირობებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობას თავდაცვისუნარიანობის ზრდაზე. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებულია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური საომარი მდგომარეობის დროს, როგორც საბრძოლო დანიშნულებით, ასევე მხარდამჭერი და ზურგის ოპერაციებისთვის ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ასევე, სამხედრო სავალდებულო სამსახურ გამოვლილი პირები უფრო ეფექტურს ხდიან სარეზერვო/სამობილიზაციო სისტემას. ბრძოლისუნარიანი პირების რაოდენობის გაფართოება ზრდის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სამხედრო სავალდბულო სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების ლიკვიდაციის საკითხში. ეს ყოველივე, ერთიანობაში, მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.



**საკვანძო სიტყვები:**
საქართველო; სამხედრო სავალდებულო სამსახური; თავდაცვისუნარიანობის ზრდა.


# THE IMPORTANCE AND ROLE OF COMPULSORY MILITARY SERVICE ON THE DEFENSE CAPABILITIES OF GEORGIA


**GIORGI SKHIRTLADZE**
Master's Degree Program in Defense Analysis
National Defence Academy



**ABSTRACT**

The main purpose of this article is to analyze the impact of compulsory military service on increasing defensive abilities. The article presents the main findings identified as a result of the research, which determine the importance of compulsory military service in increasing defensive abilities. A qualitative method of social research is used for data collection and analysis. The study stated that compulsory military service plays an important role in the process of providing human resources for combat mission, support and rear operations during wartime. Also, conscripts make the reserve / mobilization system more efficient. Expanding the number of battle worthy people increases the ability of protecting territorial integrity and sovereignty. In addition, compulsory military service plays an important role in the state of emergency and the elimination of natural or techno genic disasters. All these, significantly increase defensive abilities of the country.



**KEYWORDS:**
Georgia; Compulsory military service; Increase defensive abilities.

## შესავალი

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო მუდმივად დიდი სახელმწიფოების ინტერესის ქვეშ ექცეოდა. ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემები ექმნებოდა, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, სოციალური და სხვა კუთხით. თუმცა, აღნიშნულთაგან სამხედრო შეიარაღებული დაპირისპირების წარმოშობის საშიშროება ყოველთვის მაღალი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა თავდაცვისუნარიანობის ზრდა, რაც სწორი თავდაცვის პოლიტიკისა და გეგმების იმპლემენტაციის შედეგად მიიღწევა. მოცემული სტატიის მიზანია გააანალიზოს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლენა თავდაცვისუნარიანობის ზრდაზე.

თავდაცვის პოლიტიკა საკმაოდ ფართო და მრავალმხრივი საკითხია, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით, შესაბამისი რაოდენობის სამხედრო პირების არსებობის უზრუნველყოფა. ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის მიღწევის მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ძირითადად არჩევანი ორ მოდელს შორის კეთდება. პირველ მოდელს წარმოადგენს საკონტრაქტო სამსახურის გზით სამხედრო ძალების უზრუნველყოფა; მეორე ალტერნატივა გულისხმობს საკონტრაქტო სამსახურთან ერთად სამხედრო სავალდებულო სისტემის არსებობას, ანუ შერეულ სისტემას;[1] ქვეყნების უმრავლესობაში აღნიშულ ორ სისტემასთან ერთად თანაარსებობს სარეზერვო სისტემაც. სახელმწიფოს მიერ არჩევანის გაკეთება ზემოაღნიშნულ მოდელებს შორის დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, გეოსტრატეგიულ გარემოზე, ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ისტორიულ გამოცდილებაზე და ა.შ. კერძოდ, სხვა თანაბარ პირობებში, ის ქვეყნები, რომელთაც სამხედრო სავალდებულო სამსახურის არსებობის დიდი ისტორია გააჩნიათ უფრო მეტად არიან მიდრეკილი ამ მოდელის შენარჩუნებისაკენ.[2] ასევე, საომარი საფრთხის წინაშე მდგარი ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ შერეულ სისტემას.

აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან საქართველოს უსაფრთხოების წინაშე არსებობს მრავალი გამოწვევა, დაწყებული რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხელახალი სამხედრო აგრესიის განხორციელების რისკიდან და მეზობელ ქვეყნებს შორის კონფლიქტის წარმოშობისა და გადმოდინების საფრთხით დასრულებული. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი. შესაბამისად, ნაშრომიგარკვეულ სიახლეს წარმოადგენს. კვლევის მიგნებები დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ პირებს, აღნიშნული თემის გაანალიზებაში.

საკვლევი კითხვა შემდეგი სახით არის ფორმულირებული:

RQ1 რა როლი ენიჭება სამხედრო სავალდებულო სამსახურს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება-გამტკიცების საკითხში?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე მოხდა კვლევის შემდეგი ჰიპოთეზის გენერირება:

- H1 სამხედრო სავალდებულო სამსახური არის ერთ-ერთი მექანიზმი გაფართოოს სამხედრო უნარების მქონე საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რაც თავის მხრივ, გაზრდის საქართველოს თავდაცვისუნარიანობას.

დამოუკიდებელი ცვლადი - სამხედრო სავალდებული სამსახური

დამოკიდებული ცვლადი - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი და აღნიშნული მეთოდის ისეთი ტექნიკები, როგორიცაა: სიღრმისეული ინტერვიუები, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის შესწავლის (case-study) მეთოდი.

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების მიმოხილვა

საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს ეგზისტენციალურ საფრთხეს რუსული ოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი მილიტარიზაცია და ადგილზე მიმდინარე სამხედრო წვრთნები წარმოადგენს".[3] ოკუპირებულ რეგიონებში „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილების, ასევე, მისი უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ჯარების განლაგება ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, ემუქრება მის და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას."[4]

ასევე, რუსეთი კვლავ აგრძელებს აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპაციას. ყირიმში ცისფერჩაფხუტიანების გამოჩენა ნიშანია იმისა, რომ რუსეთი არღვევს საერთაშორისო სამართალს და საკუთარი მიზნების რეალიზებისათვის სამხედრო ინტერვენციებს არ ერიდება. არსებობს რეალური საფრთხე, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველოს დასავლური ინტერესების რეალიზების ხელშესაშლელად რუსეთი სამხედრო დაპირისპირებას განაახლებს. საქართველოს უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს რეგიონში მიმდინარე სხვა პროცესებიც. ამ მხრივ, განსაკუთრებული გამოწვევა არის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განვითარებული საბრძოლო მოქმედებები და კონფლიქტის გადმოდინების საშიშროება. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს გააჩნია რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეების აქსელერაციის თვისებაც. კონფლიქტის განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის ზრდას."[5] აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანას ჭირდება თავდაცვისუნარიანობის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა. კონფლიქტების ხასიათისა და ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ცხადია, რომ თავდაცვისუნარიანობის ზრდის საკითხში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოცხალი ძალა.

---

1 Ross, T;A Positive Theory of Military Recruitment;THE JOURNAL OF LAW AND ECONOMICS, 2016. p.118

2 Asal, V.; Conrad,J.; Toronto, N.The Determinants of Military Conscription; Journal of Conflict Resolution, 2015. P.2

3 საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2020, გვ.2 http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/151521/1-4905.pdf(წვდომა 28/04/2021)

4 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, გვ.8

5 საქართველოსეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, გვ. 10

## სამხედრო სავალდებულო სამსახურის ისტორიული მიმოხილვა

სამხედრო სავალდებულო სამსახური თანამედროვე ფორმით საფრანგეთში ჩნდება, ახლადშექმნილი სახელმწიფოს ევროპელი მონარქებისგან თავდაცვის მიზნით; „ნებისმიერი ფრანგი ჯარისკაცია და ვალდებულია ერი დაიცვას“ - გაცხადებული იყო ჟორდანის კანონში, ხოლო ნაპოლეონმა მას „ერის იარაღი“ უწოდა; მე-19 საუკუნიდან სამხედრო სავალდებულო სამსახური პოპულარობას იძენს მილიტარისტული ინტერესების მქონე სახელმწიფოებში; მალე, ფაქტობრივად, ევროპული ქვეყნების უმრავლესობა თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად სამხედრო სავალდებულო სამსახურის აღიქვავს და ამ სისტემის დანერგვას ახდენს; სამხედრო სავალდებულო სამსახური ძალთა მობილიზებისა და სამხედრო უსაფრთხოების საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის სისტემაში; სსრკ-ს სამხედრო სავალდებულო სამსახურის სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვნული იყო, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის დაახლოებასა და საბჭოთა კავშირის, როგორც „ერთი სახელმწიფოს“ იდეის განმტკიცებას;

სავალდებულო გაწვევის სისტემის როლი და გავრცელების არეალი გაიზარდა პირველი და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. გარდა ამისა, გაიზარდა ინტენსივობა: გაფართოვდა წვევამდელთა ასაკის დიაპაზონი და რიგმა სახელმწიფოებმა, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ჩათვლით, სამხედრო სავალდებულო გაწვევას დაუქვემდებარეს მდედრობითი სქესის წარმომადგენლებიც. 21-ე საუკუნის დასაწყისში, მრავალმა ევროპულმა სახელმწიფომ უარი თქვა სამხედრო სავალდებულო სამსახურზე, მათ შორის საფრანგეთი (2001), იტალია (2005) და გერმანია (2011). თუმცა, ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის ჰეგემონური მისწრაფებების აშკარა რეალიზების შემდეგ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა კვლავ დაიწყეს საკუთარ ქვეყნებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის დაბრუნებაზე ფიქრი.

რაც შეეხება დამოუკიდებელ საქართველოს, უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე სამხედრო სავალდებულო სამსახური, უმეტესწილად, არსებობდა. ეს ცალსახად განპირობებული იყო ქვეყანის წინაშე არსებული საომარი საფრთხეებით. ამ მცირე პერიოდში ქვეყანამ ორი უთანასწორო ომი გადაიტანა (1992-93 წწ-ში აფხაზეთის ომი და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი) და სწორედ, ამ საფრთხეებიდან გამომდინარე აიხსნება სამხედრო სავალდებულო სამსახურის არსებობა.

## სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდაზე

სამხედრო სავალდებულო სამსახურის არსებობის ძირითადი მოტივი ყოველთვის იყო მასიური კონფლიქტების მოსამზადებლად ან თავდაცვისუნარიანობის ზრდისათვის საკმარისი სამხედრო ძალის შექმნა. საქართველოს უსაფრთხოების გარემო მოითხოვს ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების ამაღლებას. სავალდებულო სამხედრო სამსახური არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი აღნიშნული შესაძლებლობების გაზრდისთვის,[6] რადგან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე გავლენას რამდენიმე არხით ახდენს.

პირველი მათგანი არის კრიზისულ და საომარ ვითარებაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მიერ თავდაცვის ძალების აქტიურ კომპონენტთან ერთად მოქმედებით საბრძოლო შესაძლებლობების ზრდა. საქართველო დგას ფართომასშტაბიანი აგრესიის საფრთხის წინაშე, თუმცა მასზე ეფექტური რეაგირებისათვის არ გააჩნია საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების საკმარისი რესურსი. ამ დეფიციტის შესავსებად საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო რესურსის სინქრონიზაცია, რომლის მისაღწევადაც ყველაზე მარტივ და ეფექტურ მექანიზმს სამხედრო სავალდებულო სამსახური წარმოადგენს. მისი არსებობის შემთხვევაში, საომარი მდგომარეობისას, საკონტრაქტო პირების მთლიანი ძალისხმევა მიმართული იქნება პროფესიული ბრძოლისაკენ, ხოლო ლოჯისტიკურ, საცეცხლე და სხვა სახისმხარდამჭერი ოპერაციებისათვის გამოყენებული იქნება სამხედრო სავალდებულო სამსახურის რესურსი. ამგვარად, მოხდება თავდაცვის რესურსების ოპტიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება: მაღალი საბრძოლო შესაძლებლობების მქონე პირების რესურსები მიემართება ბრძოლის ველზე, ხოლო ლოჯისტიკურ, საცეცხლე და სხვა სახის დამხმარე ოპერაციებისთვის გამოყენებული იქნება სამხედრო სავალდებულო სამსახურის რესურსი.[7] უფრო მეტიც, „საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ პირებს შეუძლიათ უშუალოდ საბრძოლო შეტაკებებში მონაწილეობაც და საბრძოლო დანაკარგების შევსებაც.“[8]

მეორე არხი, რომლითაც სამხედრო სავალდებულო სამსახური გავლენას ახდენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე, არის მისი საშუალებით სამობილიზაციო და სარეზერვო სისტემის ეფექტიანობის ზრდა. „სამხედრო სავალდებულო სამსახური პირდაპირ ებმის სარეზერვო სისტემას, როგორც კი ადამიანი გადის დემობილიზაციაში ის ავტომატურად ხდება სარეზერვო ძალების სპეციალისტი“.[9] ტაქტიკურად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მომზადებული პირებით რეზერვის დაკომპლექტება გაზრდის მათ ბრძოლისუნარიანობას და შესაბამისად, თავდაცვისუნარიანობას. სამხედრო საქმის არმცოდნე სამოქალაქო პირებით რეზერვის შევსება ომიანობის დროს ქმნის პრობლემებს. მათ რიგებში მარტივად ისადგურებს პანიკა და დახმარების ნაცვლად დამატებით დაბრკოლებებს უქმნის აქტიურ სამხედრო კომპონენტს. ამის ნათელი დადასტურებაა 2008 წლის აგვისტოს ომი. ომში მონაწილეობა მიიღეს იმდროინდელმა სარეზერვო სისტემიდან გამოსულმა პირებმა, რომელთაც არ ჰქონდათ გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური. მათ უმრავლესობას არ გააჩნდა სათანადოდ ჩამოყალიბებული საბრძოლო სტრესთან გამკლავების უნარები, რის გამოც არაერთმა ხარვეზმა

[6] ინტერვიუკონსტანტინე პეტრიაშვილთან, 2021 წელი, 2 მარტი.
[7] ინტერვიუ მამუკა ქავთარაძესთან, 2021 წელი, 28 იანვარი.
[8] ინტერვიუზურაბაგლაძესთან, 2021წელი, 20იანვარი.
[9] ინტერვიუ ვახტანგ მაისაიასთან,2021 წელი, 6 მარტი.

იჩინა თავი. გარდა ამისა, „სამხედრო სავალდებულო სამსახურ გამოვლილმა მოქალაქეებმა შესაძლებელია პროფესიული სამხედრო სამსახური უფრო ქმედითუნარიანი გახადოს, რამდენადაც ისინი კონტრაქტს აფორმებენ შეგნებულად."[10]

მაშასადამე, სამხედრო სავალდებულო სისტემა ახდენს ბრძოლისუნარიანი ადამიანური რესურსის გენერირებას. მიუხედავად იმისა, რომ ომი გახდა ტექნოლოგიურად ზუსტი და საკმაოდ ტექნოლოგიურად განვითარებული ხელოვნება, მაინც რაოდენობა თავის როლს ასრულებს და ხშირ შემთხვევაში რაოდენობა გადადის უკვე ხარისხობრივ უპირატესობაში. მოწინააღმდეგის გათვლაში, როდესაც მან იცის, რომ მთელ რიგ მიმართულებებზე შეიარაღებული პირებიდგანან, მოწინააღმდეგე ახდენს თავისი გეგმების კორექტირებას, დამატებითი საბრძოლო ძალის, რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყოფით, იმისთვის, რომ შეასრულოს სამხედრო ამოცანა.[11] ამის გათვალისწინებით, მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ნაწილი უარს იტყვის სამხედრო აგრესიის წამოწყებაზე.

ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი ნეგატიური გარემოებების წარმოქმნის საფრთხე, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე, ეკონომიკური და სხვა სოციალური სფეროების გამართულ ფუნქციონირებაზე. ამის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ბუნებრივი/ ტექნოგენური კატასტროფები ან სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა. მათი წარმოშობა ხშირად მოულოდნელად ხდება და სახელმწიფო საჭიროებს დამატებით რესურსს ადეკვატური რეაგირებისთვის. შესაბამისად, ზოგჯერ რთულდება სამაშველო ღონისძიებების დროულად ორგანიზება ადამიანური რესურსების დეფიციტის გამო. ასეთ სიტუაციაში ყველაზე მარტივი და ეფექტური გამოსავალი სამხედრო სავალდებულო სამსახურის არსებობა და მათი საშუალებით პირველადი სამაშველო ოპერაციების განხორციელებაა. აღნიშნული საჭიროება კარგად გამოჩნდა 22 ივნისის წყალდიდობის დროს, როდესაც ადიდებულმა მდინარემ თბილისში საცხოვრებელი სახლები დატბორა და სტიქიის გასამკლავებად ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩართულობაც კი გახდა საჭირო. ზოგ შემთხვევაში, სტიქიას უფრო მძიმე შედეგები აქვს (მაგ. მიწისძვრა) და მასთან გამკლავება მოითხოვს სპეციალური ფიზიკური მომზადების მქონე პირების ჩართულობას. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი პირებს გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება მსგავსი სიტუაციების ეფექტური მენეჯმენტისთვის. რა კავშირშია ეს ყოველივე თავდაცვისუნარიანობასთან? ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობის დროს, ერთ კონკრეტულ ქვეყანაში შექმნილი პრობლემით შეიძლება ისარგებლოს მოწინააღმდეგემ, ამიტომ აუცილებელია პრობლემის დროული და ეფექტური მოგვარება, რაშიც სამხედრო სავალდებული სამსახური მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მეორეს მხრივ კი, საომარი მოქმედებების დროს ზოგჯერ სამშვიდობო მოსახლეობაზეც ხორციელდება თავდასხმა, მათთვის დახმარების გაწევისთვის ყველაზე რეალური რესურსი კი სწორედ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი პირები არიან. ამგვარად ეს არის მესამე არხი, რომლითაც სამხედრო სავალდებულო სამსახური აუმჯობესებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

## დასკვნა

მოცემულ სტატიაში განხილულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლენა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სახელმწიფოები სამხედრო სავალდებულო სამსახურზე მოთხოვნას ზრდიდნენ ომიანობის დროს, რადგან იკვეთებოდა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური ზრდის ქვეყნის საომარ შესაძლებლობებს და თავდაცვისუნარიანობას. კვლევამ აჩვენა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური ზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამობილიზაციო სისტემის ეფექტურობის ზრდაში; საომარ და კრიზისულ სიტუაციებში აქტიური კომპონენტის მხარდაჭერასა და შიდა უსაფრთხოების გაძლიერებასა და განმტკიცებაში. ბრძოლისუნარიანი და ფსიქოლოგიურად მომზადებული სამხედრო სავალდებულო სამსახურ გამოვლილი ძალა რეზერვის გაძლიერებითა და საომარ მდგომარეობაში ადამიანური რესურსის გაფართობით უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესაძლებლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Agladze, Zurab, interview by Giorgi Skhirtladze. 2021 . Conscription in Georgia (January 20).
2. Asal, V, J Conrad, and N Toronto. 2015. "The Determinants of Military Conscription;." Journal of Conflict Resolution 2.
3. Dzebisashvili, Shalva, interview by Giorgi Skhirtladze. 2021 . Conscription in Georgia (April 15).
4. Georgia, Goverment of. 2015. The National Security Concept of Georgia. Tbilisi: Goverment of Georgia.
5. Liluashvili, Grigol. 2021. Report of the State Security Service of Georgia 2020. Tbilisi: State security service of Georgia.
6. Maisaia, Vaxtang, interview by Giorgi Skhirtladze. 2021 . Conscription in Georgia (March 6).
7. Petriashviili, Konstantine, interview by Giorgi Skhirtladze. 2021. Georgian conscription (March 2).
8. Qavtaradze, Mamuka, interview by Giorgi Skirtladze. 2021 . Conscription in Georgia (January 28 ).
9. Ross, T. 2016. "A Positive Theory of Military Recruiment." The journal of conflict and economics 118.
10. Sikharulidze, Levan, interview by Giorgi Skirtladze. 2021. Conscription in Georgia (February 1).


[10] ინტერვიუ ლევან სიხარულიძესთან, 2021 წელი, 1თებერვალი.
[11] ინტერვიუშალვა ძებისაშვილთან, 2021 წელი, 15 აპრილი.

# 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომი ოკუპაციიდან დეზინფორმაციულ ომამდე

**თიკა ხუჭუა / მარიამ ჩიხლაძე**
საერთაშორისო ურთიერთობების, საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტები
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი**

ნაშრომში გამოკვლეული და დადგენილია რუსეთის პოლიტიკის რაკურსი საქართველოსთან მიმართებით 2008 წლის 8 აგვისტოს ოკუპაციიდან მიმდინარე საინფორმაციო ომამდე, რომელიც უკვე მრავალი წელია დღის წესრიგში დგას. რუსეთმა მრავალჯერ სცადა მოეხდინა საქართველოს პრო-დასავლური საგარეო პილიტიკის გაბათილება და საკუთარი ძალის ალტერნატიულ შემცვლელად წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ რუსეთი დასავლეთს ადანაშაულებდა 2008 წლის ომის დაწყებაში და მედიის დახმარებით ცდილობდა რუსი ხალხისგან მოეპოვენია თანადგომა, რათა თავისი ქმედებებისთვის ლეგიტიმური ხასიათი მიეცა.  გარდა ამასა, რუსეთმა საქართველო გამოაცხადა ყველაზე არამეგობრულ ქვეყანად 2013 წელს, ამერიკის შემდეგ. დეზინფორმაციის გავრცელება საკმაოდ საშიში იარღია, რომელსაც რუსეთი დიდი ხანია იყენებს და აღწევს დასახულ მავნებლურ მიზნებსაც. მაშინ, როდესაც 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიური წინსვლა მიმდინარეობს, შეუძლებელია მსგავსი პროპაგანდის ადვილად შეჩერება, თუმცა, ნაშრომში განხილული ვარიანტები თუ სრულად ვერ მოახდენს პრობლემის აღმოფხვრას, ვითარების შემსუბუქებაში მაინც დაგვეხმარება. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს რუსული მედიის პროპაგანდისტული პოლიტიკის ნათელყოფა და სიმართლის დემოსტრირება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რომელზეც საკმაოდ დიდი ზეგავლენა აქვს რუსულენოვან საინფორმაციო წყაროებს.

**საკვანძო სიტყვები:**
ოკუპაცია,  საინფორმაციო ომი, დეზინფორმაცია, რუსეთის პროპაგანდისტული პოლიტიკა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება

# FROM THE OCCUPATION OF AUGUST 8, 2008 TO THE WAR ON DISINFORMATION

**TIKA KHUTCHUA / MARIAM CHIKHLADZE**
International Relations, Social Sciences, Humanities and Education, Freshman
International Black Sea University

**ABSTRACT**

The article represents the research related to the perspectives of Russian policy towards Georgia from the war of 2008 till the disinformation that is the most significant issue even in the current political environment. Russia has tried several times to mislead Georgia's pro-western foreign policy and represent itself as an alternative supporting power. Russia blamed the west at the beginning of the 2008 war and with the help of the Media Russia tried to gain the support of its civilians. Russia aimed to legitimate his political actions. Besides that, Russia declared Georgia as the most unfriendly country after the United States in 2013. Spreading disinformation is a really dangerous weapon. 21 Century technological development makes it even more difficult to take control over media, hence there are few ways to work around fake news. Those mentioned methods will not provide the total solution, however, they will decrease Russian propaganda to some extent. This research aims to clarify the policy of Russia related to propaganda and disinformation and to demonstrate the truth. With the help of this to raise the awareness of the Russian population who are under the influence of Russian media.

**KEYWORDS:**
Occupation, Information Warfare, Misinformation, Russia's propaganda policy, Raising public awareness.

## 1 შესავალი

სამეცნიერო ნაშრომში გამოკვლეული და დადგენილია რუსეთის პოლიტიკური რაკურსი საქართველოსთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად, ყურადღება გამახვილებულია, 2008 წლის 8 აგვისტოს ოკუპაციის შემდგომ, რუსეთის მიერ განვითარებულ საინფორმაციო ომზე, რომელიც უკვე მრავალი წელია დღის წესრიგში დგას და ყოველი ჩვენგანისთვის საფრთხეს წარმოადგენს. მოძიებული ინფორმაცია შეიცავს უშუალოდ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ სამხედრო თავდასხმას და ომის შემდეგომ გადადგმულ ნაბიჯებს რუსი სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ, რომელიც გადაიზარდა დეზინფორმაციის გავრცელებაში და რომელმაც დიდი გავლენა იქონია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაზე.

კვლევა ეფუძნება საერთაშორისოდ ცნობილ თეორიებსა და ფაქტებს. მასში ასევე განხილულია პრობლემის შეფასების სხვადასხვა სტრატეგია, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო სოციალური ზემოქმედების ტიპს და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების მიყენების თავიდან აცილების გზებს, რომლის ვალდებულებაც მთავრობას უნდა ეკისრებოდეს, ადგილობრივ დასახლებულ ჯგუფებზე საფრთხის ასარიდებლად.

## 2 მეთოდოლოგია

ზემოაღნიშნული კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. მოვიძიე და გავეცანი უამრავ მასალას, რათა დამედგინა საბოლოო შედეგი და შემეფასებინა რეალობა. ჩემი საკვლევი სფეროდან გამომდინარე, მომიწია სხვადასხვა დოკუმენტაციისა და სტატისტიკური მონაცემების გადახედვა. გავეცანი 2008 წლის ომში მებრძოლი ადამიანების შეხედულებებს, დეზინფორმაციის გავრცელებისა და უკანონობის მიზეზებს, მნიშვნელოვნად გავამახვილე ყურადღება ადგილიბრივი მოსახლეობის შეხედულებებზე და დავასკვენი, რომ ეს კვლევა ნამდვილად წარმოადგენს საჭიროებას გაჟღერდეს, რადგან ის ძირითადად მოიცავს მოსახლეობის წინაშე არსებულ რეალურ პრობლემებს და აუცილებელია საქართველოში მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა მნიშვნელოვნად გაამახვილოს ამ პრობლემაზე ყურადღება.

## 3 თეორიული ჩარჩო

ომი, რომელიც 2008 წელს განხორციელდა რუსეთ-საქართველოს შორის, დიდი ხანია რაც აგრესიული რუსული საინფორმაციო ომის სამიზნედ მოიაზრება. რუსეთი ომის შემდეგ დღემდე აქტიურად ახორციელებს პროპაგანდას და მრავალი ხერხით ცდილობს გაავრცელოს დეზინფორმაცია როგორც რუსეთში, ასევე საქართველოს მოსახლეობასა და საერთაშორისო საზოგადოებაში. იგი აიძულებს მათ დაიჯერონ ომთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც რეალურად სიცრუეს წარმოადგენს. დროთა განმავლობაში, რუსეთი სულ უფრო მეტად ცდილობს გააღვივოს და გაამძაფროს წამოწყებული ომი და ამ მიზნის მისაღწევად იგი არაერთ ხერხს მიმართავს სამხედრო თავდასხმებისა და კიბერშეტევების სახით, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსკოვმა საქართველოს დიპლომატიური და პროპაგანდისტული იარაღითაც დაარტყა, ამ ყველაფრის მთავარი მიზანი კი იყო ისევ და ისევ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ომის ბრალეულობის თავიდან აცილება და ბრალის საქართველოზე წაყენება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს უარყოფით მხარესთან ერთად გარკვეული დადებითი მხარეც გააჩნია, კერძდ, კრიზისის დროს ბაზარზე ხდება კონკურენტების გაქრობა, რაც იძლევა გარკვეული პოზიციის დაკავების საშუალებას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისი, ეს ისეთი მდგომარეობაა, რა დროსაც ქვეყანამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი არამხოლოდ კრიზისების დასაძლევად, არამედ მისთვის ხელსაყრელი მომენტისა და პირობების გამოსაყენებლადაც. ყველანაირი ხერხის გამოყენებით დროულად უნდა აღკვეთოს ეკონომიკური რეგრესი და შეიმუშაოს პროექტები ეკონომიკის ზრდისთვის.



**საკვანძო სიტყვები:**
ეკონომიკური კრიზისი. მსოფლიო ბაზარი. ექსპორტ-იმპორტი. ანტიკრიზისული ღონისძიებები.


# 2008 WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA


**PAATA MEMIADZE**
PhD student in Engineering Economics
Georgian Technical University
Thesis Supervisor: GTU Associate Professor Tea Bidzinashvili,
Academic Doctor of Business Administration



**ABSTRACT**

A study of the degree of crisis intensity shows that each crisis and hence the economic cycle is different from each other and historically unique. Therefore, the impact of the global economic crisis on the Georgian economy and the study of ways to overcome it, further development of ways to develop our country and provide relevant advice is extremely important. The global economic crisis has shown us the need to establish a unified system of global measures and to develop unified mechanisms for its implementation. Individual macroeconomic entities are required, on the one hand, to adopt general global activities and, on the other hand, to advance their views, which will be directed towards the realization of the economic capabilities of the state within the world economy.

It should also be noted that global economic crises also have some positive aspects: this is the best moment to eliminate competitors in the market and take a certain position. Therefore, the economic crisis is a situation in which the country must use all the levers at its disposal not only to overcome crises but also to take advantage of the moment and conditions favorable to it. Economic means must be used to prevent economic regression promptly and to develop projects for economic growth.



**KEYWORDS:**
economic crisis. World Market. Export-import. Anti-crisis measures.

## შესავალი

ეკონომიკური კრიზისი არის მნიშვნელოვანი დისბალანსი ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც ხშირად თან ახლავს დანაკარგები და კავშირების გაწყვეტა წარმოებასა და საბაზრო ურთიერთობებში. ეს საბოლოოდ იწვევს დისბალანსს მთლიან ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში.

ეკონომიკური კრიზისის შედეგია რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის შემცირება, მასიური გაკოტრება და უმუშევრობა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. საბაზრო ეკონომიკაში კრიზისი გარდაუვალია: რეგულარული, რეგულარულად განმეორებადი კრიზისი ნებისმიერი სისტემის ციკლური განვითარების შეუცვლელი ეტაპია.

**თემის აქტუალობა** მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიო კრიზისი გავლენას ახდენს ყველა ქვეყანაში, ისინი ქმნიან სისტემის ტრანსფორმაციის წინაპირობებს - ან მის გადასვლას ახალ ხარისხობრივ მდგომარეობაში, ან სიკვდილს, დაშლას და ჩანაცვლებას ახალი, უფრო ეფექტური სისტემით, ამიტომ მნიშვნელოვანია პროცესისი სწრაფი გაცნობიერება და ეფექტური ანტიკრიზისული მენეჯმენტი.

**სტატიის მიზანია** მსოფლიო ეკონომიკის მწვავე ფინანსურ კრიზისში შესვლის მიზეზების და პირობების გაანალიზება, რასაც რეცესიები მოჰყვა. ყურადღება ექცევა ამ კრიზისის რთულ ხასიათს, რაც უკავშირდება იმას, რომ მასში ერთმანეთში იყო გადახლართული როგორც ტრადიციული ციკლური პარამეტრები, ასევე გამწვავებული სტრუქტურული დისბალანსი და ეკონომიკის ჩამოყალიბებული სპეკულაციურ-ფინანსური მოდელის სისტემური ხარვეზები. მსოფლიო ეკონომიკისა და ეროვნული ეკონომიკური სისტემების ეკონომიკური სტრუქტურის ტიპის შეცვლის აუცილებლობა დასაბუთებულია მისი შესაძლო მიმართულებების განსაზღვრით.

**დამოუკიდებელი ცვლადი**: 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი

**დამოკიდებული ცვლადი**: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

სტატიაში გამოყენებულია კვლევის თვისობრივი, რაოდენობრივი და ანალიზის მეთოდი.

## გლობალური კრიზისის წარმოშობა

2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი არის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2008 წელს გამოიხატა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების სახით. მისი უშუალო წინამორბედი იყო აშშ-ს იპოთეკური კრიზისი, რომლის პირველი ნიშნები 2006 წელს გამოჩნდა სახლების გაყიდვების შემცირების სახით და 2007 წლის დასაწყისში გადაფარვის იპოთეკური სესხის კრიზისში გადაიზარდა. ქონების ფასების 20%-იანი ვარდნით, ამერიკელი სახლის მეპატრონეები გაღარიბდნენ თითქმის 5 ტრილიონი დოლარით. 2008 წლის დასაწყისისთვის კრიზისმა მიიღო გლობალური ხასიათი და თანდათანობით გამოიკვეთა წარმოების მოცულობის, ნედლეულ მოთხოვნისა და ფასების, გაიზარდა უმუშევრობა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებში იპოთეკური კრიზისმა მსოფლიო ბანკებში ლიკვიდურობის კრიზისი გამოიწვია 2008 წლის სექტემბერში: ბანკებმა შეწყვიტეს სესხების გაცემა, განსაკუთრებით, ავტომობილების შესაძენად. შედეგად, ავტოგიგანტების გაყიდვების მოცულობამ დაიწყო კლება. სამმა ავტოგიგანტმა Opel-მა, Daimler-მა და Ford-მა ოქტომბერში განაცხადეს წარმოების მოცულობის შემცირებაზე გერმანიაში. კრიზისი გავრცელდა უძრავი ქონების სექტორიდან რეალურ ეკონომიკაში, დაიწყო რეცესია და წარმოების შემცირება.

კრიზისის გაჩენა უკავშირდება შემდეგ ფაქტორებს:

- ეკონომიკური განვითარების ზოგადი ციკლური ხასიათი;
- საქონლის მაღალი ფასები (ნავთობის ჩათვლით);
- საფონდო ბირჟის გადახურება;
- საკრედიტო ბაზრის გადახურება და ამის შედეგად იპოთეკური კრიზისი;
- ახალი შემოწმებული ფინანსური მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება - საკრედიტო დეფოლტის სვოპები და სხვა წარმოებულები.[1]

1980-2000 წლებში სამომხმარებლო საქონლის დიდი კრიზისის შემდეგ, 2000-იან წლებში აღინიშნებოდა მოხმარების ბუმი, რასაც თან ახლდა საქონლის ფასების მუდმივი ზრდა, მაგრამ 2008 წელს ბევრმა საქონელმა, განსაკუთრებით ნავთობმა და სურსათმა, იმ დონემდე მიაღწია, რომ მათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი მიაყენეს, რაც საფრთხეს უქმნიდა სტაგლაციას და გლობალიზაციას. 2008 წლის იანვარში ნავთობის ფასებმა ბარელზე 100 დოლარს გადააჭარბა, 2008 წლის 11 ივლისს WTI ნედლი ნავთობის ფასმა მიაღწია თავის

---

1 Колосова Е.В. Мировой кризис 2008 года https://works.doklad.ru/view/NXOOIUlQq8Q.html

რეკორდს - 147,27 აშშ დოლარს ბარელზე; რის შემდეგაც დაიწყო შემცირება - იმავე წლის 24 ოქტომბერს 61 დოლარამდე და ნოემბერში 51 დოლარამდე. სურსათისა და საწვავის კრიზისები განიხილეს ივლისში G8- ის 34-ე სამიტზე.[2]

ნავთობსა და ბენზინზე მაღალმა ფასებმა გამოიწვია მანქანებზე მოთხოვნის შემცირება: 2008 წლის აგვისტოში ევროპაში ავტომობილების გაყიდვები შემცირდა 16% -ით, შეერთებულ შტატებში სექტემბერში, ავტომობილების გაყიდვები შემცირდა 26% -ით, იაპონიაში - 5,3% -ით. ამან ავტო ინდუსტრიასა და მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებში გამოიწვია ლითონის წარმოებისა და სამუშაო ადგილების შემცირება.

## ეკონომიკური კრიზის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არაერთგვაროვან გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნებზე. მისი ზემოქმედება ბევრად არის დამოკიდებული ამ ქვეყნების ინტეგრაციაზე მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, საგარეო ვაჭრობის ბალანსზე, ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობასა და მეზობელი ქვეყნების ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა, გეოპოლიტიკური მდებარეობა, ხელისუფლებაში კრიზისებთან ბრძოლის მექანიზმის არსებობა და ეკონომიკური საფრთხეებისგან ქვეყნის დასაცავად გატარებულ ღონისძიებები.[3]

ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო იმპულსებზეა დამოკიდებული, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, ცხადია, გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზეც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკამ 2008 წელს ორმაგი დარტყმა მიიღო. მასზე უარყოფითი გავლენა იქონია არა მხოლოდ მსოფლიო კრიზისმა, არამედ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა, რამაც ქვეყანა თვისობრივად ახალი ამოცანების წინაშე დააყენა.[4]

2008 წლის გაზაფხულიდან საქართველოში დაიწყო ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი თავისი არსით აისახა ორ წერტილში. ერთის მხრივ, მკვეთრად დაეცა მოხმარება, გაყიდვები და ფასები. ამ ყველაფერმა ბიზნესის საქმიანობა შეზღუდა და სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. მეორეს მხრივ, ეკონომიკაში უნდობლობის მომენტი გაჩნდა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა შეიზღუდა - საინვესტიციო საქმიანობა შემცირდა, ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საკრედიტო პოლიტიკა გაართულეს. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო საინვესტიციო საქმიანობის შეზღუდვა და საერთაშორისო ფინანსური რესურსები. მოკლედ, საერთაშორისო ფინანსურმა კრიზისმა გაამძაფრა საქართველოს ეკონომიკის ფინანსური რესურსების პრობლემა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ორი გზით იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე. ერთის მხრივ, ისინი რეალური პრობლემების მაჩვენებელი გახდნენ, ხოლო მეორეს მხრივ, ომმა კიდევ უფრო გაამწვავა არსებული ვითარება. ინვესტიციების შემოდინება ომში გადარჩენილ ქვეყანაში კიდევ უფრო წარმოუდგენელი გახდა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვის რეალური შესაძლებლობა არ არსებობდა. გარდა ამისა, ომის შემდეგ, სერიოზული ფინანსური რესურსი იყო საჭირო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ომის შემდგომი ვითარების საჭიროებების დასაფინანსებლად.[5]

2008 წლის ოქტომბერში დასავლეთის ქვეყნებმა საქართველოს 4,5 მილიარდი დოლარის ფინანსური დახმარება გაუწიეს, საიდანაც 2,5 მილიარდი გრძელვადიანი სესხია, ხოლო 2 მილიარდი გრანტი. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ დახმარებამ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკის კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. 2008 წლის ბოლოს მშპ 2.1%-ით გაიზარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 22% -ით შემცირდა და 1.564 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2009 წლის პირველ სამ კვარტალში 505,2 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იქნა მიღებული. 2009 წლის ბოლოს მშპ მხოლოდ 3.8%-ით შემცირდა, უფრო მეტიც, ამ შემცირების შესამჩნევი ნაწილი ასოცირდება რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებთან. სამრეწველო წარმოება იმავე წელს 8,5% -ით შემცირდა.[6]

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოში არ ასახულა სრულად, რაც, პირველ რიგში, აიხსნება მსოფლიო ეკონომიკაში მისი შედარებით დაბალი ინტეგრაციით.

---

[2] Колосова Е.В. Мировой кризис 2008 года https://works.doklad.ru/view/NXOOIUIQq8Q.html

[3] Равлиашвили С. Мировой экономический кризис и Грузия //и глобализация, 2011, т. 5, вып. 3-4, с. 64

[4] პაპავა ვ. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში // ეკონომისტი, 2009, №4, გვ. 5

[5] Кукуладзе З. Война спасла экономику http://bizzone.info/articles/1258592529.php

[6] Экономический кризис в Грузии (2008-2010) https://amp.ru.info-com.in/2457468/1/ekonomicheskiy-krizis-v-gruzii-2008-2010.html

საქართველო წარმოადგენს ნეტო-იმპორტიორ ქვეყანას, მისი იმპორტი 5-ჯერ აღემატება ექსპორტს, ხოლო ქვეყნის საექსპორტო პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე არ სარგებლობს განსაკუთრებული მოთხოვნით.

## დასკვნა

საბაზრო ეკონომიკა ხასიათდება რესურსების ირაციონალური გამოყენებით, რომლის თვალსაჩინო გამოხატულებაა ეკონომიკური კრიზისი საზოგადოების მიერ შექმნილ საწარმოო ძალებზე დამანგრეველი ზემოქმედებით, საწარმოო შესაძლებლობების არამიზნობრივად გაზრდა და უმუშევრობა.

საბაზრო ეკონომიკას არსებობის განმავლობაში მუდმივად ახლავს კრიზისი. კრიზისი გარდაუვალია: რეგულარულად განმეორებადი კრიზისი ნებისმიერი სისტემის ციკლური განვითარების შეუცვლელი ეტაპია. კრიზისი, მთელი თავისი ტკივილის მიუხედავად, პროგრესის აუცილებელი ელემენტია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსალოდნელი კრიზისებისა და მათი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პროგრამა, რომელშიც ძირითადი ადგილი ეთმობა ეროვნული წარმოების განვითარებასა და იმპორტირებული საქონლის ადგილობრივი პროდუქტებით ჩანაცვლებას. საჭიროა შემუშავდეს მონეტარული პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს ბანკის საპროცენტო განაკვეთებს და ამით ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს როგორც არსებულ რეალობას, ასევე მომავალში მოსალოდნელ პროცესებს რეგიონში და ზოგადად, მსოფლიოში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. პაპავა ვ. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში // ეკონომისტი, 2009, №4
2. Колосова Е.В. Мировой кризис 2008 года https://works.doklad.ru/view/NXOOIUlQq8Q.html ბოლოს ნანახია 19.06.17
3. Кукуладзе З. Война спасла экономику http://bizzone.info/articles/1258592529.php
4. Равлиашвили С. Мировой экономический кризис и Грузия //и глобализация, 2011, т. 5, вып. 3-
5. Экономический кризис в Грузии (2008-2010) https://amp.ru.info-com.in/2457468/1/ekonomicheskiy-krizis-v-gruzii-2008-2010.html ბოლოს ნანახია 19.06.17
6. დსთ-ს ქვეყნები და გლობალური კრიზისი: საერთო პრობლემები და განსხვავებული მიდგომა. FBK კომპანიის ანალიტიკური ანგარიში. მ., 2009.
7. სოლომონ პავლიაშვილი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო. http://www.for.ge/view.php?for_id=4095&cat=3 ბოლოს ნანახია 19.06.17
8. http://www.bec.ge/images/doc/eekonomikuri%20krizisis%20sedegebi%20da%20misi%20dazlevis%20gzebi.pdf ბოლოს ნანახია 26.04.21
9. დიდი დეპრესია https://bpn.ge/ekonomika/6191-didi-depresia.html?lang=ka-GE ბოლოს ნანახია 26.04.21

# სამშვიდობო ოპერაციების როლი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში

**სალომე შარაშიძე / სალომე ონიანი**
სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: ქეთევან ჩახავა

**აბსტრაქტი**

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახლავთ სამშვიდობო ოპერაციებისა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება, განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში. ნატოს სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძენს მნიშვნელოვან საბრძოლო გამოცდილებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცების მიმართულებით. სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, არის ნატოს სანდო პარტნიორი და ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული ნატოსთან თავსებადი ჯარი, რაც ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი კრიტერიუმია. საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებასა და შესაბამისი გამოცდილების მიღებას განაპირობებს, რაც საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით. საერთაშორიო სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის, რომელსაც აქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და რომლის ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ეს მონაწილეობა ხელს უწყობს ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ნატო კი დღესდღეობით ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია მსოფლიოში.

**საკვანძო სიტყვები:**
ჩრდილოატლანტიკური ალიანსი; ევროინტეგრაცია; სამშვიდობო ოპერაციები; თავდაცვა; კონფლიქტი.

# THE ROLE OF PEACE-KEEPING OPERATIONS IN GEORGIA'S EURO-ATLANTIC INTEGRATION PROCESS

SALOME SHARASHIDZE / SALOME ONIANI
Social Sciences, Humanities and Education Faculty
International Black Sea University

**ABSTRACT**

North Atlantic Treaty Organization had to undergo multiple changes throughout the history in order to adjust to be prepared to tackle any new challenges. One of these adjustments being providing involvement in peacemaking operations and crises regulations regardless of the geographic area of the conflicts. One of Georgia's main foreign and homeland security policies include partnering with the NATO and becoming its member. Georgia puts a lot of hope into NATO to guarantee defense and stability for the country. Although, it is important to notice that the policies that Georgian government passes, which are directed towards molding this country into one that meets the requirements and recommendations for becoming a member of NATO in the future, are simultaneously helpful with further advancing the democratic processes.On its behalf, Georgia, as a contender for the future membership of NATO, plays a significant role in boosting the defensive effectivity of the organization. Georgia participates in many peacemaking operations as a contributing country to the welfare of the NATO. With involvement with these actions, Georgia is a noteworthy benefactor for the process of maintaining the international peace and stability. In addition, Georgian military is gaining valuable experience, which greatly influences the country's ability to defend itself in a positive way. While participating in these activities, Georgia proved that it is fully capable of contributing support for the global surveillance, is NATO's dependable partner and has a highly advanced military compatible with the alliance, which is one of the key requirements for the membership of the organization. Participation in the international missions provides maintenance of the full alert state of the Georgian troops and thus, allocating needed experience, which is a required component for providing the defense capabilities of the country and is interesting for further integration and communion into the members and partner countries of the NATO. Association of young Georgian troops in the international peacemaking missions is immensely significant for preserving Georgian sovereignty and countering the problem of conserving disintegrating unity, around twenty percent of the country's territories are currently occupied by the Russia. This involvement also provides to lay the ground for further integration of Georgia into the North Atlantic Treaty Organization, the most effective and the strongest military-political alliance in the contemporary world.

**KEYWORDS:**
North Atlantic Alliance; Euro-integration, Peace-keeping operations, Defense; Conflict.

## 1. შესავალი

საქართველო პატარა სახელმწიფოა, არაკეთილმოსურნე მეზობლით, ამიტომ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია გახდეს ნატოს წევრობა, რომელიც მას საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში დაეხმარება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა ქვეყნისთვის ქმნის ეროვნული უსაფრთხოების გარანტს,თუმცა მიზნის მიღწევა ვალდებულებების პირნათლად შესრულების გარეშე უტოპიურია და შესაბამისად სახელმწიფოს მოუწევს პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა მომავალი წინსვლისათვის. ნაშრომის აქტუალობასგანაპირობებს საქართველოს, როგორც დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების დამმკვირდრებელი სახელმწიფოს მისწრაფებები და მცდელობები რომ გახდეს ევროატლანტიკური ორგანიზაციების ღირსეული წევრი სახელმწიფო. ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპისკენ,კერძოდ კი,ნატოში ინტეგრაციისკენ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა წარმოადგენს, რომლებშიც საქართველო საკმაოდ აქტიურად არის ჩართული. ქვეყანნის დაახლოება ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან შესამჩნევი წინსვლით მიმდინარეობს. ასევე იღებს როგორც თეორიულ, ასევე ფასეულ პრაქტიკულ ცოდნას პირადი შემადგენლობის მომზადების დონის ზრდისა და საერთაშორისო დონეზე იმიჯისმკვეთრად გაუმჯობესებისათვის.თემის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობის სურვილის მკაფიოდ წარმოჩენა. მისი ჩართულობა ავღანეთის, მალის, ერაყის, კოსოვოს, ასევე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სამშვიდობო მისიებში შეიძლება ჩაითვალოს მკვეთრ ხაზგასმად იმ ფაქტისა, რომ სახელმწიფო სრულ მზადყოფნაშია მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო მასშტაბის პრობლემების მოგვარენაში. კვლევაში წარმოჩნდება საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს ჩართვის მნიშვნელობა, რომელიც აუცილებელი წინაპირონაა ქვეყნის იმიჯის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ხელს უწყობს სამხედროე სტრუქტურების პროფესიონალიზმის გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი და ეფექტური გზა არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დასაახლოვებლად.

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევა, როგორც თვისობრივი კვლევის ერთ-ერთი ეფექტური და საინტერესო მეთოდი. თვისობრივი კვლევა დაგვეხმარა გვეწარმოებინა დაკვირვება, კლასიფიცირება სხვადასხვა დოკუმენტისა და ინტერნეტმასალის. განსხვავებით რაოდენობრივი კვლევისგან, რომელიც ეფუძნება სტატისტიკას, თვისებრივი კვლევა გულისხმობს ვერბალურ (სიტყვიერ) აღწერას. ვერბალური აღწერა ანუ საბუთების, დოკუმენტების ანალიზი, რომელიც აქტიურად გვაქვს გამოყენებული კვლევის წარმოების ეტაპზე. ინფორმაციის ფისქირების ფორმის მიხედვით ჩვენი საბუთების კლასიფიცირება ძირითადად წერილობით ხასიათს ატარებდა. საბუთების ანალიზის ერთ-ერთ ფორმად გამოვიყენეთ კონტენტ-ანალიზი, რომელიც შინაარსის უკეთ გაგებასა და განზოგადებაზეა ორიენტირებული. შინაარსის ანალიზი კომუნიკაციის მანიფესტური (აშკარა და დაგეგმილი) და ლატენტური (ფარული, გაუთვალისწინებელი) შინაარსის სისტემატიზებისა და შეჯამების საშუალებას გვაძლევს.კვლევა ფასდება ორი ნიშნით: დასაბუთებულობა და სანდოობა, შესაბამისად, ნაშრომის წერის დროს ეს ორი უმთავრესი კრიტერიუმი მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნა.

## 3. ნატო-საქართველოს ურთიერთობები

საქართველოსუსაფრთხოებისადასაგარეოპოლიტიკისერთ-ერთმთავარპრიორიტეტსჩრდილოატლანტი კურიხელშეკრულებისორგანიზაციასთანდაახლოებადაშემდგომში,რათქმაუნდა,გაწევრიანებაწარმოადგენს. საგულისხმოა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის როლი ქვეყნისსტაბილურობისა და თავდაცვისუნარიანობის სრულყოფის კუთხით. ამავდროულად, საგულისხმოა,რომრეფორმები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარდასრულყოფილად ესადაგებანატოშიგაწევრიანებასთანდაკავში რებულძირითადმოთხოვნებსა თუ ალიანსისრეკომენდაციებს, ასევე ეს რეფორმებიმნიშვნელოვნადუწყობსხ ელსქვეყანაშიდემოკრატიის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ჯერჯერობით უალტერნატივო ფორმის წინსვლას. მეორესმხრივ, საქართველო, როგორც ნატო-ს მომავალიწევრი, საგულისხმოფუნქციას ასრულებს ევროატლანტიკურიუსაფრთხოებისგანმტკიცებისსაქმეში.

ჩრდილოატლანტიკურმაალიანსმათავისი არსებობის ისტორიაში მრავალი ცვლილებაგანიცადა, რათამის წინაშე მდგარ გამოწვევებს სრულყოფილად გამკლავებოდა. ერთ-ერთიასეთიუმნიშვნელოვანეს იცვლილებაგახლავთკრიზისებისრეგულირებისა თუ სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვისგადაწყვეტილება, კონფლიქტისგეოგრაფიულიადგილმდებარეობისათუ არეალის გათვალისწინების გარეშე, რადგან გეოგრაფიული სივრცე ორგანიზაციის მისწრაფებებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ უნდა ყოფილიყო.

ალიანსში დასძენენ,რომსაფრთხისთვის შემზღუდველ ფაქტორებს არ წარმოადგენს ადგილმდებარეობა და მასშტაბურობა, იგი მზადყოფნას გამოთქვამს, რათა ქმედითი ნაბიჯები გადადგას ნებისმიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი.მე-20საუკუნის 90-იანწლების განმავლობაშინატო-მ შეძლოპირველადგანეხორციელებინასამშვიდობოოპერაციები. კერძოდ, ბალკანეთში-1995 წელს, კოსოვოში-1999 წელს, ხოლო მაკედონიაში2001წელს, სადაციუგოსლავიისსოციალისტურ-ფედერალურირესპუბლიკისდაშლისსისხლიანმაკონფლიქტმასერიოზულისაშიშროებაგამოიწვიაარამხოლოდრეგიონალური, არამედსაერთო-ევროპულიუსაფრთხოებისთვისაც. 2003 წელს ავღანეთში არსებული ნატოს მისია იყო მტკიცებულება იმისა, რომ ალიანსსაქვსუნარი და შესაძლებლობა, გადაჭრას პრობლემები არამხოლოდმისიძირითადი პასუხისმგებლობის არეალის–ევროპულ სივრცეში, არამედმისმიღმაც. ჩრდილოატლანტიკურიალიანსისარსებობის განმავლობაში ავღანეთის მისია იყო მასშტაბურობით მოწინავე პოზიციაზეევროატლანტიკურისივრცისმიღმა.საქართველო 2015 წლიდან ჩაერთონატოსგადამწყვეტიმხარდაჭერისმისიაში ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაცამერიკისშეერთებულიშტატებისშემდეგ, სამხედრომოსამსახურეთარაოდენობითი წვლილით, რიგშიმეორეკონტრიბუტორის ადგილს იკავებს.

## 4. საერთაშორისო სამშვიდობომისიებშიჩართულობა დანატო-საქართველოსსამხედრო-პოლიტიკურიურთიერთობებისგანვითარებისარსებული პერსპექტივები

საქართველოსადანატოსურთიერთთანამშრომლობისისტორიასაკმაოდ ხანგრძლივია. სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვისსასიცოცხლომნიშვნელობის მატარებელია ალიანსშიგაწევრიანება დაამიტომსაქართველომტკიცედ დგას არჩეულ გზაზე და ცდილობსსრულაოდგაიზიაროსმისიპრინციპები და მოთხოვნები. ნატოსუპირველესდა უმთავრეს ამოცანასწევრიქვეყნებისსაფრთხისაგან თავის არიდება და მათი დაცვა წარმოადგენს. ხელშეკრულებისმეხუთემუხლისთანახმად, ნატოსნებისმიერწევრქვეყანაზეთა ვდასხმა აღიქმება ყველაწევრზეთავდასხმად, სწორედამიტომისერთადერთისაერთაშორისოორგანიზაციაა, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის იღწვის.პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობები არსებობს. მათიუმეტესობამონაწილეობასიღებს სამშვიდობომისიებში.ყველაპარტნიორსდაკისრებულიაქვსკონკრეტულიმოვალეობა, რომელთაშესრულება იქცევა გარანტად მსოფლიო სტაბულურობისა და მშვიდობისა. 1991 წელი საქართველოსთვის რამდენადაც სასიხარულო, ამდენად საფრთხის მომტანი აღმოჩნდა. დამოუკიდებლობისმოპოვებისშემდეგ ქვეყანას უნდაშეენარჩუნებინაროგორცტერიტორიული მთლიანობა, ასევეუსაფრთხოებადადემოკრატიულიგანვითარება, ამიტომქვეყნისთვის პრიორიტეტულად ევროპასთან დაახლოება იქცა.

## 5. საქართველოსწვლილისაერთაშორისოსამშვიდობომისიებშიდამისიებისროლიქვეყნისთავდაცვისუნარიანობისკუთხით.

როდესაც სსრკ დაიშალა, მე-20 საუკუნის ბოლოს, ამ ნგრევამ სათავე დაუდო პოლიტიკურ სივრცეშიახალიდ ამოუკიდებელიერთეულების გაჩენას.დამოუკიდებლობისაღდგენისშემდეგ, სოციალისტურიბანაკისყოფილმა წევრმა სახელმწიფოებმა აქცენტიგააკეთესდასავლურსამყაროსთანურთიერთობის დამყარებაზე და მათი პოლიტიკური გეზიც აქეთკენ მიიმართა. ერთ-ერთი მათგანი იყოსაქართველოც, რომელსაცსამართლიანად სურდაევროპულოჯახში საკუთარი ადგილის დამკვიდრება. თუმცა, დასავლურსამყაროშიკუთვნილიადგილის დამკვიდრება მოითხოვსროგორმოთხოვნების შესრულებას, რომელთა დაკმაყოფილებაც სავალდებულოა. ერთ-ერთიყველაზემნიშვნელოვანი, რაცევროატლანტიკურსივრცესთანდაახლოებაშიგვეხმარებასაქართველოსსაერთაშორისომისიებშიმონაწილეობაა. საქართველორეგიონულიდაგლობალურიუსაფრთხოებისფორმატების აქტიური მონაწილეადამნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისოუსაფრთხოებისგანმტკიცებისპროცესში, როგორცდაკისრებული ვალდებულებებისა და ფუძემდებლური პრინციპების, სამშვიდობო კონვენციებსა და შეთანხმებებთან შეერთების,ასევესაერთაშორისო სამშვიდობოოპერაციებშიმონაწილეობისგზით. საერთაშორისომისიებშიმონაწილეობასაქართველოსეროვნულიუსაფრთხოებისათვისსაკმაოდ მნიშვნელოვანია. სარგებელი, რასაცსაქართველოამყველაფრის შესრულების შემდეგ იღებს შემდეგია:

- ევროატლანტიკურსტრუქტურებთან მჭიდრო კავშირის დამყარებადანატოსთანთავსებადობისმნიშვნელოვანი ზრდა;
- პირადიშემადგენლობის,თავდაცვითი თუ შეტევითი გამოცდილების დაროგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მომზადებისდონისზრდა;
- საერთაშორისოუსაფრთხოებისგაძლიერებაშისაგულისხმო წვლილისშეტანა, რითაცქვეყნისიმიჯიუმჯობესდება დასაერთაშორისოარენაზეიგითავს იმკვიდრებს,როგორცსაერთაშორისოუსაფრთხოების ერთ-ერთი კონტრიბუტორი.

## 6. საქართველოსმონაწილეობასაერთაშორისოსამშვიდობოოპერაციებში

საქართველოწარმოადგენს ევროატლანტიკურიუსაფრთხოებისკუთხით კონტრიბუტორქვეყანას. იგიაქტიურადიღებს მონაწილეობასსხვადასხვასამშვიდობოოპერაციაში.ქვეყანა ჩართულიასაერთაშორისოუ საფრთხოებისადასტაბილურობისგანმტკიცებისპროცესში დამნიშვნელოვანიწვლილიმიუძღვისმსოფლიოსს ხვადასხვაწერტილშისაერთაშორისოოპერაციებისწარმატებით განხორციელებაში.საერთაშორისომისიებშიმ ონაწილეობასაქართველოსთავდაცვისძალებისქვედანაყოფებისმაღალისაბრძოლომზადყოფნისდონისშენა რჩუნებისადაშესაბამისიგამოცდილებისმიღების საგულისხმო გარანტია,რაცქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვან საფუძველსწარმოადგენსდახელს უწყობს საქართველოსევროატლანტიკურიინტ ეგრაციას, ასევე ნატო-სწევრდაპარტნიორქვეყნებთანთავსებადობისამაღლებას.

## 7. ქართველიჯარისკაცებისსამშვიდობოოპერაციებშიმონაწილეობის მოწინააღმდეგეთა მიზეზები

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სახიფათო პროცესს წარმოადგენს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა, მით უმეტეს,იმ ფაქტის გათვალისწინები, რომ სამხედროებს მსოფლიოს უცხელეს წერტილებშიუწევთ მსახურება.ამ კუთხით გამოირჩევა ერაყი და მით უმეტეს, ავღანეთის სამხრეთიპროვინციები. არგუმენტების ნაწილი სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია,თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო კონტინგენტის საერთაშორისო ოპერაციებში ჩართულობის მოწინააღმდეგეთა შორის ძირითადად პრორუსული პოლიტიკის მომხრე პირები არიან, რომლებიც ფარულადთუ ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას. მათი არგუმენტი, ვინც ეწინააღმდეგება სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას არის ის, რომ საქართველომ ამ მონაწილეობის მანძილზე საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო, დაიღუპა ან ჭრილობა მიიღო 100-მდე სამხედრო მოსამსახურემ. დიდი დანაკარგის გარდა, საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელი და გაუგებარია ქართული კონტიგენტის რაოდენობრივისიდიდე. ხშირად ის რიცხოვნობით უსწრებს ნატოს წევრ სახელმწიფოთა კონტიგენტსაც კი.2013 წლის შემდეგ, ქართველ სამხედროთა რიცხვმა 16750-ს მიაღწია და გადაასწრო ავსტრალიას, რომელიც გამოირჩეოდა ყველაზე დიდი კონტიგენტით არაწევრ სახელმწიფოთა რიგებში. აღნასანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართველები სამშვიდობო მისიასავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში, ჰელმანდის პროვინციაში ახორციელებენ.კრიტიკული არგუმენტებიდან ერთ-ერთია წარსულის გამოცდილება რომელმაც გვიჩვენა დიდი კონტიგენტის არსებობასთან დაკავშირებული საფრთხეები, როდესაც 2008 წელს რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს ქართული საჯარისო ნაწილების დაახლოებით 10% ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა.არსებობს არგუმენტი იმისაც, რომ მიუხედავად საქართველოს დიდი მსხვერპლისა საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის დროს,ამ ფაქტორმა ვერ უზრუნველყო საერთაშორისო თანამეგობრობისგან საჭირო მხარდაჭერა აგვისტოსომში.საგულისხმოა,ის ფაქტი,რომ საქართველოს არ გააჩნია არანაირი გარანტია საჭიროების შემთხვევაშითავაგანწირვის საზღაურის მიღებისა. ნებისმიერ არგუმენტებს აქვს არსებობის უფლება, თუმცა გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელსაც ქვეყანა იღებს ამ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დროს.

## 8. საერთაშორისოსამშვიდობომისიებიდან მიღებული სარგებელი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სისტემისთვის:

- ჯარისკაცების მომზადების დონის ზრდა და ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობა.
- საერთაშორისო სამშვიდობო საკითხებში თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება;
- თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების ეფექტურობის ზრდა, იარაღის ფლობისა და მისი გამოყენების წვრთნის უფასო შესაძლებლობა.
- საქართველოს წარმოჩენასაერთაშორისო უსაფრთხოების კონტრიბუტორ ქვეყნად;
- ქართული ჯარის საერთაშორისო პრესტიჟის საგულისხმო ზრდა და ავღანელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნის შესაძლებლობა;
- საერთაშორისო პარტნიორების მოსაზრების გამყარება იმის თაობაზე, რომ საქართველო მართლაც არის ღირსეული კანდიდატი ევროატლანტიკური სივრცის წევრობისა.

## 9. ყოფილი ვიცე-პრემიერგიორგიბარამიძისარგუმენტებიშეკითხვაზე თუ რატომ გადაწყვიტა საქართველომ მნიშვნელოვანი რესურსების ჩადება საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით.

გიორგი აბრამიძე დასძენს,რომ ქვეყნისთვის საჭიროა ძლიერი ჯარი, რომელიც აქტიურად დაიცავს შიდასახელმწიფოებრივ ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე საქართველოს ერთიანობისთვისა

და საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა... ხოლო მესამე საყურადღებო ინტერესი არის ის, რომ ტერორიზმს არ ჰქონდეს ფეხის მოკიდების საშუალება.მსოფლიოო მშვიდობის უდიდეს მტერთან-ტერორიზმთანბრძოლისპროცესშიქართველისამხე დრო პირები იღებენ შეუფასებელ პრაქტიკულგამოცდილებას.ამ არგუმენტსემხრობა სამხედრო სფეროს ექსპერტთა უმრავლესობა. ასევებევრისთვისიმედისმომცემიანატოსწესდებისმე-10 მუხლთან, ანუალიანსისგ აფართოებისპერსპექტივებთან, დაკავშირებულიარგუმენტი. თუმცაამდაახლოებასარაერთიმხარეაქვსდამიზნის მისაღწევად ალიანსის სტანდარტების დაკმაყოფილება აუცილებლობას წარმოადგენს. საერთაშორისო დაუსაფრთხოებისკვლევისცენტრისხელმძღვანელინიკაჩიტაძეამბობს, რომ,,ანტიტერორისტულომშიდიდიწვლილისშეტანითსაქართველოსმხრიდანხდებაგარკვეულიკომპენსირებაიმისა, რომქვეყანარიგიმიმართულებებითარაკმაყოფილებსალიანსისსტანდარტებს''. იგი ამბობს , რომ საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილი არ განსაზღვრავს ალიანსში მიღების სისწრაფეს.,,მაგალითად, ბოსნიას, რომელსაც ავღანეთში სულ 10 სამხედრო ჰყავს გაგზავნილი, უკვე შესთავაზეს მაპი საქართველოს კი, თავისი მასშტაბური წვლილით, ასე ვთქვათ, ჯერ ისევ შორიდან ეპატიჟებიან თეორიულად ღია კარში''. ანალიტიკოსტა აზრით რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის დამსახურებაა არსებული ბარიერები,თუმცა თავად ალიანსი ამ ფაქტორს რეალობად არ აღიქვამს და საქართველოს აძლევს რეკომენდაციას დემოკრატიული სტრუქტურების სრულყოფისთვის.

## დასკვნა

წარმოებული კვლევისა და წყაროების გაცნობის საფუძველზე ნათელი გახდა საქართველოს, როგორც სამშვიდობო მისიებში მნიშვნელოვანი კონტრიბუტორის, სწრაფვა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებისკენ. ნატო-ს სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშვიდობიანი მსოფლიოს აღმშენებლობის პროცესში, რომელიც მიმართულია მულტიპოლარული, სამართლიანი გარემოს განმტკიცებისკენ. აღნიშვნის ღირსია ის გამოცდილება, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალები იღებს სამშვიდობო ოპერაციების დროს და ცხადია, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია არსებული გამოცდილება. საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ გაამყარა ნდობა იმის შესახებ რომ მას, როგორც ერთ-ერთ უდიდეს კონტრიბუტორს შეუძლია გლობალური უსაფრთხოების დაცვის სადარაჯოზე მყარად იდგეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.ასევე ცხადია საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში არის დასტური იმისა, რომ ქვეყანას ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული ნატოს კრიტერიუმებთან აბსოლუტურად თავსებადი ჯარი,რაც ნატოში გაწევრიანებისთვის უმნიშნელოვანესი ფაქტორია.სამშვიდობო და სტაბილიზაციის მისიებში ქართველი ჯარისკაცების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობისსათანადოდ შესრულება წარმოადგენს მიზეზს იმისა, რომ საქართველო მსოფლიო მასშტაბით აქტუალურად განიხილება, როგორც მაპის კანდიდატი ქვეყანა და მოკავშირეების მხარდაჭერის მოპოვებაში მნიშვნელოვნად გვეხმარება ეს ყველაფერი.აუცილებელია ითქვას, რომ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს საშუალებას მიიღონ უნიკალური სამხედრო გამოცდილება,რაც ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის მკვეთრ ზრდას. საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო და სტაბილიზაციის მისიებში საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა მსხვერპლი, რომელსაც საქართველო საერთაშორისო ოპერაციებში იღებს, ძალიან მძიმე და დიდია.

საერთაშორიო სამშვიდობო მისიებში ქართულიქვედანაყოფების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის, რომელის ტერიტორიული მთლიანობა სამწუხაროდ დარღვეულია , რადგან ქვეყნის 20 პროცენტიოკუპირებულია რუსეთის მიერ. ხსენებულ ოპერაციებში აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ნატო კი დღესდღეობით ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია მსოფლიოში და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო მისიებშიმონაწილეობა უდიდეს დანაკარგთან არის კავშირში, საბოლოოდ ეს მომავალში აუცილებლად მოიტანს სარგებელს და წაადგება სახელმწიფოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის დაჩქარებაში, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს სწრაფი და მნიშვნელოვანი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ ნატო-საქართველოს ურთიერთობები, ის როლი, რომელიც ენიჭება ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. ქვეყნისმცდელობები, რათა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. თემაში წარმოჩენილია საქართველოს ჩართულობის მნიშვნელობა ისეთი

დონის სამშვიდობო მისიებში როგორიცაა ავღანეთი, კოსოვო, ერაყი, ცენტრალური აფრიკისა და მალის რესპუბლიკა. აღნიშნულ მისიებში ჩვენი ქვეყანა წარმოჩინდა ერთ-ერთ მოწინავე კონტრიბუტორად, რომელიც არ იშურებს სამხედრო ძალასა თუ ენერგიას დასახული მიზნის მისაღწევად. დიდი ხნის განმავლობაში მისიების შესრულებისას ქართველ ჯარისკაცებს უწევდათ ძალიან რთულ და სარისკო დავალებებთან შეჭიდება, რაც მათთვის წარმატებით დასრულდა და ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წინაშე საქართველოს როგორც საიმედო მოკავშირის, სახელის დამკვიდრებას.ჩრდილოატლანტიკურორგანიზაციასთან მჭიდრო ურთიერთობების დამსახურებაა, რომ საქართველო ფლობს მაღალ დონეზე გაწვრთნილ და ორგანიზებულ ჯარს,რომელსაც შეუძლია სრულფასოვნად ჩართვა სამშვიდობო მისიებში და საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.იმ ფონზე, როცა ჩვენი ქვეყნის გარკვეული ნაწილი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, ქართველი სამხედროების ჩართულობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში აზრთა სხვადასხვაობის მიზეზია. ამასთან ნათელია რომ ალიანსთან დაახლოების შემთხვევაში ქვეყანას დაეკისრება უფრო მეტი ვალდებულება, მაგრამ მეორესმხრივ ალიანსის წყალობით საქართველო იძენს დიდ და საიმედო პარტნიორს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რეკომენდაციაა არ გადაუხვიოს ქვეყანამ არჩეულ კურსს და კონტრიბუცია, რომელიც უდიდესია საქართველოს მხრიდან არ იქნეს შემცირებული, რადგან ჩვენს სრულ მზადყოფნასა და სულისკვეთებას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი მონდომებითა და სიბეჯითით. ჩვენ აუცილებლად გავხდებით ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი და კუთვნილ ადგილს დავიკავებთ საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა რიგებში, ამ ყველაფრის მიღწევაში კი მნიშვნელოვნად დაგვეხმარება სამშვიდობო ოპერაციებში ჩვენი მონაწილეობა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. n.d. http://old.infocenter.gov.ge/georgia-and-nato/.
2. კუნჭულია, ლელა. 2010. "საქართველოს არმიის როლი საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში." https://www.radiotavisupleba.ge/a/2053740.html.
3. სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის. n.d. Accessed May 2021. https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan.
4. —. n.d. mod.gov.ge. Accessed May 2021. https://mod.gov.ge/ge/mission.
5. სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა. n.d. mfa.gov.ge. https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%.
6. ქურდაძე, ანა. 2020. Jule. https://openscience.ge/bitstream/1/2096/1/Ana%20Kurdadze%20Samgistro.pdf.
7. ჩიხლაძე, შალვა. 2015. "საქართველოს კონტრიბუცია საერთაშორისო მისიებში და მისი როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში." Accessed May 2021. http://acge.ge/2015/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/.
8. ცენტრი, ნატოს საინფორმაციო. n.d. Accessed May 2021. http://old.infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/.

# ენობრივი ბარიერი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში

ბაკურ ჩილინგარაშვილი
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის იუნკერი
ეროვნული თავდაცვის აკადემია

**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატია ცდილობს გამოიკვლიოს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ინტეგრაციული გამოწვევები საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. კვლევის ობიექტია საკვლევ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობა, კონკრეტულად - სომეხი ეთნოსი. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ეთნოსის ინტეგრაციული გამოწვევების შესწავლა. საკითხის შესასწავლად გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობისთვის ენობრივი ბარიერის არსებობა ინტეგრაციის ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

**საკვანძო სიტყვები:**
ეთნიკურად სომეხი უმცირესობა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ენობრივი ბარიერი, ინტეგრაცია.

# LANGUAGE BARRIER AND RELATED CHALLENGES IN THE ETHNIC ARMENIAN POPULATION

BAKUR CHILINGARASHVILI
Junker of the Master of Defense Analysis Program
National Defense Academy

**ABSTRACT**

This article strives to research the integration challenges of the representatives of the ethnic minorities in Georgia, in particular in the Samtskhe-Javakheti region. The subject of research is ethnic minority dwelling in the research territory, in particular Armenian ethnos. The basic aim of the research is the examination of the integration challenges of this ethnos. Qualitative research methods and quantitative research methods are used to study the issue. The research revealed that the language barrier is one of the basic hindering factors for the densely populated ethnic minority.

**KEYWORDS:**
Armenian ethnical minority, Samtskhe-Javakheti region, language barrier, integration.

## შესავალი

საქართველო არაერთი ეთნოსის სამოსახლოა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დონის შესწავლა. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირების გზაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებები იკვეთება, სწორედ ამ გამოწვევებს შეისწავლის სტატია, რომელიც ეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების, სომხების ინტეგრაციის გამოწვევებს. წინამდებარე სტატია იკვლევს ენობრივ ბარიერსა და იმ სირთულეებს, რასაც კომუნიკაციის დაბალი დონე წარმოშობს. კვლევის მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, სომხების თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის თავისებურებების შესწავლა.

ქვეყნის უახლესი ისტორიის მანძილზე მიღებულმა მტკივნეულმა გამოცდილებამ ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე, ეგრეთ წოდებული ჰიბრიდული ომის პირობებში ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობასთან მჭიდრო ერთობის შენარჩუნება, რამეთუ გაუცხოება შესაძლოა სეპარატიზმის, მესამე ძალის დასაყრდენი, თუნდაც მცირე ან ფართომასშტაბიანი კონფლიქტების წარმოშობის საფუძველიც კი გახდეს. ინტეგრაციის დაბალი დონით გამოწვეული შესაძლო საფრთხეების გარდა, მნიშვნელოვანია იმის გათავისება, რომ ეთნიკური უმცირესობები, ისევე როგორც ქართველი ერი, ქვეყნის ერთიანი ორგანიზმის ნაწილია ერთმანეთთან უფლებებითა და ვალდებულებებით. თავის მხრივ, ეთნიკური უმცირესობების მიერ ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა და მათი თვითშეგნების ამაღლება პრობლემებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში მათი პოტენციალისა და შესაძლებლობების, აგრეთვე სურვილისა და ვალდებულებების ჯეროვნად შეფასების, ჩართულობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის გზების ძიება მუდმივი პროცესია.

**სტატია შედგება ორი საკვლევი კითხვისგან:**

RQ 1 რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში ენობრივი ბარიერის არსებობას?

RQ 2 რა გამოწვევების წინაშე აყენებს ენობრივი ბარიერი ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას?

**საკვლევი კითხვიდან გამომდინარე კვლევაში მოხდა ორი ჰიპოთეზის გენერირება:**

H 1 საბჭოთა მემკვიდრეობამ განაპირობა ენობრივი ბარიერის წარმოქმნა ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში, რამაც თავის მხრივ განაპირობა ინტეგრაციის დაბალი დონე.

**დამოუკიდებელი ცვლადი:** საბჭოთა მემკვიდრეობა

**შუალედური ცვლადი** - ქართული სახელმწიფოს ნაკლებეფექტური პოლიტიკა ენის სწავლების საკითხებში

**შუალედური ცვლადი:** ენობრივი ბარიერი

**დამოკიდებული ცვლადი:** ინტეგრაციის დაბალი დონე

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, კვლევაში გამოყენებულია სოციალური კვლევის **კომბინირებული (Mixed methods)** მეთოდი, რაც გულისხმობს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების კომბინაციას და ინტეგრაციას ერთსა და იმავე კვლევაში.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, კვლევა ეყრდნობა თვისებრივი მეთოდის ისეთ ტექნიკებს, როგორიცაა: **სიღრმისეული ინტერვიუები, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, პროცესის მიდევნება (Process Tracing) და შემთხვევის შესწავლა (Case Study).** სტატიაში განხილულია კვლევის საგნის ირგვლივ არსებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. რეგიონის მოსახლეობის ინტერესების, ისტორიული ტენდენციების შესწავლა მოხდა სწორედ თვისობრივი კვლევის მეთოდის კონტენტ - ანალიზის საშუალებით; ნაშრომში გამოყენებულმა პროცესის მიდევნების (Process Tracing) მეთოდმა, საშუალება მომცა მომეხდინა საკითხის ქრონოლოგიურად შესწავლა; შემთხვევის შესწავლის მეთოდით, რომელსაც დაეყრდნო კვლევა, შესწავლილ იქნა საქართველოს შემთხვევა, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური სომხები, ხოლო სიღრმისეულმა ინტერვიუებმა შესასწავლი საკითხის სპეციალისტებთან, მონაცემთა შეგროვების პროცესში დიდი წვლილი შეიტანა.

რაც შეეხება რაოდენობრივ მეთოდს, მონაცემთა შეგროვებისათვის გამოყენებულია **სტატისტიკური მონაცემები და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი,** რადგან საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია რეგიონისა და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დემოგრაფიისა და პოპულაციის სტრუქტურის შესახებ.

## სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ისტორიული მიმოხილვა

სამცხე-ჯავახეთი მულტიკულტურული რეგიონია, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით და აერთიანებს სამ ისტორიულ მხარეს - სამცხე, ჯავახეთი და თორი. მას ესაზღვრება თურქეთისა და სომხეთის სახელმწიფოები.[1]

მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების შედეგად, დღეს სამცხე-ჯავახეთი სხვადასხვა ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფის წარმომადგენლებით არის დასახლებული. ეს არის რეგიონი, სადაც ქართველები

---

[1] საქართველოს მთავრობის განკარგულება №1373; სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წწ სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე; 2013წ 18 სექტემბერი; ქ. თბილისი; გვ. 5

(43.35%), სომხები (54.6%), ბერძნები (0.36%) და სხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსახლეობა (1.7%),[2] როგორებიც არიან რუსები და ოსები - წლების მანძილზე ერთად ცხოვრობენ. ეთნიკური სომხები რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ, თუმცა, მათი რაოდენობით გამოირჩევა ჯავახეთის ისტორიული პროვინცია, რომლის შემადგენლობაშიც არის ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები. ჯავახეთის მოსახლეობის 94.8% ეთნიკური სომხები წარმოადგენენ (ახალქალაქი-94.22% და ნინოწმინდა - 95.78%).

სომხურ-ქართული ურთიერთობა ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დამდეგს იწყება. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა საქართველოში სომხური მოსახლეობის პირველი ფენა, საუკუნეების განმავლობაში საქართველო სომხებისთვის სამხრეთიდან მომავალი დამპყრობლისგან თავდასაცავს წარმოადგენდა. სომხეთის ტერიტორიიდან შემოსული ლტოლვილები ძირითადად რჩებოდნენ და ქართული სახელმწიფოს ქვეშევრდომები ხდებოდნენ.

სომეხი მოსახლეობის საქართველოს ტერიტორიაზე შენარჩუნება სასურველი იყო ქართველი მეფეებისთვის და მათი კომფორტისთვის არაერთ ნაბიჯს დგავდნენ. სწორედ ამიტომ, უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა.[3]

მოგვიანებით, ანდრიანოპოლის ზავით შემოერთებული ტერიტორიები, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, 1828 წელს რუსეთის მიერ აღების შემდეგ მკვიდრმა მოსახლეობამ დატოვა. ეს იყო გაცვლითი გადასახლება. ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები ხელისუფლების მიერ იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ თურქეთში, მათ მაგივრად კი არზრუმიდან 3000 სომეხი ჩაასახლეს. სამცხე-ჯავახეთში სომხების ჩამოსახლება ხელისუფლების სტრატეგიას წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ამ ფაქტის მეშვეობით მათ ოსმალეთის საზღვართან ერთგული მოსახლეობა ეყოლებოდა, რომელიც გარდა ქვეყნის საზღვრის დაცვისა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაშიც მიიღებდა მონაწილეობას.[4]

1895-96 წლებში თურქეთში მომხდარი სომხების დევნის შედეგად 19 000 ლტოლვილი ქართულ რაიონებში დასახლდა. შედეგად XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრები სომხები სიდიდით მესამე ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ და მათი რაოდენობა 47 ათასი იყო, რაც მთელი მოსახლეობის 6.0%-ს წარმოადგენდა.

სომეხთა კომპაქტურად დასახლებამ და რუსულმა ,,გათიშე და იბატონე" პოლიტიკამ სომეხ ხალხში XX საუკუნის დასაწყისში არაერთხელ გააღვივა სახელმწიფოსგან განცალკევების სურვილი, მიზეზად კი ასახელებდნენ იმას, რომ მათი ოლქი ალექსანდროპოლთან (იმდროინდელ გუმბრთან) უფრო იყო ეკონომიკურად დაკავშირებული, ვიდრე თბილისთან და ტერიტორიების მიკუთვნების მთავარ პრინციპად ეთნიკური უმრავლესობის გათვალისწინებას მოითხოვდნენ, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.[5]

1990-იანი წლები დამოუკიდებელი საქართველოსთვის რთული პერიოდი აღმოჩნდა, სამოქალაქო ომის დაწყება პირდაპირ აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით კი რეგიონებზე[6]. სამცხე-ჯავახეთი მიტოვებული იყო ცენტრალური ხელისუფლებისგან. რეგიონის გაუმართავმა ინფრასტრუქტურამ, ქართული ენის არმცოდნე ეთნიკურ უმცირესობის იზოლაცია გამოიწვია. სახელმწიფო ენის არცოდნამ სოციალურ და სახელმწიფოებრივ საკითხებში ჩართვა შეუძლებელი გახადა, შედეგად ისინი თავს საქართველოს მოქალაქეებად არ თვლიდნენ. ამასთან, ადგილობრივ მოსახლეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთმა. 62-ე ქვედანაყოფის რუსული ბაზა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმებასთან ერთად ვაჭრობის რესურსებსა და რუსეთთან მჭიდრო კავშირებს სთავაზობდა ახალქალაქში ადგილობრივ მკვიდრებს კიდევ უფრო მეტად აშორებდა ცენტრალურ ხელისუფლებას.[7] ვარდების რევოლუციის შემდეგ ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული საერთო დამოკიდებულება შეიცვალა, ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, იმდროინდელმა მთავრობამ „ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის სტრატეგია" განავითარა, მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია" რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვას და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობას, რაც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: კანონის უზენაესობა,

---

[2] საქსტატი

[3] საქართველო; 2008 წ; ,,ეთნოსები საქართველოში''; თბილისი; საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა; გვ.90-91

[4] შ.ლომსაძე,სამცხე-ჯავახეთი,თბ,1975; გვ342-362

[5] ივ.ჯავახიშვილი ; ,, ქართველი ერის ისტორია''; თბილისი ; გვ 280-282

[6] იგორ ბონდირევი (Igor Bondyrev) და ზურაბ დავითაშვილი (Zurab Davitashvili), op.cit, გვ.3-4.

[7] სანდრა ველიო მატეუ; სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში:სამოქალაქო ინტეგრაცია და ბარიერები2016 წ, გვ.7-8

განათლება, სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია და კულტურული იდენტობის დაცვა.[8]

## კვლევის შედეგები და ანალიზი

საქართველოს მულტიკულტურალიზმის მაგალითად სრულიად ობიექტურად შეიძლება განვიხილოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, სადაც ცალსახაა, რომ ჯავახეთის რეალობაში ეროვნული უმცირესობა არის ქართველი, ხოლო უმრავლესობა სომეხი.[9] ამიტომ, სომეხ მოსახლეობასთან დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოსთვის. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შემცველია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობის დეზინტეგრაცია. ხშირ შემთხვევაში, ამგვარი დასახლებებში ღვივდება ავტონომიის მოთხოვნის სურვილი, რისი დამტკიცებაც შეიძლება გახდეს აღნიშნული რეგიონის გამოყოფის მიზეზი, ასეთ დროს კი იზრდება სხვა ქვეყნის ჩარევის რისკი.

ინტეგრაციისთვის მთავარია, რომ ეთნიკურ უმცირესობების ჰქონდეთ ნდობა სახელმწიფოს მიმართ და მიიჩნიონ საკუთარი თავი სახელმწიფოს ნაწილად. მათი ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა და თვითშეგნების ამაღლება პრობლემებთან არის დაკავშირებული. პირველი არის უნდობლობა, მეორე ფინასური დაინტერესების პრობლემა და მესამე ინსტიტუციებისადმი დამოკიდებულების პრობლემა.[10]

თუ შევეხებით ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით ზოგად საკითხებს, ისინი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- საკუთარი იდენტობის დაკავშირება საქართველოსთან;
- ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის სურვილი და შესაძლებლობა;
- ქვეყნის მხრიდან ინტეგრაციისთვის გადადგმული ნაბიჯების სწორად აღქმა, (არა როგორც ასიმილაციის მცდელობა, არამედ, საკუთარი ინტერესების ინტეგრირება სახელმწიფოს ინტერესებთან);

ეს ზოგადი საკითხებია, რომელიც ინტეგრაციისთვის აუცილებელია იმისგან დამოუკიდებლად, ტერიტორია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულია თუ არა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინტეგრაციის საშუალებები, გზები, იარაღი. არსებობს სამი ყველაზე მძლავრი იარაღი: ენა, განათლება, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ხელშეწყობა.[11]

სიტუაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპაქტურად დასახლებულ მოსახლეობას „გამძაფრებული" აქვს ნაციონალური გრძნობები, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს აღიქვამს ასიმილაციის მცდელობად და ეწინააღმდეგება მას. ამიტომ, ნდობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გაჩნდეს განცდა, რომ მათი ეროვნული იდენტობა დაცულია. ქართული სახელმწიფო ყოველთვის ქმნიდა ისეთ პირობებს, როგორიც არის: ზოგადი განათლება ნაციონალურ ენაზე, სომხურენოვანი თეატრი, ნაციონალური ქორეოგრაფიული და ხალხური ანსამბლები, მედია საშუალებები მშობლიურ ენაზე; თუმცა, სამწუხაროდ, ინტეგრაციის ხელშეწყობა მხოლოდ იწყება ამ პირობების შექმნით, ეს ერთგვარი ნდობის მანდატია, რომელზეც უნდა დაშენდეს შემდგომში ურთიერთობები, როგორიც არის სამოქალაქო ინტეგრაცია, პოლიტიკურ-სოციალური ინტეგრაცია და სახელმწიფო თავდაცვის სფეროში ინტეგრაცია.[12]

ინტეგრაცია განიხილულ უნდა იქნას, როგორც კომპლექსური პროცესი, რომელიც იწყება, ფართოვდება, ღრმავდება და მუდმივად ვითარდება, ე.ი. უწყვეტია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების თანმიმდევრულობაზე, ერთდროულობაზე და ა.შ. საკითხი იმის შესახებ, რომ რომელიმე ნაკლებ მნიშვნელოვანია, არ დგას. შესაძლოა განვიხილოთ, რომელი უფრო ფართოა და მეტ ძალისხმევას საჭიროებს. ინტეგრაციის უპირობო აუცილებლობაა ერთ ენაზე საუბარი - სახელმწიფო ენის ფლობა. სამცხე-ჯავახეთში ჯერ კიდევ არ არის გავლილი ეტაპი, როდესაც მოსახლეობა ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ იყენებს შუამავალ ენას-რუსულს. აუცილებელია მათი საკომუნიკაციო ენა გახდეს სახელმწიფო ენა, როგორც ეს არის ევროპისა და მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მათ აუცილებლად უნდა ისწავლონ ქართული, რადგან სახელმწიფო ენაა; ქართულის ცოდნიდან სარგებელი უნდა დაინახონ, რადგან, თუ მათ კარიერას, პიროვნულ კეთილდღეობას ხელს უწყობს ენის სწავლა, ის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სწავლობს კიდეც. ოღონდ იმიტომ არა, რომ საქართველოს მოქალაქეა, არამედ იმიტომ,

---

[8] საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740; სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ; შესავალი

[9] ინტერვიუ მ. ბერიძესთან, 2021წ.

[10] იქვე..

[11] ინტერვიუ მ. ბერიძესთან 2021წ.

[12] იქვე..

რომ პრაგმატულად დაინახა- ქართული ეცოდინება - მიაღწევს წარმატებას, დასაქმდება, შემოსავალი ექნება. ამიტომ, თუ ლინგვისტურად და სოციოლოგიურად მივუდგებით: სახელმწიფო ენის სტატუსი არ უნდა იყოს თავს მოხვეული, ეს ამ ენის ბევრ სფეროში გამოყენებას უნდა ნიშნავდეს და ამიტომ უნდა გაუჩნდეთ მისი სწავლის სურვილი.[13]

ენის არ ცოდნა თავისთავად ქმნის განათლების მიღების ბარიერს. თუმცა, შეიძლება სხვა ვერსია განვიხილოთ - განათლების არ ქონა ენის არ ცოდნაზე ახდენს გავლენას. თუმცა შედეგი ერთია. ვღებულობთ საზოგადოების ჯგუფს, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას, არ აქვს განათლება და შესაბამისად, არც აქტიური მონაწილეობით გამოირჩევა, როგორც ეკონომიკურ და კულტურულ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში. თითოეული კი უკავშირდება მოქალაქეობრივი აქტივობების შემცირებას სხვადასხვა დარგში, საზოგადოებისგან იზოლირებას და საბოლოოდ ასოცირდება ემიგრაციასთან.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა პოსტსაბჭოთა ადრეულ პერიოდში. მაშინ, როდესაც საბჭოთა პოლიტიკით დამკვიდრებულმა კომუნიკაციისთვის მისაღებმა რუსულმა ენამ მნიშვნელობა დაკარგა. სახელმწიფო ენის არ ცოდნამ კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებსა და დანარჩენ ქართველ მოსახლეობას შორის თითქოს კედელი აღიმართა, თუმცა, მისი დესტრუქცია დაწყებულია. აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც რომ ენის არ ცოდნა არ არის მხოლოდ ცალკეული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი, შეუძლებელია ამ პრობლემის იზოლირება, აღნიშნულმა შეიძლება უბიძგოს უდიდესი პრობლემის გაღვივებას, ქვეყნის მთლიანობის ხელყოფას, სეპარატისტული განწყობის ფორმირებას.

იზოლირებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ენის ბარიერი ქმნის საინფორმაციო იზოლაციის ფონს. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად აისახება, როგორც უმცირესობების მიერ დანარჩენ საზოგადოებაზე ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, ასევე პირიქით. გამომდინარე სახელმწიფო ენის არ ცოდნიდან, საქართველოს მაგალითზე, სომეხი საზოგადოება იღებს ინფორმაციას სომხური ან რუსული საინფორმაციო წყაროებიდან, აღნიშნულის ჭეშმარიტების კოეფიციენტი არც თუ ისე მაღალია. რუსულ საინფორმაციო საშუალებებზე დაკვირვების შედეგად დადასტურდა, რომ შინაარსობრივად შეიცავს ანტიდასავლურ მახასიათებლებს.[14] ასეთ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობა იღებს სხვა ქვეყნის კუთხიდან დანახულ, სხვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ეს კი ქმნის სხვა ქვეყნების მიერ ამ ეთნოსის წარმომადგენლებზე გავლენის და მათი შესაძლებლობით მანიპულირების საფრთხეს. მათ არ აქვთ სახელმწიფოსთან პოლიტიკური იდენტობის განცდა: მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია ქართველი საზოგადოებისგან და ერთგვარ ექსკლუზიურ რეჟიმში ცხოვრობს. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების დამოკიდებულება საქართველოს, როგორც სამშობლოს მიმართ ნაკლებად სასიამოვნოა, ვინაიდან ,,ისინი ჯერ იდენტიფიკაციას ახდენენ ადგილთან - ჯავახეთთან, მერე სომხეთთან და ამის შემდეგ აღიქვამენ თავს საქართველოს მოქალაქედ''[15] , თუმცა, ამ შეხედულებაში უკვე შეინიშნება გარკვეული ცვლილებები.

## დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, სომხების თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, ინტეგრაციის პროცესის თავისებურებების შესწავლა. როგორც კვლევაშია წარმოდგენილი, ქვეყანა ჯერ კიდევ ცდილობს შეცვალოს ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კი კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების, მდგომარეობა და აღმოფხვრას ის პრობლემური საკითხები, რომელიც სოციალური რესპუბლიკის გავლენით საკმაოდ ღრმად იყო ჩანერგილი მოსახლეობაში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ინტეგრაციის გზაზე არსებული პრობლემები, რაც ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელ, მანკიერ წრეს ქმნის. კვლევამ ცხადყო, რომ არსებობს ერთი უზარმაზარი პრობლემა - ენის ბარიერი, რომლის გადაჭრისთვის მოქმედებები უკვე დაწყებულია, თუმცა, იგი მაინც მწვავედ დგას მოსახლეობის წინაშე. ქვეყანაში არსებული ეთნიკურ უმცირესობებში ენის დაძლევის საგანმანათლებლო პროგრამები ეფექტური, მაგრამ არასაკმარისია, მისი არასაკმარისობა კი მათი ინტეგრაციის დონის საერთო სურათს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ შეცვლის, მითუმეტეს, თუ ახლად ათვისებულ სახელმწიფო

---

[13] ინტერვიუ მ. ბერიძესთან 2021წ.

[14] ,,საქართველოს ევროატლანტიკურ საკითხებზე უმცირესობით დასახლებული რეგიონების ინფორმირება; ,,მედიის განვითარების ფონდი'' , ,,ღია საოგადოების ფონდი''

[15] ინეტერვიუ მ. ბერიძესთან

ენას არ ექნება ფართო პრაქტიკული გამოყენება, არ იქნება მუდმივი კომუნიკაცია, რაც იზოლირებულ მდგომარეობაში, არც თუ ისე მარტივია. შესაბამისად, მეტად ეფექტურს გახდის კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ქართული კომუნიკაციის კერების გაფართოვება, როგორიც არის ადგილობრივი ქართული სოფლების განვითარების, გაფართოვების ხელშეწყობა, რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის ხელშეწყობა და ქართულ ბაზართან დაკავშირება, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების განთავსება და მასში ეთნიკური სომეხთა უფრო ფართოდ დასაქმება. როგორც ზევით ავღნიშნე, ახალქალაქში ერთ დროს რუსული ბაზის არსებობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსული ენის დამკვიდრებაში, უკვე არსებული გამოცდილებით, უნდა აღინიშნოს ქ. ახალქალაქში არსებული თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის როლი და პოტენციალი, რომელიც მარტივად შეიძლება იქცეს კომუნიკაციის ამაღლებისა და კათილგანწყობის ძირითად კერად, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ინტეგრაციის ხელშეწყობა უნდა გახდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1373; სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წწ სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე; 2013წ 18 სექტემბერი; ქ. თბილისი;
2. საქსტატის მონაცემები; სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით .
3. საქართველო; ,,ეთნოსები საქართველოში'' ; თბილისი; საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა; 2008 წ;
4. შ.ლომსაძე,სამცხე-ჯავახეთი,თბ,1975
5. ჯავახიშვილიი. ;,,ქართველი ერის ისტორია'' ; თბილისი ,,პალიტრა L''2012წ;
6. იგორ ბონდირევი (Igor Bondyrev) და ზურაბ დავითაშვილი (Zurab Davitashvili), op.cit,
7. სანდრა ველოი მატეუ, ,,სომეხი უმცირესობა სამხცე-ჯავახეთის რეგიონში:სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები''; 2016წ
8. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740; სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სიღრმისეული ინტერვიუ:

მაკა ბერიძე -სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ახალციხე 2021

# რუსეთის ჰიბრიდული ომის სტრატეგია საქართველოში და გამოწვევები დასავლეთისთვის

**თამარ ჩოგოვაძე / რუსუდან ლომთათიძე**
სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები / შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: ქეთევან ჩახავა

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს რუსეთის ჰიბრიდული ომის სტრატეგიებს საქართველოსთან მიმართებაში და ამ კუთხით არსებულ დასავლეთის გამოწვევებს. კვლევა ფოკუსირებულია, რომ წარმოაჩინოს მოსკოვის ქმედებების ეფექტურობა თბილისთან მიმართებაში და ამას გარდა დასავლეთის პრაგმატული პოლიტიკის ნაკლოვანებები. კერძოდ, იკვლევს რუსეთის ჰიბრიდული ომის წარმოების მიმართულებებს და ხაზს უსვამს ქვეყნის იმპერიულ ზრახვებს საუკუნეების განმავლობაში, რომელსაც კარგად ხსნის საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაც. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვი თბილისს თავის უკანა ეზოდ აღიქვამს და ცდილობს თავისი გავლენის შენარჩუნებას.

ნაშრომში განხილულია რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ის დოქტრინები, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ დღესაც საფუძვლად უდევს კრემლის ქმედებებს. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომები ძალიან ბევრ პრობლემას უქმნის დასავლეთის, რომელიც რეალურად ვერ დგამს ქმედით ნაბიჯებს. ნაშრომი იკვლევს საქართველოს პოზიციასაც, რომელიც მოიცავს პრაგმატული პოლიტიკის განხორციელებას ქვეყნის მხრიდან. ამის ფონზე თბილისი ოკუპირებული ტერიტორიების მიუხედავად ცდილობს არ გააღიზიანოს მოსკოვი და ამას გარდა განაგრძობს სვლას დასავლეთისაკენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის თითქმის ყველა კონტინენტზე მიმდინარეობს კონკურენცია, რის ფონზეც საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა თავისი მდებარეობის გამო. საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად განისაზღვრა ის ძირითადი ფაქტორები საქართველოსთან მიმართებაში, რა კუთხითაც რუსული ჰიბრიდული ომი იწარმოება. ამასთანავე, წარმოჩნდა იმ პოლიტიკის მართეულობა, რომელსაც საქართველო დღეს ახორციელებს ვაშინგტონსა და მოსკოვთან.

კვლევა წარმოადგენს აკადემიური ხასიათის ნაშრომს და ემყარება საკვლევი თემის გარშემო არსებული დოკუმენტების, აკადემიური ნაშრომების, ოფიციალური წყაროების, მიმდინარე მოვლენების, სტატისტიკებისა და შემთხვევის ანალიზს.

**საკვანძო სიტყვები:**
ჰიბრიდული ომი; რუსეთი; იმპერიული ზრახვები; საქართველო; ოკუპირებული ტერიტორიები; დასავლეთი; პრაგმატული პოლიტიკა.

# RUSSIA'S HYBRID WAR STRATEGY IN GEORGIA AND CHALLENGES FOR THE WEST

TAMAR CHOGOVADZE / RUSUDAN LOMTATIDZE
**Faculty of Social Sciences, Education and Humanities**
**International Relations / International Black Sea University**
**Supervisor: Ketevan Chakhava**

**ABSTRACT**

This paper analyzes Russia's hybrid war strategies towards Georgia and the challenges facing the West in this regard. The study focuses on demonstrating the effectiveness of Moscow's actions in relation to Tbilisi, as well as the shortcomings of the West's pragmatic policies. In particular, it examines the directions of Russia's hybrid warfare and underlines the country's imperial intentions for centuries, which are well explained by the violation of the territorial integrity of Georgia and Ukraine. In addition, it is important that Moscow perceives Tbilisi as its backyard and tries to maintain its influence.

The paper discusses Russia's foreign policy and the doctrines that are still the basis of the Kremlin's actions. In addition, these approaches cause too many problems for the West, which is not actually taking effective steps. The paper also examines Georgia's position, which includes the implementation of a pragmatic policy. Tbilisi, despite the occupied territories, tries not to irritate Moscow and, in addition, continues to move for the west.

It is important that there is a rivalry between the West and Russia on almost every continent, therefore Georgia is one of the most important countries due to its location. Finally, the study identified the key factors in relation to Georgia in terms of the Russian hybrid war. At the same time, the legitimacy of the policy that Georgia is pursuing today with Washington and Moscow.

The research is an academic paper and is based on the analysis of existing documents, academic papers, official sources, current events, statistics and case studies around the topic.

**KEYWORDS:**
Hybrid warfare; Russia; Imperial intentions; Georgia; Occupied territories; West; Pragmatic policy.

## შესავალი

ჰიბრიდული ომი, რომელსაც „ახალი თაობის ომს“ უწოდებენ, საქართველოსა და სხვა ქვეყნების გამოწვევაა. რუსეთი ისევე, როგორც ამერიკა ყველა კონტინენტზე საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის და მათ შორის სამხრეთ-კავკასიაშიც თავისი ხედვები გააჩნია. საქართველო რეგიონში მდიდარია თავისი რესურსებით, ხოლო ამას გარდა სტრატეგიული მდებარეობა აქვს, რაც კავკასიაში თავს უყრის ამ ორი უდიდესი სახელმწიფოს ინტერესებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთი კვლავ განაგრძობს თავისი გავლენის დამტკიცებას და ცდილობს მაქსიმალურად გაიმყაროს პოზიციები რეგიონებსა და ქვეყნებში. საქართველო დღესაც ხშირად აღიქმება, როგორც მოსკოვის უკანა ეზო და მისი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი უკრაინასთან ერთად. ქვეყანა ხშირად ვერ ახორციელებს თავის პოლიტიკას დამოუკიდებლად და უხდება რუსეთის გათვალისწინება. კრემლი 90-იანი წლებიდან ცდილობს წინ აღუდგეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გაწევრიანებას NATO-სა და ევროკავშირში, შესაბამისად, მათი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების მცდელობებს დიდ საფრთხედ აღიქვამს. ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს ის, რომ გაანალიზდეს რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდები საქართველოსთან მიმართებაში და ამასთან იმის კვლევა, თუ რა გამოწვევები არსებობს დასავლეთისთვის მოსკოვის ქმედებებიდან გამომდინარე.

ნაშრომში თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც სხვადასხვა საკითხის სიღრმისეული შესწავლის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მეთოდი გამოყოფს კვლევის საგანს და იღებს სიღრმისეულ ინფორმაციას თემასთან დაკავშირებით. (ჯონსონი 2013)

## ჰიბრიდული ომის განმარტება და მისი საწყისები

სახელმწიფოები ოდითგანვე იყენებდნენ ჰიბრიდული ომის მეთოდებს. საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა ომის ბუნება. ქვეყნები იმავე მიზეზების გამო იბრძვიან, რომელთა გამოც საუკუნეების წინ იბრძოდნენ, თუმცა, შეიცვალა კონფლიქტის ხასიათი. ჰიბრიდული ომის მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნება მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ფიქსირდება. ჰიბრიდული ომი მას შემდეგ გახდა ყველაზე პოპულარული, რაც რუსეთმა 2014 წელს უკრაინაში გამოიყენა ეს მეთოდები. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინში ახალი არაფერია. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კაცობრიობა ყველა იმ მეთოდებს იყენებდა, რომელსაც ჩვენ ახლა ჰიბრიდულ ომს ვუწოდებთ. ადამიანთა ცნობიერების ამაღლებამ, ტექნოლოგიების განვითარებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა ამ თემის გააქტიურება. ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, რომ ჰიბრიდული ომი თავდაპირველად არასამხედრო მეთოდების ამოქმედებით იწყება, რომელთაგან გამოიყოფა: 1. პირველი ეს არის ეკონომიკური ზემოქმედების მეთოდები, რომლის მიზანია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განადგურება და შესუსტება. 2. შემდეგი ეს არის ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სისტემებზე ზემოქმედების მეთოდები, რომელთა მიზანია მოცემული ქვეყნის საგარეო პოიტიკურ კურსზე ზემოქმედება. 3. ბოლოს, საგარეო პოლიტიკური დისკრედიტაციის მეთოდები, რომელთა მიზანია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შერყევა, რა დროსაც დეზინფორმაცია გამოიყენება.

ზემოთ მოხსენიებული ჰიბრიდული ომის მეთოდები თავის მხრივ რამდენიმე კონკრეტულ ხერხს აერთიანებს: დეზინფორმაციას, კიბერ ტერორიზმს, ფსიქოლოგიურ ომს, ტერორისტულ აქტებს, მარიონეტული მთავრობის შექმნას და ა.შ. მანამ, სანამ ქვეყანა უშუალოდ სამხედრო აგრესიაზე გადავა, ჰიბრიდული ომის არასამხედრო მოქმედებები შესაბამის წინაპირობებს ამზადებენ სამხედრო ექსპანსიისთვის, ხოლო პირდაპირი სამხედრო ჩარევის შესანიღბად დეზინფორმაციები გამოიყენება. დეზინფორმაცია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მუშაობისას მძლავრ იარაღს წარმოადგენდა. ჰიბრიდული ომის წარმოებისას მთავარ სამიზნეს კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია წარმოადგენს, რა დროსაც ხდება პოლიტიკურ ელიტასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დაპირისპირების გამოწვევა ან გაღვივება. (ანგარიში 2016)

## რუსეთის საგარეოპოლიტიკის წარმოების მეთოდები

კრემლის წარმოებულ პოლიტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სამხედრო და ჰიბრიდული ომის მეთოდები განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და რეალურად მათი განცალკევება არ შეიძლება. ჰიბრიდული ომი რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის დოქტრინით აერთიანებს ხისტ და რბილ ძალას მრავალ სფეროში, ხოლო ამასთან შეუძლია გადალახოს საზღვრები მშვიდობისა და ომის დროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ სანამ იქნებოდა მცდელობა გერასიმოვის მხრიდან დოქტრინის შემუშავების, რუსეთის პოლიტიკა დასავლეთთან დაპირისპირებისას ხელმძღვანელობდა პრიმაკოვის დოქტრინით. აღნიშნული დოქტრინა ხაზს უსვამდა იმას, რომ რუსეთისთვის მიუღებელია უნიპოლარული სამყაროს არსებობა, რომელშიც დომინანტი ძალა ამერიკაა. აქედან

გამომდინარე, რუსეთის პოლიტიკის მთავარი მიზნები მდგომარეობდა შემდეგში: ქვეყანას დაებალანსებინა აშშ და ხელი შეეშალა ნატოს გაფართოებისთვის; ასევე, მოეხდინა პოსტ-საბჭოთა რეგიონში ინტეგრაცია; პარტნიორული ურთიერთობები დაემყარებინა ჩინეთთან. აღნიშნული სამი კომპონენტი დღესაც წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს. ასევე ჰიბრიდული საშუალებები შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, როდესაც ხისტი ძალა სარისკო, ძვირადღირებული ან არაპრაქტიკულია, თუმცა, სამხედრო ძალა არის ყოველთვის უკანა პლანზე. გარდა ამისა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ბირთვული იარაღი, რომელიც არ წარმოადგენს სარისკო მცდელობების განმახორციელებელ ინსტრუმენტს და იმისთვის არის საჭირო, რომ სხვა ქვეყნები არ დაუპირისპირდნენ მას. პრიმაკოვმა განახორციელა რამოდენიმე ქმედება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ვაშინგტონში ვიზიტის გაუქმება და ნატოს მხრიდან მოსალოდნელი სერბეთის დაბომბვის გაპროტესტება 1999 წელს. რუსეთი აღნიშნულ პერიოდშიც ცდილობდა თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას და დასავლეთისთვის კონკურენციის გაწევას.(Rumer 2019)

შემდგომ პერიოდში, კერძოდ 2013 წლის თებერვალში, ერთ-ერთ რუსულ გაზეთში დაიბეჭდა ვალერი გერასიმოვის 2000 სიტყვიანი სტატია - „მეცნიერების მნიშვნელობა წინასწარმეტყველებაში", სადაც აღნიშნულია, რომ შეიცვალა ომის წარმოების წესები და გაიზარდა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სხვადასხვა რბილი ძალის გამოყენების მცდელობები. მისი აზრით, ჰიბრიდული ომი პარტიზანულის მსგავსია და ყველა ფრონტზე ხორციელდება, მაგალითად მედია, ბიზნესი, ყალბი ამბები, სამხედრო საშუალებები და სხვა. დოქტრინის რეალური სტრატეგია არის ქაოსი, ხოლო მიზანი - მუდმივი არეულობისა და კონფლიქტური გარემოს შექმნა. მსგავსი რამ იწვნია საქართველომ და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა, ესტონეთმა და ლიეტუვამ. აღნიშნულ ქვეყნებში რუსეთი ერეოდა შიდა პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში, ხოლო ამასთან განახორციელა სამხედრო აგრესია უკრაინაშიც. რუსეთი კვლავ ცდილობს აღნიშნულ ქვეყნებში წაახალისოს პარტიები, რომელთანაც ფინანსური კავშირი აქვს და ამასთან შექმნას ქაოსური მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს მისი გავლენის ზრდას. (Mckew 2017)

## საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომი

საქართველოს მხრიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა და უფრო კონფრონტაციული გახდა. აღნიშნული მიდგომა ჰქონდა თავდაპირველად ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომლის პოლიტიკა განაგრძო ედუარდ შევარდნაძემაც, თუმცა, მისი მმართველობისას გამოიკვეთა დასავლეთთან დაახლოების კონტურებიც. მოსკოვი სეპარატისტებს უჭერდა მხარს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ამასთან, ახორციელებდა ეკონომიკურ ბლოკადას (ბუნებრივი აირის და სატელეფონო კავშირის შეზღუდვა). ამის მიუხედავად, ქვეყანა გახდა გაეროსა და დსთ-ს წევრი, თუმცა, საზიანო გამოდგა სოხუმის დაცემის ფაქტი. პრეზიდენტობის მეორე ვადაშიც შევარდნაძე უპირისპირდებოდა რუსეთს, თუმცა, ბოლო წლებში სურდა საგარეო კურსის შეცვლა რუსეთის სასარგებლოდ. საბოლოოდ, მოხდა ვარდების რევოლუცია და მისი დასრულდა. (ქოიავა, ბაღათურია და ნიკიტინა 2017)

ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხდება, რომლის ადმინისტრაციასაც საკმაოდ ღარიბი, სუსტი და არშემდგარი სახელმწიფო ერგო მემკვიდრეობით, რომელსაც მრავალი პრობლემა ჰქონდა. მან ინაუგურაციაზე განაცხადა, რომ რუსეთს არ აღიქვამდა როგორც მტერს და რამოდენიმე თვის განმავლობაში ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობაც კი ჰქონდა, რაც მალევე დასრულდა. სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციისას (2004 წლის 10-11 აგვისტო) სააკაშვილი იმედოვნებდა, რომ პუტინი მის ამ ქმედებას აჭარის მსგავსად დაუჭერდა მხარს, როცა რუსეთის პრეზიდენტის დახმარებით გადადგა ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე. თუმცა, ოპერაცია უკან დახევით დასრულდა და დაიძაბა ურთიერთობები რუსეთთან, რითაც აღნიშნავენ სააკაშვილისა და პუტინის „თაფლობის თვის" დასასრულს. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში 2005 წლის 30 მაისს საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა (ზურაბიშვილი და ლავროვი) ხელი მოაწერეს რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას, რომელიც 2008 წლის ბოლოდან უნდა მომხდარიყო. თუმცა, ვითარება გამწვავდა 2006 წელს, როცა საქართველო ნატოს დაუახლოვდა, რამაც დაძაბა ურთიერთობა რუსეთთან, ოსეთთან და აფხაზეთთან.(Kavadze 2020)

რუსეთი ეძებდა შესაძლებლობას, რათა ახალი რეალობა შემოეტანა პოსტ-საბჭოთა სივრცეში და თავისი პოზიციები დაებრუნებინა. საქართველო პუტინის დოქტრინის გამოცდის პირველი სუბიექტი აღმოჩნდა. მოსკოვს შეეძლო შეჭრილიყო ქვეყანაში და მოეხდინა მისი სრული ან ნაწილობრივი ოკუპაცია ისე, რომ არც ევროკავშირს და არც აშშ-ს ენდომებოდა სათანადოდ გაეცა პასუხი ამ აგრესიისთვის. რუსეთი აღნიშნულ ქმედებას თვეების განმავლობაში გეგმავდა და ცდილობდა პროვოკაციული ქმედებებით წამოეგო სააკაშვილი თავის სატყუარაზე, რისი საშუალებაც საქართველოს პრეზიდენტმა 8 აგვისტოს მისცა. (Kavadze 2020)

რუსეთის მხრიდან განხორციელებული ჰიბრიდული ომის ნათელი მაგალითია საქართველო და 2008

წლის აგვისტოს ომი, როდესაც მოსკოვმა მოახდინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, რის შემდგომაც ცნო მათი დამოუკიდებლობა. ასევე გახსნა საელჩოები აღნიშნულ ტერიტორიებზე და მასობრივად დაიწყო „ბორდერიზაცია", ხოლო ასევე გაზარდა მილიტარიზაცია, რაც საფრთხეს უქმნის სამხრეთ კავკასიას და ეს დიდ გამოწვევას წარმოადგენს დასავლეთისთვის. კონფლიქტის შემდგომ შეიზღუდა ადამიანის უფლებები და გაუარესდა საცხოვრებელი პირობები, რაც რა თქმა უნდა დაგმო აშშ-მ. საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესი გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, ხოლო ამასთან ქვეყანამ დატოვა დსთ. ადამიანურ მსხვერპლთან ერთად, აღნიშნულმა ვითარებამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ქვეყანაზე და ომის შემდგომ მოვლენების განვითარებაზე. კონფლიქტში ქვეყანას სამხედრო კუთხით არავინ დაუჭირა მხარი, თუმცა უნდა გამოვარჩიოთ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა პოლონეთი, უკრაინა, ლიტვა, ესტონეთი და ლატვია, რომლებიც გვერდში ედგნენ თბილისს. (Kavadze 2020) საბოლოო ჯამში, სააკაშვილის პოლიტიკამ საქართველო გაჭიანურებულ კონფლიქტში გახვია და ამის ფონზე რთული გახდა ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება. მისი გადადგომის შემდგომ, 2012 წელს სათავეში „ქართული ოცნება" მოვიდა, რომელმაც ქვეყანას დასავლეთსა და რუსეთს დაბალანსებული პოლიტიკა შესთავაზა. ქვეყანა არ შედის პირდაპირ კონფრონტაციაში რუსეთთან და ამის პარალელურად ისწრაფვის დასავლეთისკენ.

## რუსული ჰიბრიდული ომის მიმართულებები და ფაქტორები

აღსანიშნავია, რომ საქართველო ჰიბრიდულ ომს, როგორც ერთ-ერთ გამოწვევას და საფრთხეს 2017 წლიდან აღიარებს, რა პერიოდიდანაც გვხვდება სუს-ის (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) ანგარიშებში ჩანაწერები და ანალიზი. (აქუბარდია თ. გ.) რაც შეეხება რუსეთს, მას კვლავ აქვს თავისი იმპერიული ზრახვები და ამ კუთხით ცდილობს მაქსიმალურად შეინარჩუნოს თავისი გავლენა პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ქვეყანა პოზიციონირებს, როგორც ტრადიციული ღირებულებების დამცველი, თუმცა ეს სხვადასხვაგვარად არის აღქმული ქვეყნების მხრიდან. იგი საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ცდილობს შექმნას მკვეთრი ანტიდასავლური განწყობები, მაგრამ მრავალი წინააღმდეგობა ხვდება. წინამდებარე თავში გამოყოფილია რუსეთის მხრიდან წარმოებული ჰიბრიდული ომის რამოდენიმე მიმართულება, როგორიცაა: რელიგია, ეთნიკური უმცირესობები, ეკონომიკური და სხვა გამოწვევები.

რუსეთში დიდი გავლენით სარგებლობს მართმადიდებლური ეკლესია, რომელიც რბილ ძალას კარგად ახორციელებს საქართველოსთან მიმართებაში. აღნიშნული ქვეყნების საპატრიარქოებს შორის ძალიან მჭიდრო კავშირი არსებობს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. საქართველოში საპატრიარქო ძალიან დიდი გავლენით სარგებლობს ქვეყანაში, თუმცა, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მკვეთრად შეარყია ამ ინსტიტუციის ავტორიტეტი. ერთმორწმუნეობის ფონზე ქვეყნებს შორის დიდი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა, მაგრამ ბოლო წლებში რუსეთის გავლენა შესაძლებელია ითქვას, რომ შემცირდა. მოსკოვი ხშირად მიმართავდა მანიპულაციებს რელიგიური კუთხით და შესაძლებელია დღესაც ველოდოთ ისეთ ქმედებებს, რომელიც შექმნის ქაოსურ სიტუაციას.

რელიგიის გარდა რუსეთი ცდილობდა საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას, რითაც შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე იმოქმედებდა, თუმცა, ეს დღეს ნაკლებად შეესაბამება რეალობას. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკამ ერთნიკური კუთხით გამოიღო გარკვეული შედეგები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ქვეყანას აქვს კონკრეტული გეგმა და იგი მუშაობს სპეციფიკურ რეგიონებში, სადაც ხელისუფლების მიმართ არსებობს უკმაყოფილება და ცდილობს გააღვივოს იგი. ამ კუთხით მუშაობამ გარკვეულწილად იმოქმედა ჯავახეთში, სადაც ერთ-ერთ ქვეყანას სამხედრო ბაზა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულმა საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტულმა პროექტებმა შეამცირა რუსული გავლენა ქვეყანაში. (კანაშვილი 2015) აგვისტოს ომის პერიოდში მოსახლეობაზე დიდი ზეწოლა ხორციელდებოდა და ამასთან მათ მხოლოდ რუსული მოსაზრებების მოსმენა შეეძლოთ, რამაც უფრო გააღვივა ანტიქართული განწყობები. აღნიშნულ რეგიონებში აღარ ისწავლება ქართული ენა და არც ქართული არხები ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რეგიონები მკვეთრად არიან დამოკიდებულნი რუსეთზე, რისი აღმოფხვრაც საქართველოს არ შეუძლია. ხელისუფლებაში არიან რუსული იდეოლოგიის მქონე პირები. საბოლოო ჯამში, დღეს ამ ტერიტორიებზე ძირითადად დასახლებულნი არიან რუსები და სხვა რასის წარმომადგენლები, ხოლო ქართველები ნელ-ნელა სულ უფრო ცოტავდებიან.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკა, რასაც საქართველოს რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების გამო არაერთხელ მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. 2019 წელის მოვლენებიც ამის დასტურია, როცა რუსეთმა შეწყვიტა პირდაპირი ფრენები საქართველოსთან, რითაც დიდი ზიანი მიაყენა თბილისს, რადგან რუსი ტურისტების რაოდენობა 15%-ით შემცირდა. (ბიძინაშვილი 2019) ასევე, 2006 წელს მოსკოვის მიერ დაწესებულმა ემბარგოს შედეგებმა ქვეყანას არნახული ზიანი მიაყენა. რუსეთმა აკრძალა ქართული

მინერალური წყალისა და ღვინის შეტანა ქვეყანაში. ამასთან ერთად მოსკოვმა განახორციელა სატრასნპორტო ბლოკადა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვან დარგებს, რომლებიც რუსულ ბაზარზე იყო ორიენტირებული (მეციტრუსეობა, მეხილეობა და სხვა). (მალხაზიშვილი 2006) საბოლოო ჯამში, კოვიდ ვითარების ფონზეც უფრო გახდა საჭირო სანდო პარტნიორის ყოლა, რომელთანაც ქვეყანას ექნება სტაბილურობა და მაქსიმალურად გამოიყენებს თავისუფალი ვაჭრობის დადებით მხარეებს.

## დასკვნა

საბოლოო ჯამში, რუსეთი კვლავ ცდილობს კონკურენცია გაუწიოს დასავლეთს და სხვადასხვა რეგიონში გააძლიეროს თავისი გავლენა. ამ კუთხით საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს თავისი გეოპოლიტიკიდან გამომდინარე. დასავლეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონის მილიტარიზაცია და აქ რუსეთის გავლენის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, თუმცა ამერიკა ვერ ახერხებს მოსკოვთან პირდაპირ კონფრონტაციაში შესვლას მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. შესაბამისად, ცდილობს გაატაროს პრაგმატული პოლიტიკა და არ გაამწვავოს ურთიერთობა, ხოლო ამის საპირისპიროდ განახორციელოს თავისი მიზნები და გაავრცელოს დემოკრატიული ღირებულებები. აღნიშნული ორი ქვეყანა ცივი ომის პერიოდიდან კონფრონტაციულ მდგომარეობაშია ერთმანეთთან და თითქმის ყველა კონტინენტზე აბალანსებს ერთი მეორეს. გარდა ამისა მნიშვნელოვანია NATO-ს ეგიდით განხორციელებული ქმედებები, როგორიცაა ბაზების განთავსება და სამიტების ჩატარება, რომლის დროსაც რა თქმა უნდა ჰიბრიდული ომი წარმოჩენილია, როგორც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. რაც შეეხება საქართველოს, აშკარად გამოჩნდა ის ფაქტი, რომ რუსეთთან კონფრონტაციაში ყოფნა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს და შესაბამისად ახორციელებს დღესდღეობით პრაგმატულ მიდგომას. მოსკოვთან არსებული ნორმალური ურთიერთობების ფონზე საქართველო ცდილობს დასავლეთთან დაახლოებასაც. ქვეყანას კვლავ აქვს დასავლური კურსი აღებული და ამ კუთხით ცდილობს წინსვლას, თუმცა ჰიბრიდულმა საფრთხემ და რუსულმა პროვოკაციებმა შეიძლება ნებისმიერ მომენტში იჩინოს თავი სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

## გამოყენებული ლიტერატურა


Kavadze, Amiran. 2020. Foreign Policy of Contemporary Georgia: Formulation, Decision-Making and Implementation.Tbilisi.

Mckew, Molly K. 2017. Politico Magazine. October. https://www.politico.com/magazine/story/2017/09/05/gerasimov-doctrine-russia-foreign-policy-215538.

Rumer, Eugene. 2019. The Primakov (Not Gerasimov) Doctrine in Action. 05 June. https://carnegieendowment.org/2019/06/05/primakov-not-gerasimov-doctrine-in-action-pub-79254.

ანგარიში. 2016. ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება. თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

აქუბარდია, თეონა. n.d. "საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული „ჰიბრიდული ომი" სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში." https://gsac.ge/wp-content/uploads/2020/05/hybrid-warfare.pdf.

ბიძინაშვილი, ნინო. 2019. "2019 წლის ივლისში, წინა წელთან შედარებით, რუსი ტურისტების რაოდენობა 14.8%-ით შემცირდა." 05 აგვისტო. https://netgazeti.ge/news/385379/.

კანაშვილი, გიორგი. 2015. "რუსეთის რბილი ძალის პოტენციალი საქართველოში." ნეტგაზეთი (ნეტგაზეთი).

მალხაზიშვილი, დავით. 2006. "საქართველო-რუსეთის ურთიერთობები: ეკონომიკური კონტექსტი." http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=3&mas=1587.

ქოიავა, რევაზ, ედიშერ ბაღათურია, and იულია ნიკიტინა. 2017. საქართველო და რუსეთი: ორმხრივი ხედვა მეოთხედი საუკუნის ურთიერთობებზე. თბილისი: კავკასიური სახლი.

ჯონსონი, ჯანეტ ბუტოლფ & რეინოლდსი ჰ. ტ. & მაიკოფი ჯეისონ დ. 2013. პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# რუსული ,,რბილი ძალის“ ელემენტები საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში

**მერაბ ჩუთლაშვილი**
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა
დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ოხანაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს, თუ რა გამოწვევებსა და საფრთხეებს მოიცავს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკისთვის რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია, კერძოდ, რუსული ქცევითი ,,რბილი ძალის“ ოპერირება საქართველოში და რატომ ახორციელებს მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ ორგანიზებულ ანტიდასავლურ საინფორმაციო ომს. ნაშრომში მოკლედ აღწერილია რუსული ქცევითი ,,რბილი ძალის“ საშუალებით წარმოებული პროცესები და მიღწეული შედეგები, საქართველოს პროდასავლური პოლიტიკის წინააღმდეგ. კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს კორელაცია რუსული ,,რბილი ძალის“ საშუალებით მართულ მოვლენებს, ორგანიზებულ საინფორმაციო პროპაგანდასა და საქართველოს პრო-დასავლური კურსის შეფერხებას შორის, რაც ერთმნიშვნელოვნად გამოწვევაა ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკისთვის. კვლევაში დადგინდა რუსული ქცევითი ,,რბილი ძალის“, როგორც რუსული ჰიბრიდული სტრატეგიის შემადგენლისა და პროპაგანდის საერთო მიზნები.  სტატიაში დავეყრდენი ,,რბილი ძალის“ თეორიულ საფუძვლებს და გადამოწმდა, თუ რამდენად მუშაობს აღნიშნული თეორია რუსული ინტერპრეტირებით საქართველოში. აგრეთვე, ნაშრომში შეხება მაქვს საქართველოს წინააღმდეგ რუსული პროპაგანდისა და საინფორმაციო ომის გამოვლინებასთან, როგორც ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან კომპონენტზე. აღნიშნული საკითხი დამეხმარა ღრმად ჩავწვდე და წარმოვაჩინო კრემლის აქტივობის მიზნები და მასშტაბები. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისობრივი მეთოდი. კვლევამ აჩვენა, რომ რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგიის ერთ-ერთი დასაყრდენია ქცევითი ,,რბილი ძალა“, რომელსაც რუსეთის ფედერაცია იყენებს ომის ფიზიკურ და ინფორმაციულ გარემოში.

**საკვანძო სიტყვები:**
პროპაგანდა, საინფორმაციო და ჰიბრიდული ომი, რბილი ძალა,  ევრო-ატლანტიკური კურსი, უსაფრთხოება

# THE ELEMENTS OF RUSSIAN "SOFT POWER" IN THE HYBRID WAR AGAINST GEORGIA

**MERAB CHUTLASHVILI**
Master's Program in Defense Analysis
David Agmashenebeli National Defense Academy
Scientific Supervisor: Nino Okhanashvili, Doctor of Social Sciences

**ABSTRACT**

This paper examines the challenges and threats to Georgia's security policy from the Russian hybrid warfare, in particular the operation of Russian behavioral "soft power" in Georgia, and why Moscow is waging an anti-Western information war against Georgia. The paper briefly describes the processes produced by Russian behavioral "soft power" and the consequences of implementing Pro-Western policy delays. The Research showed that there is a correlation between the processes managed by Russian ,,soft power", organized information propaganda, and Georgia's declared Pro-Western course, which is a clear challenge to the country's security policy. The Paper identifies the common goals of the Russian behavioral ,,Soft Power" as a component of the Russian hybrid warfare and propaganda. In this article, I will draw on the theoretical foundations of ,,Soft Power"and test how well this theory works with Russian interpretation in Georgia. I also touch on the manifestation of Russian propaganda and information warfare against Georgia, as an important component of hybrid warfare. The abovementioned has helped me to gain insight into the goals and scope of the Kremlin's activities. The paper uses a qualitative method of research. The research showed that one of the foundations of the Russian hybrid war strategy is the behavioral "soft power" used by the Russian Federation in the physical and information environment of the war.

**KEYWORDS:**
Propaganda, Information and Hybrid warfare, Soft Power, Euro-Atlantic course, Security

## შესავალი

2008 წელს რუსეთის ფედერაციამ ქცევითი ,,ხისტი ძალის“ საშუალებით საქართველოსთან მიმართებაში ფაქტიურად დაასრულა საერთაშორისო კანონმდებლობით ქართული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია, აღიარა რა ისინი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ-რუსული ურთიერთობები ყველა დონეზე ჩიხშია შესული და განვლილი 12 წლის განმავლობაში ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივაც მუდამ ბუნდოვანი ჩანდა. სამხრეთ კავკასიაში არსებული დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაც პირველ რიგში რუსეთის ფედერაციის ინტერესებითა და აგრეთვე, მისი ისტორიული გეოპოლიტიკური ოპონენტების, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ფაქტორებით არის განპირობებული, რუსეთისთვის ერთპიროვნულად მნიშვნელოვანი რჩება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საკუთარი ზეგავლენის გაზრდა, რათა შექმნილი იყოს წარმატების წინაპირობა, რომ საქართველომ შეცვალოს ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე ორიენტირებული დეკლარირებული საგარეო კურსი. 2003 წლიდან მოყოლებული, პრო-დასავლური პოლიტიკური კურსი ფაქტიურად სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფოს, საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილური განვითარების ერთგვარ გარანტიად იქცა. რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის სამხედრო კამპანიის შემდეგ ქართულ სახელმწიფოსთან დაპირისპირების აქცენტები ეტაპობრივად სამხედრო-ფიზიკური გარემოდან საინფორმაციო სივრცეში გადაიტანა, დაიწყო რა მიზანმიმართული მეთოდური ზემოქმედება საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებზე, თუმცა ხისტი მოქმედებების განხორციელებისგან მას ბოლომდე უარი არ უთქვამს. 2008 წლის შემდეგ კრემლმა მოახერხა და საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალის რეალიზების აქცენტები საქართველოში ქცევით ,,რბილ ძალაზე“ ასახა. აღნიშნული კვლევის მიზანი მდგომარეობს საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევებთან მიმართებაში რუსული ქცევითი ,,რბილი ძალის“ ფაქტორის განსაზღვრაში. აგრეთვე, ნაშრომი მიზნად ისახავს განვსაზღვროთ ქცევითი ,,რბილი ძალის“ და ორგანიზებული პროპაგანდის სინერგიით მიღებული საფრთხეები, გავერკვეთ რა მასშტაბებს აღწევს ,,რბილი ძალის“ რესურსებით მხარდაჭერილი პროპაგანდის გავლენა საქართველოში და სად იკვეთება ზემოაღნიშნული ერთმანეთთან. ნაშრომის აქტუალობას ხაზს უსვამს მოცემულობა, რომ რუსეთი აღნიშნულ კონცეფციას ეყრდნობა არა მხოლოდ საქართველოში ან სამხრეთ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად, არამედ ავითარებს მას ყველა მიმართულებით, სადაც კი საკუთარი ინტერესების სფერო გააჩნია. ნაშრომს გააჩნია ერთი **საკვლევი კითხვა**: რატომ არის რუსული ქცევითი ,,რბილი ძალა“ ერთ-ერთი გამოწვევა საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზაზე. ჰიპოთეზა, რომელსაც გადავამოწმებთ თვისობრივი კვლევის ემპირიულ ნაწილში მდგომარეობს შემდეგში: H 0 – რუსული ,,რბილი ძალის“ მთავარი ამოცანაა საქართველოს დეკლარირებული საგარეო ევრო-ატლანტიკური კურსის შეცვალა და ქვეყნის საკუთარ პრივილიგირებულ გავლენის სფეროში დაბრუნება. ანალიზის ერთეულია - ქვეყანა. დამოუკიდებელი ცვლადი - რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში; პირობითი ცვლადი - რუსული რბილი ძალა; დამოკიდებული ცვლადი - საქართველოს ევროა-ატლანტიკური საგარეო კურსი.

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს კითხვას, თუ რატომ არის რუსული ,,რბილი ძალა“ ერთ-ერთი გამოწვევა საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზაზე. გამომდინარე აქედან, ნაშრომში მეთოდოლოგიურად შევეხე როგორც ,,რბილი ძალის“ თეორიულ საფუძვლებს, რათა გარკვეულიყო და გადამოწმდეს რამდენად მუშაობს აღნიშნული თეორია რუსული ინტერპრეტირებით, აგრეთვე, ნაშრომში ემპირიულად შეხება მაქვს რუსული პროპაგანდის და საინფორმაციო ომის გამოვლინებასთან საქართველოს წინააღმდეგ. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რათა ღრმად ჩავწვდე და წარმოვაჩინო კრემლის აქტივობის მიზნები, მასშტაბი და კომპლექსურად დავინახო, თუ რა ადგილი უჭირავს ქცევით ,,რბილ ძალას“ და პროპაგანდას რუსული გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევაში, რაც თავის მხრივ, ცხადყოფს, თუ რა გამოწვევასთან ასოცირდება აღნიშნული საკითხი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზაზე. კვლევა მოიცავს ანალიზის სახელმწიფო დონეს. ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისობრივი კვლევის მეთოდი. დავეყრდნობი თვისებრივი კონტენტ-ანალიზს და მონოგრაფიული გამოკვლევის (Case Study) ტექნიკებს.

## თავი 1 - რუსეთის მიერ მართული ქცევითი ,,რბილი ძალა“ და მისი ნეგატიური გავლენა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკაზე

### 2.1 საქართველოში რუსული ქცევითი ,,რბილი ძალის“ გამოვლინება და შედეგები

ზოგადად ქცევითი ,,რბილი ძალის“ თეორიას საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა, რომელიც საზოგადოებამ პირველად გაიგო ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების

ცენტრის დირექტორისა და დეკანის მოადგილის ჯოზეფ ნაის 1990 წელს გამოცემული ნაშრომით ,,Bound to Lead: The Changing Nature of American Power", სადაც მკვლევარმა პირველად წარმოადგინა ქცევითი ,,რბილი ძალის" კონცეფცია. საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად მოსკოვმაც აღნიშნული კონცეფცია გარკვეული კორექტირების შედეგად აიტაცა და ეწევა საქართველოში მისი რეალიზებას. ჯოზეფ ნაი თავის ნაშრომებში ,, Bound to Lead: The Changing Nature of American Power" და ,,Soft Power - The Means to Success in World Politics" საუბრობს ,,ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგებს მსოფლიო პოლიტიკაში, იმიტომ რომ სხვა ქვეყნები არიან აღფრთოვანებულები მისი ფასეულობებით, მისდევენ რა მის მაგალითს და ბაძავენ, მიისწრაფვიან მსგავსი კეთილდღეობისა და გამჭვირვალობისკენ. ,,რბილი ძალა"არ არის მხოლოდ მოვლენა, არამედ არის მიზიდულობისა და მომხიბვლელობის მთელი კომპლექსი, რომელიც ყალიბდება ქცევითი კუთხით. რაც შეეხება ქცევითი ,,რბილი ძალის" რესურსებს, ეს არის აქტივები, რომლებიც ზუსტად ამ მიზიდულობა-მომხიბვლელობას ქმნიან.''[1] ქცევითი ,,რბილი ძალის" რესურსები სამ ძირითად ღერძს ეყრდნობა, კულტურას, პოლიტიკურ ფასეულობებსა და საგარეო პოლიტიკას. კვლევაში თეორიული კუთხით ქცევითი ,,რბილი ძალის"აღნიშნულ ხედვაზე დაყრდნობით ავხსნი რუსული ,,რბილი ძალის" აქტივობას. აქვე, აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ინფორმაციის ღირებულებამ პიკს მიაღწია. დაიხვეწა ინფორმაციის გავრცელებისა და მართვის ტექნოლოგიები. აღნიშნულმა რეალობამ დამატებითი სიმძლავრეები შესძინა ქცევით ,,რბილ ძალას". ტექნოლოგიების პოპულარიზაცია ეხმარება რბილ ძალას საინფორმაციო გარემოში პროპაგანდის და მანიპულაციებით ოპერირებაში. აღნიშნულმა გააფართოვა ,,რბილი ძალის" გავლენა, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. ქცევითი ,,რბილი ძალის" ელემენტების მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და განვითარებაში, იძლევა საშუალებას გააფართოვოს მიზანმიმართული პროპაგანდის და ფსიქოლოგიური მანიპულირების გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. აღნიშნული ფაქტორების ანალიზისას ჩანს, რომ გაზრდილია ინფორმაციული ომის წარმოების მნიშვნელობა და მასში წარმატება გავლენას ახდენს სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე, მათ შორის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეც.

კრემლის პროპაგანდის მხარდაჭერა ქართულ პოლიტიკურ სექტორში გამოკვეთილია ორი მიმართულებით, ერთი ჯგუფი პოლიტიკური მოღვაწეების პირდაპირ იმეორებენ კრემლის ,,ნარატივებს", ხელს უწყობენ რა ამით რუსულ პროპაგანდას, ამყარებენ პირდაპირ კავშირებს რუსული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში, პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფი ერთის მხრივ, ემიჯნებიან ,,რუსულ პოლიტიკას", თუმცა მკვეთრი ნეიტრალიტეტის აგიტაციის საფარქვეშ აღვივებენ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მიმართ სკეპტიციზმს. საქართველოს დასავლური ინსტიტუტებისკენ სწრაფვა მათი მხრიდან წარმოჩენილია, როგორც უშედეგო და სანაცვლოდ ხდება პრორუსული განწყობისა და საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეის პოპულარიზაცია.[2] გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მოსახლეობაში ღიად პრორუსული იდეები პოპულარული არ არის, პრორუსული სენტიმენტების მქონე პარტიები თავიანთი იდეების ღია დეკლარირებას, სულ მცირე, ბოლო ათეული წელია, ვერ ახერხებენ, თუმცა, თუ აქამდე ეს პოლიტიკური ძალები უპირატესობას ანტიდასავლურ პროპაგანდას ანიჭებდნენ, ამჟამად ვექტორი ანტილიბერალური პოპულიზმისკენ არის გადახრილი. ისინი შეუფარავად უწყობენ ხელს იმ აღქმის დამკვიდრებას და ისეთი პოლიტიკური მითების გავრცელებას, რომლებიც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგის გაძლიერებას უწყობს ხელს.

პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" რუსული დღის წესრიგის მხარდაჭერის კუთხით ყველაზე შესამჩნევია. მათი პარტიული პროგრამა, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით 2016 წლის არჩევნებში, საკმაოდ ორაზროვანი იყო. პროგრამაში არც დადებითი და არც უარყოფითი კუთხით არ იყო ნახსენები ევრო-ატლანტიკური კურსი, თუმცა, ამავდროულად პარტია ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოს ე. წ. უბლოკო სტატუსის უპირატესობას, რაც ფაქტიურად ნიშნავს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმას, მითუმეტეს, რომ პარტიის ლიდერი ამომრჩეველს აღნიშნული დებულების კონსტიტუციურად დაკანონებას სთავაზობდა. აგრეთვე, მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ფაქტს, რომ პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იყო პირველი ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც ჩავიდა მოსკოვში და შეხვდა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს.[3] მსგავსი პრორუსული დღის წესრიგით, თუმცა, განსხვავებული მიდგომით გამოირჩევა პარტია ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი".

---

[1] Joseph, S, Nye,,,Soft Power: The Means To Success In World Politics", Hachette UK (published 2009), გვ.14-17

[2] ავალიშვილი, ,,კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან რძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა" პოლიტიკის დოკუმენტი,IDFI, 2016, გვ. 14

[3] ტუღუში, თურმანიძე, ,,ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში", ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, გვ. 74

პარტიის განცხადებები და ლოზუნგები პირდაპირ არ ეწინააღმდეგება ევრო-ატლანტიკურ კურსს, უფრო მეტიც გარკვეული დოზით მიესალმებიან კიდეც, თუმცა, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების პერსპექტივას უტოპიურ კონტექსტში მოიხსენიებენ, აფიქსირებენ მკვეთრად სკეპტიკურ პოზიციას და აღვივებენ იდეას, რომ ევრო-ატლანტიკური კურსი შეცდომაა და მიუღებელია ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის.[4] პარტიის ასეთი პოზიცია კიდევ უფრო ნიშანდობლივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს მასალები, სადაც ჩანს, რომ აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება რუსული ფინანსებით მიმდინარეობდა.[5]

პოლიტიკის, რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთკავშირი ყოველთვის არის დიდი ინტერესის სფერო. ამ ურთიერთქმედების შედეგად მიმდინარე პროცესები ხშირად ექცევა დაკვირვების ქვეშ. რუსული გავლენის პირველი პოტენციური გზა რელიგიურ ჭრილში არის ქართული და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიების საერთო ფასეულობები. კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები ბოლო ათწლეულია ერთმნიშვნელოვნად საუბრობენ დასავლურ კულტურასთან ქართული ტრადიციების შეუთავსებლობაზე. საგულისხმოა, რომ ბევრი სასულიერო პირი ქადაგებაში ავითარებს მითს, რუსეთთან ცივილიზაციური ერთობისა და დასავლეთთან იდეური თუ მორალური შეუთავსებლობის შესახებ. ამ თემაზე დისკუსიები ხშირად ჰომოფობიისა და სიძულვილის ენით არის გაჟღენთილი, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს რუსული პროპაგანდის აქცენტებს. რუის-ურბნისის მიტროპოლიტი 2011 წელს ქადაგებებში ავითარებს აზრს, რომ რუსეთი უფრო ახლოს დგას ქართულ მორალთან, ვიდრე დასავლური ფასეულობები: ,,ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამიანებს ვერ მივემსგავსებით... ხშირად "გვიქადაგებენ" დასავლური ცხოვრების იმ მხარეს, სადაც გაუფასურებულია ადამიანური ღირებულებები; იქ თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. მათთვის სამშობლოს ცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია." იობი, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი.[6]

რუსული გავლენის მეორე პოტენციური გზა ქართულ ეკლესიაზე არის რელიგიური დიპლომატია. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის მთლიანობას. ამით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს გავლენისა და კავშირების შენარჩუნებას და სანაცვლოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან იღებს კეთილგანწყობასა და მხარდაჭერას. ოფიციალურად, საქართველოს საპატრიარქო საქართველოს პროდასავლური კურსის მხარდამჭერია, საპატრიარქოს წარმომადგენლობა სხვადასხვა ვიზიტებით[7] მხარს უჭერს თბილისის პროდასავლურ საგარეო კურსს, მაგრამ ამავე დროს, ირიბად გამოხატავს რუსული ეკლესიის ინტერესებს, რომ დასავლური ღირებულებები შეუთავსებელია ქართულ ტრადიციებთან, განსხვავებით ერთმორწმუნე რუსეთისგან. კრემლის პოზიციის ანარეკლია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის თემაზე განვითარებულ მოვლენებშიც. ინტერნიუს-უკრაინის მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელიც უკრაინის ავტოკეფალიის საკითხების გაშუქებას ეხება, პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქრისტიანულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, აღნიშნულია, რომ რუსული ე. წ. ,,ნარატივები" უკრაინის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით „უნივერსალური" აღმოჩნდა ამ ქვეყნებისთვის.[8] ამავე დროს, რუსეთის რელიგიური დიპლომატია ვითარდება კონსერვატიული დღის წესრიგის გარშემო, რომელსაც გეოპოლიტიკური სარჩული აქვს. სექსუალურ უმცირესობათა პრობლემის წამოწევა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან წარმოადგენს აღსანიშნავ მაგალითს, რომელიც აშორებს დასავლეთისგან საქართველოს, რადგან რუსული მართლმადიდებელი სამყარო არ სცნობს დასავლურ ფასეულობებს, მათ შორის სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით და აღნიშნულ თეზის ავითარებს ქართული ეკლესიის ხელითაც. ამის ნათელი მაგალითია ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიოფობიასთან დაკავშირებით 2012-2019 წლებში საქართველოში არსებულ სიტუაციაზე არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება და ანგარიში.[9] თუ გავავლებთ პარალელებს რუსეთს მართლმადიდებელი

---

4 ტუღუში, თურმანიძე, ,,ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში", ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, გვ. 75

5 Михеев, ,,Как Кремль вмешивается во внутреннюю политику соседних стран - Часть первая: выборы в Грузии" , Центр «Досье» , 2010

6 ტუღუში, ,,რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში", 2016, გვ. 44-46

7 საქართველოს საპატრიარქო, ,,საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში" , 2017

8 ОО ,,Интерньюз-Украина", ,,Больше чем религия - Что медиа в Армении, Грузии, Молдове и Украине сообщают об автокефалии украинского православия" , 2018

9 მედიის განვითარების ფონდი (MDF),პლატფორმა ,,არა ფობიას" ერთობლივი ანგარიში, 2019

ეკლესიის პოზიციასა და მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებს სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ ე. წ. ჰომოფობიური ,,ნარატივები“ და პროცედურები იდენტურია.[10] ორმაგი სტანდარტებით, ერთის მხრივ, ლიბერალური განცხადებები და ამავდროულად ხისტი, ხშირ შემთხვევაში უკანონო ქცევითი პოლიტიკა რუსული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების იდენტური ხელწერაა.[11] საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორეც, ერთის მხრივ, კრიტიკულად აფასებს რუსეთის პოლიტიკას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, მაგრამ ამავდროულად ინარჩუნებს დიპლომატიას და საზოგადოებისთვის გასაკვირად იწვევს და ხვდება ე. წ. „ღამის მგლებს“, კრემლის პოლიტიკის ღიად მხარდამჭერ რუსულ ბაიკერთა ჯგუფს.[12] აგრეთვე, 2013 წელს მოსკოვში ვიზიტით მყოფი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აცხადებს, რომ ვლადიმერ პუტინი რუსეთისა და საქართველოს ძმებად დარჩენისთვის ყველაფერს გააკეთებს. კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას სიტყვა "შეცდომით" აღწერს, ხოლო ბრალს არც საქართველოს სდებს და არც რუსეთს - "არამედ ცალკეულ პიროვნებებს."[13]

მასმედია დიდ როლს თამაშობს თითოეული მოქალაქის დღევანდელ ცხოვრებაში. ის მოიცავს ადამიანის საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველა ასპექტსა და სოციალური ურთიერთობების ყველა სფეროს, რომელშიც შედის პიროვნება. საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს და მასმედია, როგორც წესი, აღქმულია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მასობრივი მასშტაბით ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და გავრცელებას. მასობრივი ინფორმაცია გამიზნულია რიცხობრივად დიდი, ჩვეულებრივ გეოგრაფიულად გადანაწილებული აუდიტორიებისთვის და ხასიათდება განაწილების სისწრაფითა და რეგულარობით, თითქმის ერთდროულად მოხმარებით, შუამავლობით, გარკვეულწილად სტერეოტიპული ხასიათით. ამავდროულად, გადაცემული ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოების ინტერესი. 21-ე საუკუნის საქართველოში მასმედიაში წამყვანი ადგილი ტელევიზიას უკავია, ხოლო უკანა პლანზეა გადასული რადიო და ბეჭდვითი პრესა. პარალელურად, ქართულ საზოგადოებაში ჩანს ახალი თაობის მასმედიის ე. წ. ონლაინ და სოციალური მედიების აუდიტორიების პროგრესულად მზარდ ტემპი.[14] მაგალითად, სოციალური ქსელი ,,Facebook“-ის მომხმარებელთა რაოდენობა 2011 წლიდან 2018 წლამდე სამჯერ გაიზრდა (დაახლოებით 275.000-დან 800.000-მდე). ამასთან, CRRC-საქართველოს ,,კავკასიის ბარომეტრის“ გამოკითხვის მიხედვით, ,,Facebook“-ის მომხმარებელთა წილი ზოგადად ინტერნეტის მომხმარებლებში 2011- 2017 წლების პერიოდში 37%-ით გაიზარდა. პარალელურად, ბეჭდვითი პრესა, რადიო და ტელევიზიაც განთავსებულია ინტერნეტში, რითაც ახერხებენ, როგორც ქვეყნის მასშტაბით საკუთარი აუდიტორიების გაზრდას, ასევე, გლობალურ აუდიტორიაზე წვდომას, მათ შორის ქვეყნიდან სხვადასხვა მიზეზით ემიგრირებულ მოქალაქეებზე, რომლებიც ინარჩუნებენ ქვეყნის შიგნით საზოგადოებასთან კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებს. საქართველოში რუსეთის ფედერაცია საკუთარი პროპაგანდისთვის მედია რესურსებსაც ეყრდნობა. 2014-2015 წლის მონაცემებით უკვე, მინიმუმ ერთი ტელევიზია, რამდენიმე ინტერნეტ-ტელევიზია, ბეჭდური გამოცემა და ვებ-გვერდი გამოირჩევა ანტიდასავლური „მესიჯ-ბოქსით“ და ინფორმაციის გავრცელებისას ძირითადად ეყრდნობა რუსულ წყაროებს. თვალშისაცემია რუსული პროპაგანდის გამავრცელებლების მიერ სოციალური ქსელების აქტიური გამოყენებაც, როდესაც ხდება დეზინფორმაციის და/ან ანტიდასავლური ნარატივის შემცველი ინტერნეტ-მასალების ვირუსული გავრცელება.[15] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2016 წლის გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 77% პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების პირველ წყაროდ ტელევიზიას ასახელებს. ამავდროულად, კვლევაში ჩანს, რომ ტელემაყურებლების 47% უცხოენოვან არხებსაც უყურებს, ყველაზე პოპულარული მათ შორის რუსული არხებია.[16] რუსული პროპაგანდის გაძლიერებას ქართულ მედია მატარებლებში ადასტურებს მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში განხორციელებული კვლევა, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში ჩანს, რომ ანტიდასავლური პროპაგანდის ძირითად წყაროდ

---

10 Harding, ,,Gay activists beaten and arrested in Russia”, The Guardian, 2007

11 Майшев, ,,В РПЦ оценили вывешивание флагов ЛГБТ-сообществ на посольствах в России“, Кипшидзе, Вахтанг, замглавы синодального отдела РПЦ по взаимоотношениям Церкви с обществом и СМИ, РИА Новости,2020

12 წულაძე, ,,საქართველო „ღამის მგლების“ წინააღმდეგ“, ამერიკის ხმა, 2017

13 ,,ილია მეორე: პუტინი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ“, ტაბულა, 2013.

14 სიჭინავა, ტანგიაშვილი, ,,ანტიდასავლური დისკურსი ქართულენოვან სოციალურ მედიაში“, რადიო თავისუფლება, 2018

15 ავალიშვილი, ,,კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“ პოლიტიკის დოკუმენტი, IDFI, 2016, გვ. 11-13

16 თორნტონი, სიჭინავა, ,,საზოგადოების განწყობა საქართველოში“ , 2016,NDI, CRRC, გვ. 69-80

(45,9%) რუსეთის ფედერაცია ისევ ქართულ მედიასივრცეს იყენებს.[17] ქართულ მედია სივრცეში, კერძოდ, სოციალურ ქსელებში შესამჩნევია აგრეთვე, ანტილიბერალური ჯგუფების გააქტიურება.[18] აღნიშნული გვერდების უმრავლესობის გამომწერთა რაოდენობა CRRC-ის კვლევის თანახმად, 2016-2017 წლიდან იზრდება.[19] მათი პოსტები ძირითადად ანტილიბერალური განწყობით გამოირჩევა და პირდაპირ მიანიშნებს დასავლეთის ფასეულობების შეუთავსებლობას ქართულ ტრადიციებთან. ასევე, გარკვეული ინტერნეტ გამოცემები ახდენენ თემატიკის დიფერენცირებას, მაგალითად „ალტ ინფო", „კარდუ", „ქართული იდეა" ძირითადად ფოკუსირებულია ანტი-იმიგრაციულ და უმცირესობათა წინააღმდეგ წარმოებულ რიტორიკაზე, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა", რომელსაც ასევე, ოფიციალური გვერდი აქვს ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში, საუბრობს პოლიტიკაში ეკლესიის როლის გაზრდაზე და ზოგადად, ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებაზე, ,,კონტროლირებადი მედიის მიერ ქართული სულიერებისა და ცნობიერების წინააღმდეგ წარმოებულ პროპაგანდაზე". მოძრაობა პუბლიკაციებში ხაზს უსვამს და ერთმანეთთან აიგივებს ,,ორასწლოვანი კოლონიალიზმს", ,,ბოლშევიზმს" და ,,ლიბერალურ რევოლუციებს."[20]

### 2.3 საფრთხეები და გამოწვევები საქართველოსთვის - რუსული ,,რბილი ძალა"

მაშასადამე, ზემოაღნიშნულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ჩანს, რომ რუსული ქცევითი ,,რბილი ძალის" ოპერირება საქართველოში კოორდინირებული და ცენტრალიზებულია, რომ კლასიკური თეორიის მიხედვით, მას შეხება აქვს ქართულ-რუსული პოლიტიკის, კულტურის და საერთო ფასეულობათა სფეროებთან. თუმცა, ყველაზე ნიშანდობლივი ფაქტი საქართველოში რუსული ,,რბილი ძალის" რესურსებზე დაყრდნობით პროპაგანდის სიმძლავრე და მისი გავლენის ქვეშ არსებული მეთოდურად მზარდი აუდიტორიაა.[21] აღნიშნულ სტატიაში (ფორმატიდან გამომდინარე ავტ.) არ ვმიჯნავ ერთმანეთისგან პირდაპირ რუსული დღის წესრიგის მხარდამჭერ პროპაგანდას და ირიბ, ანუ ანტი-ლიბერალურ და ანტი-დასავლურ პროპაგანდებს მითებსა და მესიჯ-ბოქსებს, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის გავიაზროთ ის გამოწვევები, რის წინაშეც უკვე დააყენა მოსკოვის პროპაგანდამ ქართული საზოგადოება ბოლო ორი წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა ვითვალისწინებთ, რომ მოსკოვის ქცევითი ,,რბილ ძალა" წარმატებას ოპერირების ასეთ მოკლე ხანში ვერ აღწევს, ამისთვის მას გარკვეული წინაპირობა და დრო სჭირდება, თუმცა, დამდგარი მზარდი მასშტაბიდან ჩანს, რომ რუსული პროპაგანდას მოსამზადებელი ეტაპი განვლილი აქვს და უკვე შედეგებს იმკის, რაც უკვე ქვეყნის უსაფრთხოების გარკვეულ გამოწვევებში ისახება, მიუხედავად იმის, რომ რუსული პროპაგანდის საკითხი სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, სადაც, მაგალითად თავდაცვის სამინისტროს კომუნიკაციების სტრატეგიაში პირდაპირ ვკითხულობთ:

„რუსეთის ფედერაციის მიერ გრძელდება საინფორმაციო ომი საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა სახელმწიფოებში, ასევე ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში, რითაც საფრთხე ექმნება ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ერთიანობას. რუსეთის ფედერაციის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კამპანიები მიზნად ისახავს აღნიშნულ ქვეყნებში საზოგადოების ერთიანობის შესუსტებას, დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას და ევროკავშირისა და ნატოსადმი მხარდაჭერის შემცირებას."[22]

მიუხედავად თბილისის მიერ რუსული პროპაგანდის განეიტრალების მცდელობისა, კრემლმა ქცევითი ,,რბილი ძალის" საშუალებით ქართველი ამომრჩევლის განწყობების მანიპულირებით მიაღწია 2020-2021 წლების საპარლამენტო კრიზის, რომელიც არნახული მასშტაბის გამოწვევად იქცა საქართველოს უახლოესი ისტორიის მანძილზე, რა დროსაც ფაქტიურად დღის წესრიგში დადგა საქართველოს დეკლარირებული პრო-დასავლური კურსის ლეგიტიმაციის საკითხი.

---

[17] კინწურაშვილი, გელავა, ,,ანტიდასავლური პროპაგანდა" 2019, გვ. 20-24

[18] ,,50 ფეისბუქ გვერდი შექმნილი საინფორმაციო ომისთვის", გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება ifact, 2018

[19] ტუღუში, თურმანიძე, ,,ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში", ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, გვ. 80

[20] ,,ღია წერილი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილებს", ქართული იდეა

[21] კინწურაშვილი, ,,ანტიდასავლური პროპაგანდა" , მედიის განვითარების ფონდის (MDF), თბილისი, 2019 , გვ. 12-19

[22] აძინბაია, დევდარიანი, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დეზინფორმაციისა და როპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2019, გვ 34-35

## დასკვნა

ამრიგად, რუსეთის ფედერაციის ქცევითი ,,რბილი ძალის“ მიერ 2014-2020 წლებში გაწეული საქმიანობა პროპაგანდის და საზოგადოების მანიპულირების მიზნით, ხაზს უსვამს ჰიპოთეზის ვალიდურობას, რომ კრემლი ცენტრალიზებულად მართავს აღნიშნულ პროცესებს, რათა შეცვალოს საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსი. მოსკოვი ხაზს უსვამს, რომ რუსული პროპაგანდა ქართულ სივრცეში კრემლის მნიშვნელოვან იარაღად მოიაზრება და რუსეთის საქართველოსთან დაპირისპირებამ ფიზიკური გარემოდან გადაინაცვლა ინფორმაციულ გარემოში, რომ ომის ფიზიკურ გარემოში გამარჯვება არ იწვევს ავტომატურად ინფორმაციულ გარემოშიც გამარჯვებას, ამავდროულად, ინფორმაციულ გარემოში გამარჯვების ფასი ხშირად უფრო მაღალია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. წულაძე, ზაზა, ,,საქართველო „ღამის მგლების“ წინააღმდეგ“ , ამერიკის ხმა, 2017https://www.amerikiskhma.com/a/georgia-against-russian-biker-club-night-wolves/3834153.htmlწვდომა 4 მაისი 2021

2. მედიის განვითარების ფონდი (MDF) პლატფორმა ,,არა ფობიას“ ერთობლივი ანგარიში, 2019 http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_statements/534 წვდომა 3 მაისი 2021

3. Harding, Luke, ,,Gay activists beaten and arrested in Russia”, The Guardian, 2007https://www.theguardian.com/world/2007/may/28/russia.gayrightsწვდომა 3 მაისი 2021

4. Майшев, Алексей - Кипшидзе, Вахтанг- замглавы синодального отдела РПЦ по взаимоотношениям Церкви с обществом и СМИ, РИА Новости, 2020 https://ria.ru/20200629/1573624609.htmlწვდომა 3 მაისი 2021

5. ,,ილია მეორე: პუტინი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ“, ტაბულა, 2013. http://tbl.ge/8htწვდომა 4 მაისი 2021

6. ტუღუში, ლაშა, თურმანიძე, კობა, ,,ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში“, ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2020/09/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%8-3%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98.pdf წვდომა 3 მაისი 2021

7. ,,50 ფეისბუქ გვერდი შექმნილი საინფორმაციო ომისთვის”, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება ifact. 2018 https://www.ifact.ge/50-fb-page/წვდომა 3 მაისი 2021

8. ,,ღია წერილი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილებს“, ქართული იდეა „ქართული იდეა“ - საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება (itkompania.ge)წვდომა 3 მაისი 2021

9. Михеев, Сергей, ,,Как Кремль вмешивается во внутреннюю политику соседних стран - Часть первая: выборы в Грузии“ , Центр «Досье» , 2010 https://dossier.center/georgia/?fbclid=IwAR3nJbHteHrk6IY4nzY7vWTkmpVJL1WAM5TSe00an9grHF11D2nvo_D5GCA წვდომა 4 მაისი 2021

10. კინწურაშვილი, თამარი, ,,ანტიდასავლური პროპაგანდა“ , მედიის განვითარების ფონდის (MDF), თბილისი, 2019

http://mdfgeorgia.ge/uploads/library/119/file/AntiWest-2018-GEO.pdf წვდომა 3 მაისი 2021

11. აძინბაია, ზვიადი, დევდარიანი, ჯაბა, ,,საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისდეზინფორმაციისა და როპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფისსაბოლოო ანგარიში, თბილისი, 2019 , . წვდომა 20 ნოემბერი 2016 http://parliament.ge/uploads/other/135/135615.pdf წვდომა 3 მაისი 2021

12. თორნტონი, ლორა, სიჭინავა, დავით, ,,საზოგადოების განწყობა საქართველოში“ , თბილისი, 2016, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი(NDI) , წვდომა 3 მაისი 2021

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_GEO_VFF%20%282%29.pdf

13. სიჭინავა, ტანგიაშვილი, ,,ანტიდასავლური დისკურსი ქართულენოვან სოციალურ მედიაში“, რადიო თავისუფლება, 2018

https://www.radiotavisupleba.ge/a/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97-%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%ad%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a0-%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%91%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%96%e1%83%94/29623363.html

გადაცემის ჩანაწერი, წვდომა 4 მაისი 2021

14. ОО ,,Интерньюз-Украина“, ,,Больше чем религия - Что медиа в Армении, Грузии, Молдове и Украине сообщают об автокефалии украинского православия“ , 2018 https://eap-csf.eu/wp-content/uploads/Tomos-final-report_RUS.pdfწვდომა 3 მაისი 2021

15. ტუღუში, ,, რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“, 2016 https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2020/09/politikis-dokumenti.pdfწვდომა 3 მაისი 2021

16. თორნტონი, თურმანიძე, ,,საზოგადოების განწყობა საქართველოში“ , NDI, CRRC, 2019

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public_Political%20Poll_GEO_Final.pdfწვდომა 3 მაისი 2021

17. საქართველოს საპატრიარქო, ,,საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში“ , 2017 https://patriarchate.ge/news/1709 წვდომა 4 მაისი 2021

18. განვითარების და დემოკრატიის ცენტრი, ,, საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში“ 2016 http://cdd.ge/605-sapatriarqos-delegaciis-viziti-briuselshi.htmlწვდომა 3 მაისი 2021

19. წულაძე, ,, პატრიარქის დიპლომატია“ , ამერიკის ხმა, 2016

https://www.amerikiskhma.com/a/georgian-patriarch-to-visit-moscow-russia/3596410.htmlწვდომა 3 მაისი 2021

20. Joseph, S, Nye, ,,Soft Power: The Means To Success In World Politics“, Hachette UK (published 2009) https://books.google.ge/books?id=x5Q5DgAAQBAJ&redir_esc=yწვდომა 3 მაისი 2021

21. ავალიშვილი, ,,კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“ პოლიტიკის დოკუმენტი, IDFI, 2016

https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Propaganda%20in%20Georgia%20-%20Policy%20Paper.PDFწვდომა 4 მაისი 2021

# რუსული ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ


**მერაბ ხაბულიანი**
მაგისტრანტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: ნინო ოხანაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი



**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატია წარმოაჩენს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული ხისტი ძალის პოლიტიკას და ასევე, ცდილობს დაადგინოს აღნიშნული პოლიტიკის შესაძლო გამომწვევი მიზეზები.

სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს, თუ რამდენად შესაფერისი თეორიაა სტრუქტურული რეალიზმი აღნიშნული ქეისის ასახსნელად. კერძოდ, გაანალიზებულია სტრუქტურული რეალიზმის ორი ძირითადი განშტოება:  თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი. სტატია წარმოაჩენს თუ რომელი თეორია გვთავაზობს რუსეთის მიერ გამოყენებული ხისტი ძალის პოლიტიკის გამომწვევი მიზეზების შედარებით სრულყოფილ ანალიზს.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთისმიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა გამოწვეულია რუსეთის რეგიონული ჰეგემონიის სურვილით.



**საკვანძო სიტყვები:**
ხისტი ძალა, რუსეთი, საქართველო, თავდასხმითი რეალიზმი, აგვისტოს ომი.


# RUSSIAN HARD POWER AGAINST GEORGIA


MERAB KHABULIANI
Master's student
Tbilisi State University



**ABSTRACT**

The given article presents the policies of hard power used by Russia against Georgia, and also tries to determine the possible reasons for this policy.

The article aims to demonstrate how appropriate a theory of structural realism is to explain this case. In particular the two main branches of structural realism are analyzed: Defensive and offensive realism. The article presents which theory offers a relatively comprehensive analysis of the underlying causes of hard power policies used by Russia.

The study showed that the Russian foreign policy is driven by Russia’s desire to achieve regional hegemony.



**KEYWORDS:**
Hard power, Russia, Georgia, offensive realism, August war.

## შესავალი

სოციალისტური სისტემის ნგრევის შემდეგ პოსტსაბჭოთა ტერიტორია რუსეთმა თავის ინტერესების სფეროდ გამოაცხადა. შესაბამისად, მის ინტერესთა სფეროში მოექცა სამხრეთ კავკასია და მათ შორის საქართველო, რომელმაც რუსული ორბიტიდან თავის დაღწევა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზა აირჩია. თავის მხრივ, რუსეთისთვის რეგიონული ჰეგემონობა და ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, რამაც თავისთავად განაპირობა რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბება.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ასახსნელად გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორია - ნეორეალიზმი და მისი განშტოებები - თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი. სტატია ცდილობს, დაამტკიცოს, რომ აღნიშნული თეორია რუსეთის საგარეო პოლიტიკის, კერძოდ ხისტი ძალის გამოყენების ახსნის ყველაზე ოპტიმალური თეორიაა[1].

აღნიშნული თემა საკმაოდ **აქტუალურია**, ვინაიდან საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ, პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესებს და შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ყველა საშუალებით ცდილობს საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას და მისი გავლენის ქვეშ მოქცევას. ასევე, ნაშრომს სიახლეს სძენს აღნიშნული ქეისის თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმის ჭრილში ახსნა/გაანალიზება.

სტატია ეყრდნობა სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდს და მის შემდეგ ტექნიკებს: თვისებრივ კონტენტ ანალიზს, შემთხვევის შესწავლის და პროცესის მიდევნების (Process Tracing) მეთოდს. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებობს, აგრეთვე ბეჭდვითი პრესა და ელექტრონულ წყაროები.

სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ **საკვლევ კითხვას**:

რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს რუსეთის მიერ ხისტი ძალის პოლიტიკის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე მოხდა შემდეგი **ჰიპოთეზის გენერირება**:

რუსეთის რეგიონული ჰეგემონობის სურვილი განაპირობებს მის მიერ ხისტი ძალის პოლიტიკის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ.

**დამოუკიდებელი ცვლადი**: რუსეთის რეგიონული ჰეგემონობის სურვილი.

**დამოკიდებული ცვლადი**: ხისტი ძალის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ.

შემთხვევის შედარებითი ანალიზისთვის სტატიაში განხილულია რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია, რომელიც რუსეთის რეგიონულ ამბიციებს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

## თეორიული ჩარჩო

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ დისციპლინაში და ძალიან დიდი როლი ეკისრება თეორიების ახსნით უნარს კონკრეტული მოვლენის გამომწვევი მიზეზების დადგენაში.

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიაა ქენეთ უოლცის ნეორეალიზმი (სტრუქტურული რეალიზმი). იგი საერთაშორისო პოლიტიკაში ფოკუსს სისტემაზე აკეთებს და მის სტრუქტურას 3 ელემენტისგან წარმოგვიდგენს: 1) მოწყობის პრინციპი - საერთაშორისო პოლიტიკაში სისტემის თითოეული აქტორი თანასწორია და არავის ემორჩილება, ე.ი საერთაშორისო პოლიტიკა დეცენტრალიზებული და ანარქიულია და სახელმწიფოები მოქმედებენ გადარჩენისთვის, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ მოქმედებით მხოლოდ თავის ტერიტორიის შენარჩუნებით შემოიფარგლება, მისი არჩევანი შესაძლოა მსოფლიოს დაპყრობამდეც ვრცელდებოდეს; 2) ერთეულების ფუნქციები - სისტემაში სახელმწიფოები არ განსხვავდებიან ფუნქციებით, ვინაიდან ისინი აწყდებიან მსგავს გამოწვევებსა და ამოცანებს; 3) ძალაუფლების გადანაწილება - სისტემაში ერთეულები განსხვავდებიან შესაძლებლობებით. ნეორეალიზმში სწორედ ეს 3 ელემენტი განაპირობებს საერთაშორისო პოლიტიკის ანარქიულ წესრიგს, რომელიც თავის მხრივ თვითგადარჩენას ეფუძნება[2].

---

[1] ნ. ოხანაშვილი, „ბუქარესტის სამიტი და მისი გავლენა 2008 წლის აგვისტოს ომზე“, 2019. გვ. 5

[2] ე. აკობია, ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი“, 2021. გვ.30.

ნეორეალიზმი ორ განშტოებად იყოფა: თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმად. ჯონ მერშაიმერი განავრცობს უოლცის თეორიას - დიდი სახელმწიფოებისთვის ჰეგემონია არის უსაფრთხოებისა და გადარჩენის მთავარი გარანტი. თავდაცვითი რეალიზმი უოლცისეულ გაგებას ეყრდნობა - სახელმწიფოსთვის მთავარი არსებული წესრიგის შენარჩუნებაა, რომლის მიღწევის მთავარი საშუალება ძალაუფლებაა. რაც შეეხება თავდასხმით რეალიზმს, მერშაიმერის მიხედვით, მის თეორიაშიც მთავარი ამოცანა ძალაუფლების საშუალებით გადარჩენაა, როგორც თავდაცვით რეალიზმში, თუმცა საკვანძო განსხვავებაა, თუ რამდენი ძალაუფლება სურს სახელმწიფოს. თავდაცვითი რეალიზმის შემთხვევაში, სახელმწიფოებს არ აქვთ დამატებითი ძალის სტიმული, ისინი შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებულნი, ხოლო თავდასხმითი რეალიზმის შემთხვევაში სახელმწიფოები არსებული ძალაუფლებით არ კმაყოფილდებიან და მუდმივად სხვა სახელმწიფოების ხარჯზე ძალის მომატებაზე ფიქრობენ; მათი მთავარი მიზანი რეგიონული ჰეგემონობაა, ვინაიდან ამით მათი გადარჩენის შანსი იზრდება[3].

თავდასხმითი რეალიზმის თეორიის გასამყარებლად მერშაიმერს შემოაქვს 5 ვარაუდი: 1) სისტემის სრუქტურის ანარქიულობა, სადაც ძლიერი (დიდი) სახელმწიფოები წარმოადგენენ ამ სისტემის მთავარ აქტორებს; 2) სახელმწიფოებს გააჩნიათ სამხედრო რესურსი და შესაბამისად, თავდასხმის შესაძლებლობები; 3) სახელმწიფოები არასდროს ენდობიან სხვა სახელმწიფოებს, ვინაიდან უცნობია სხვა სახელმწიფოების განზრახვები; 4) ანარქიულ სისტემაში გადარჩენა წარმოადგენს მთავარ მიზანს დიდი სახელმწიფოებისთვის; 5) დიდი სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები და მათი მთავარი მიზანი არის ძალის მაქსიმიზაცია[4].

ამრიგად, მერშაიმერი აკეთებს დასკვნას, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც სისტემის აქტორები აგრესიულად მოქმედებენ და მათ ერთმანეთის განზრახვები არ იციან, თითოეული სისტემის ერთეული რაციონალურად მოქმედებს, შესაბამისად, ამგვარ სისტემაში თითოეული სახელმწიფოს მიზანი არის გადარჩენა. მერშაიმერის მიხედვით, დიდი სახელმწიფოების სიმშვიდისთვის არ კმარა გარკვეული ძალის მოპოვება, ვინაიდან რთულია განსაზღვრო კონკრეტულად რა ძალაა ამისათვის საჭირო. აქედან გამომდინარე, იგი მიიჩნევს, რომ დიდი სახელმწიფოს სიმშვიდისთვის ჰეგემონია და ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდა არის ერთადერთი გამოსავალი. ასევე, უოლცისგან განსხვავებით, მერშაიმერი თვლის, რომ ომი კარგი იდეაა, თუ სარგებელი გადაწონის ხარჯებს[5].

ზემოაღნიშნული ნეორეალიზმის განშტოებების მიმოხილვიდან გამომდინარე, აშკარად იკვეთება ძალა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო სისტემაში.

## ისტორიული ჩარჩო

საქართველომ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა ევროინტეგრაციის გზაზე, ვინაიდან ეს დაკავშირებული იყო ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან. ჩრდილოატლანტიკურ სივრცესთან დაახლოების პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა საქართველოში 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციით" სათავეში აშკარად პროდასავლურად განწყობილი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ.

2004 წლის 28-29 ივნისს სტამბოლის სამიტზე აღინიშნა რუსეთის მიერ საქართველოდან შეიარაღებული ძალების გაყვანის აუცილებლობა 1999 წლის ეუთოს სტამბოლის შეთანხმების საფუძველზე. ასევე, გადაწყდა კავკასიის რეგიონში ნატოს სპეციალური წარმომადგენლისა და ,,მეკავშირე ოფიცრების" დანიშვნა. 2004 წლის აგვისტოში საქართველოს მიერ ნატოში გაგზავნილი ,,ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა" (IPAP)ალიანსის უმაღლესმა ორგანომ ამავე წლის 29 ოქტომბერს დაამტკიცა, რაც ნიშნავდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლას. 2005 წელს საქართველოში შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ,,ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" განხორციელების კოორდინირება. ამ გეგმის მიხედვით, რეფორმები უნდა განხორციელებულიყო დემოკრატიული ღირებულებების მიმართულებით, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობის განმტკიცება და კორუფციასთან ბრძოლა. 2006 წლის 13 აპრილს ალიანსმა დადებითად შეაფასა საქართველოს ,,ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" იმპლემეტაციის შეფასების ანგარიში და 2006 წლის 21 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან ალიანსის მიერ ,,ინტენსიური დიალოგის" შესახებ. 2007 წლის მაისში, ალიანსის

---

3 იქვე, გვ.31

4 ე. აკობია, ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2006. გვ.22.

5 ნ. ოხანაშვილი, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)",თბილისი, 2018. გვ. 37.

მხრიდან აღინიშნა, რომ საქართველოში ყველა სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესია და აუცილებელია ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განახლება. 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, გადაიდო საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი, თუმცა ნატოს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატოს სრულუფლებიანი წევრები. ხოლო MAP-ს ის მიღების საკითხის გადაწყვეტილება 2008 წლის დეკემბრის ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გადაიტანეს[6].

საქართველოს სწრაფვას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ, რუსეთმა საპასუხო ქმედებები დაუპირისპირა. რუსეთის ფედერაციამ 2005 წლიდან საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბლოკადის გატარება დაიწყო. ამ პერიოდში, რუსეთის ბაზარზე ყველაზე მეტად დამოკიდებული სოფლის მეურნეობა იყო და სამიზნედაც სწორედ ეკონომიკის ეს სექტორი შეარჩია. 2006 წლის იანვარში რუსეთის ფედერაციამ საქართველო ენერგობლოკადაში მოაქცია. 2006 წლის მარტში რუსეთის ფედერაციამ ემბარგოს მასშტაბი გაზარდა და საქართველოდან ღვინისა და შემდეგ მინერალური წყლების ექსპორტი აკრძალა. 2006 წლის ოქტომბერში დაიწყო რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების შევიწროება-დეპორტაცია და დაახლოებით 4600 მოქალაქე იქნა საქართველოში დეპორტირებული. 2006 წლის 2 ოქტომბრიდან რუსეთის ფედერაციამ საქრთველოსთან შეწყვიტა საავტომობილო, საავიაციო, საფოსტო, საზღვაო და სარკნიგზო კავშირი[7]. 2006 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიწყო ოსური პასპორტების გაცემა ადგილობრივი მოსახლეობისთვის[8].

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად დაიძაბა 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების შემდეგ. რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ აღიარებისთვის დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. 2008 წლის 6 მარტს გაწყვიტა დსთ-სთან არსებული 1996 წლის შეთანხმება, რომელიც ეხებოდა აფხაზეთთან სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკური ურთიერთობების აკრძალვებს, რის შემდეგაც აფხაზეთისა და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე დაიწყო რუსეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერება, კონკრეტულად გუდაუთის სამხედრო ბაზაზე გაიზარდა სამხედროებისა და ტექნიკის რაოდენობა. ცხინვალის რაიონში ჯავაში რუსეთმა დაიწყო სამხედრო ბაზის მშენებლობა; 2008 წლის ივნისში ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა აფეთქებები და პერიოდულად სოფ. ზემო ფრისის, სვერისა და ანძისის მიმართულებით იხსნებოდა ცეცხლი. ამავე წლის ივლისში, განხორციელდა ტერაქტი ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ ადმინიტრაციის ხელმძღვანელზე, რა დროსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 6 თანამშრომელი დაიჭრა; 2008 წლის 15 ივლისს რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო მასშტაბური სამხედრო წვრთნები ,,კავკასია 2008“. 2008 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში კვლავ გაიხსნა ცეცხლი ქართული სოფლების მიმართულებით და მოხდა აფეთქებები. ასევე, 120 მმ-იანი საარტილერიო დანადგარებიდან ცეცხლი გაიხსნა სარაბუკის სიმაღლეზე მდებარე ქართველი სამშვიდობოების მიმართულებით[9].

საბოლოოდ, 2008 წლის აგვისტოში რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და მოახდინა აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება.

## შედარებითი ანალიზი

საქართველოს და რუსეთს შორის 2008 წლის კონფლიქტს ბევრი აქვს საერთო 2014 წლის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან. რუსეთის ფედერაციის აშკარა ამბიციამ - მოაქციოს საკუთარი გავლენის ქვეშ პოსტსაბჭოთა ტერიტორია, რათა აღიდგინოს ზესახელმწიფოს სტატუსი და შეზღუდოს ნატოს გაფართოება მისი მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე, საქართველო და უკრაინა დააყენა რთული არჩევანის წინაშე. პირველი არჩევანის მიხედვით საქართველო და უკრაინა უნდა გამხდარიყვნენ დსთ-ს ან ევრაზიული კავშირის წევრები და ეღიარებინათ რუსეთის დომინანტობა, ხოლო მეორე არჩევანი იყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსში გაწევრიანების გზა, რის მიღწევის შემთხვევაშიც ორივე სახელმწიფოს ექნებოდა სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტია, რაც სასიცოცხლო აუცილებლობით იყო გამოწვეული ისედი დიდი, ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოს მეზობლად, როგორიც რუსეთია.

---

6 ხ. ბურკაძე, ,,ეს ნატოა“, 2008. გვ.71.

7 ,,რუსული ემბარგოს ქრონოლოგია საქართველოში”,https://www.bm.ge/ka/article/rusuli-embargos-qronologia-saqartveloshi/35815(წვდომა - 02.05.2021)

8 https://civil.ge/ka/archives/138802(წვდომა - 03.05.2021)

9 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიმოხილვა, https://civil.ge/ka/archives/218069 (წვდომა03.05.2021)

საქართველომ და უკრაინამ აირჩიეს ნატოში გაწევრიანება. საქართველოს მსგავსად, 2004 წელს ურაინაშიც მოხდა ე.წ. ,,ნარინჯისფერი“ რევოლუცია და პრორუსული ხელისუფლებების ცვლა პროდასავლურით, რაც შესაბამისად ნიშნავდა რუსული ორბიტიდან თავის დაღწევის მცდელობას და რუსეთის გავლენის შესუსტებას რეგიონში. ეს ცხადია მიუღებელი იყო რუსეთის ფედერაციისთვის და ამ პროცესის შეფერხება ორივე ქვეყანაში დაიწყო. კრემლმა უკრაინაში დაიწყო ე.წ. ,,რბილი ძალის“ ეფექტურად გამოყენება, რასაც 2010 წელს უკრაინაში პრორუსულად განწყობილი ხელისუფლების ვიქტორ იანუკოვიჩის სახით სათავეში მოსვლა მოჰყვა. 2013 წლის ნოემბერში უკრაინის მთავრობამ უარი განაცხადა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, რაზეც დიდი გავლენა იქონია უკრაინის ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის მხრიდან ბუნებრივ აირზე მომხიბვლელი ფინანსური პაკეტის შეთავაზებამ[10] .

უკრაინის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ფართომასშტაბიანი პროტესტი, რაც ე.წ. ,,ღირსების რევოლუციაში“ გადაიზარდა, რომელსაც პრორუსული ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. 2014 წელს, როდესაც უკრაინამ გადაწყვიტა ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებაზე, რუსეთმა საპასუხოდ მოახდინა ყირიმის ანექსია. რუსეთის ფედერაციისთვის მიუღებელია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ე.წ. ,,ფერადი რევოლუციები“ და დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, ვინაიდან ეს ძირს უთხრის მის ჰეგემონობას რეგიონში და ასევე, ზრდის ნატოს მის საზღვრებთან მოახლობის რისკებს.

## თეორიული ანალიზი

სტრუქტურული რეალიზმი და კერძოდ, თავდასხმითი რეალიზმი პასუხობს კითხვას, თუ რატომ აირჩია რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ხისტი ძალის გამოყენების გზა.

2003 წლის ,,ვარდების რევოლუციის“ შედეგად სათავეში დასავლური ღირებულებების მქონე ხელისუფლება მოვიდა, რასაც მოჰყვა ნატო-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავება. საქართველოს მხრიდან ევროატლანტიკურ სივრცეში აქტიური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის და ნატოს გავლენის შესაძლო გაზრდა, ცხადია მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციისთვის, რომლისთვისაც სამხრეთ კავკასია ინტერესის სფეროს წარმოადგენს და შესაბამისად, ამ რეგიონში დომინაცია და ჰეგემონობა მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორია. აქედან გამომდინარე, რუსეთმა, რომლის მიზანია ძალაუფლების მაქსიმიზაცია, რეგიონში გავლენების გასაძლიერებლად დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ რბილი და ხისტი ძალის პოლიტიკის აქტიური წარმოება[11].

სტატიაში იკვეთება მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმის დაშვებების სიახლოვე აგვისტოს ომთან და ყირიმის ანექსიასთან, ვინაიდან კარგად ჩანს სისტემის სტრუქტურის ანარქიულობა, როდესაც რუსეთმა ეროვნული ინტერესების გამო არად ჩააგდო საერთაშორისო სამართლის ნორმები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფოების ლიდერების მოწოდებებიდა მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ასევე, ცხადია, რომ რუსეთის ქმედებები წარმოადგენდა რაციონალურ ქმედებას მაქსიმალური მოგების მოპოვების პერსპექტივით საქართველოს და უკრაინის ხარჯზე. თავდასხმითი რეალიზმის თეორიის მიხედვით, დიდი სახელმწიფოები და ამ შემთხვევაში რუსეთი არსებული ძალაუფლებით არ კმაყოფილდება და მუდმივად სხვა სახელმწიფოების ხარჯზე ძალის მომატებაზე ფიქრობს; მისი მთავარი მიზანი რეგიონული ჰეგემონობაა, ვინაიდან ამით მისი, როგორც „დიდი ძალის“ გადარჩენის შანსი იზრდება[12] .

სტატიამ აჩვენა, რომ რუსეთის, როგორც დიდი და ძლიერი სახელმწიფოს ამბიციები იხსნება თავდასხმითი რეალიზმით, რაც შეეხება თავდაცვით რეალიზმს, მისი თეორული პოსტულატები ნაკლებად შესაფერისია რუსეთის პოლიტიკის ასახსნელად. რუსეთის უსაფრთხოებისთვის და სიმშვიდისათვის რეგიონული ჰეგემონია და ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდა არის ერთადერთი გამოსავალი. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო უკრაინის და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხება/შეჩერება და ამ მიზნის მისაღწევად ომი რუსეთისთვის „კარგი იდეა“ იყო, რადგან მას ჰქონდა ერთგვარი გარანტია, რომ ომიდან მიღებული სარგებელი ხარჯებს გადაწონიდა.

---

[10] https://www.bbc.com/news/10229626წვდომა 04.05.2021

[11] ნ. ოხანაშვილი, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“,თბილისი, 2018. გვ. 37.

[12] ე. აკობია, ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი“, 2021. გვ.32.

## დასკვნა

ამრიგად, სტატია ცხადყოფს, რომ რუსეთის მიზანია რეგიონული დომინანტობა და შესაბამისად, რუსეთი ყველანაირად ეწინააღმდეგება ნატოსა და ევროკავშირის „მის საზღვრებთან“ გაფართოებას. ბუქარესტის სამიტზე, სადაც ალიანსმა მიიღო კომუნიკე საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესახებ, რუსეთმა საპასუხოდ 2008 წელს განახორციელა თავდასხმა საქართველოზე. ხოლო 2014 წელს, ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის საპასუხოდ, მან მოახდინა ყირიმის ანექსია. აღნიშნული ემპირიული მონაცემები ცხადყოფს, რომ რუსეთი იყენებს ხისტ ძალას, რათა არ დაუშვას დასავლეთის შემოსვლა რეგიონში. სტატიამ აჩვენა, რომ თავდასხმითი რეალიზმი შესაფერისი თეორიაა აღნიშული ქეისის ასახსნელად, რადგან თავდასმითი რეალიზმის ჭრილში, რუსეთი მიზანია რეგიონული ჰეგემონობა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ე. აკობია,,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი“,სახელმძღვანელო, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021. გვ.30-41.

2. ნ. ოხანაშვილი, „ბუქარესტის სამიტი და მისი გავლენა 2008 წლის აგვისტოს ომზე“, სტატია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019. გვ. 5.

3. ხ. ბურკაძე, ,,ეს ნატოა“,სახელმძღვანელო, საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ, 2008. გვ.71-75.

4. ე. აკობია, ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2006. გვ.22.

5. ნ. ოხანაშვილი, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“,სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018. გვ. 33.

6. BBC ,,Ukraine's parliament votes to abandon Nato ambitions”2010, https://www.bbc.com/news/10229626

7. Civil.ge ,,2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიმოხილვა”https://civil.ge/ka/archives/218069

8. bm.ge,,რუსული ემბარგოს ქრონოლოგია საქართველოში”https://www.bm.ge/ka/article/rusuli-embargos-qronologia-saqartveloshi/35815

## შენიშვნები
## NOTES

# შენიშვნები
# NOTES

## შენიშვნები
## NOTES

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA